



ՏԵԽՆՈՆԵՐ

ARCHEION

XVI



*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო*

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ო ნ ი

ARCHAEION

XVI

თბილისი 2018 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი
რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე
სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), რამაზ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი).

Maia Ivanishvili – chairman of editorial board

Tamaz Putkaradze - editor

Editorial Board:

Teona Iashvili (Tbilisi), Ramaz Bolkvadze, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili, Tsiuri Katamadze, Irakli Baramidze (Batumi), Merab Kezevadze (Kutaisi).

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.
ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 27 52 10
ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2018

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

**სამეურნეო-საწარმოო კადრების, კულაკების და სხვა
არასასურველი აღამიანების რეპრესიები**

XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ სამეურნეო-საწარმოო კადრები: ქარხანა-ფაბრიკების, სახელმწიფო მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, სამეურნეო და სავაჭრო გაერთიანებების ხელმძღვანელები, მოადგილეები, ქვედანაყოფების უფროსები, სხვა მუშაკები, კულაკები და სხვა არასასურველი აღამიანები. მათ მიმართ შეთხზეს ფალსიფიცირებული მასალები, თითქოს ისინი გამიზნულად აფუჭებდნენ საქმეს, რათა ჩაშლილიყო საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური გეგმები და პროგრამები. ამ ნიადაგზე მოსახლეობაში უკმაყოფილება შექმნილიყო, რაც საყოველთაო აჯანყებაში გადაიზრდებოდა.

ფალსიფიცირებული ბრალდებით აჭარის სახალხო მეურნეობის მიმართულებით კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ გიორგი რამიშვილი, ილიას მეგრელიძე, ოსმან მოწყობილი, ჯემალ ქიქავა, ევგენი სიხარულიძე, აგუსტინ მაჩხელიანი და სხვები. თითქოს ისინი მითითებებსა და დავალებებს აძლევდნენ სამეურნეო-საწარმოო ხელმძღვანელებს საქმეების გამიზნულად გაფუჭების შესახებ. ამ ბრალდებებისათვის რეალური საფუძველი არ არსებობდა. აჭარამ გადაჭარბებით შეასრულა პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმები. ამ წლებში ექსპლოატაციაში შევიდა ათობით ახალი საწარმო. მათ შორის: ნავთობგადამამუშავებელი, ნავთობპროდუქტების გადასატვირთავი, მანქანათსაშენი, კოფეინის, ხის დამამუშავებელი, ლუდის ქარხნები, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური (აწკესი), საკონდიტრო, სამკერვალო, ფეხსაცმლის ფაბრიკები, საშენი მასალების საწარმოები და სხვა. 1928-1937 წლებში მსხვილი მრეწველობის ფიზიკური მოცულობა 37-ჯერ და მეტად გაიზარდა.¹

მნიშვნელოვანი წარმატებები არსებობდა სოფლის მეურნეობაში. პირველ და მეორე ხუთწლებებში შეიქმნა ჩაის, ციტრუსების, ტუნგის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობები, სანერგეები და სხვა. ციტრუსოვანთა ნარგავების საერთო ფართობი 1928-1937 წლებში 3,6-ჯერ გაიზარდა. ჩაის პლანტაციების-თითქმის 3-ჯერ, ტუნგის (1932-1937 წლები) – 1,6-ჯერ, თამბაქოს კულტურის-675 ჰექტრიდან 808 ჰექტრამდე, ბამბუკი-32,5 ათასი ძირიდან 1340,8 ათას ძირამდე და სხვა. ცხადია, სამეურნეო-საწარმოო წარმატებებში, სახელმწიფო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საწარმოთა ხელმძღვანელებმა, წარმოების სხვა მუშაკებმა.

მიუხედავად ამისა, რეპრესიების ორგანიზატორებმა სამეურნეო-საწარმოო ხელმძღვანელები, წარმოების რიგითი მუშაკები, კულაკები და სხვა არასასურველი პირები კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად, ხალხის მტრებად, მავნებლებად შერაცხეს, მოსხნეს თანამდებობიდან, გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან თუ კომკავშირიდან, დააპატიმრეს, აწამეს, დახვრიტეს, გადაასახლეს რუსეთის უკაცრიელ მხარეში.

¹ საბჭოთა აჭარის 40 წელი. სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1961, გვ. 25.

სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო კადრების რეპრესიები. აჭარაში 1937-1938 წლებში იშვიათი იყო ინდუსტრიის საწარმო, რომლის კადრებს პოლიტიკური რეპრესიები არ განეცადოს. ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის სფეროებში კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელად ითვლებოდა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ავგუსტინ სტეფანესძე მანხელიანი. თითქოს მისი დავალებით საწარმოთა ხელმძღვანელები და სხვა მუშაკები გამიზნულად აზიანებდნენ დაზღა-მოწყობილობებს, რათა ჩაშლილიყო წარმოების რითმი, პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულება.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების ბიუროებმა 1937-1938 წლებში არაერთხელ განიხილეს ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო საწარმოებში კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის შესახებ. ამ ორგანოებს მასალებს შინსახკომი აწვდიდა. გარდა ამისა, საოლქო და საქალაქო კომიტეტები თვითონ სწავლობდნენ, როდესაც საწარმოებში იხილავდნენ ე.წ. კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტების შესახებ სასამართლოს განჩინებებს. ამ განხილვების დროს ზოგიერთი მონაწილე გამოთქვამდა განსხვავებულ შეხედულებას, რაც ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო. ამასთან, ასეთი განსხვავებული აზრი ხელისუფლების მიერ რეაგირების გარეშე არ რჩებოდა. მათ ჩასახშობად უღმობელი სადამსჯელო ღონისძიებები ტარდებოდა.

ხელისუფლების ოფიციალური ცნობით, კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ, დივერსიულ-მაენებლურ საქმიანობას ადგილი ჰქონდა ნავთობგადამამუშავებელ, ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელ, მანქანათსაშენ, კოფეინის, ბიდონების, ხის დამამუშავებელ სამკერვალო, ტყავის, ფეხსაცმლის, ჰიდროენერგეტიკის, ჩაის, საკონდიტრო, ტრანსპორტის (პორტი, რკინიგზის კვანძი, საავტომობილო), სარეწაო კოოპერაციის და სხვა საწარმოებში.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა აჭარაში ყველაზე მსხვილი საწარმო იყო. 1932-1935 წელს ამ ერთ ქარხანაზე მოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის საერთო სამრეწველო პროდუქციის 81,7-84,4%². 1935-1937 წლებში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორად მუშაობდა გინზბურგი, რომელიც ბაქოდან გადმოიყვანეს. მან თან წამოიყვანა ნავთობის სპეციალისტები, რომლებიც ქარხნის ქვედანაყოფებს ხელმძღვანელობდნენ. საბრალდებო დასკვნებისა და სასამართლო განჩინებების განხილვების დროს, ოფიციალური ცნობით, გამოვლინდა სიმპათიები ტროცკისტების მიმართ. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე (1937 წლის აპრილი) აღინიშნა, რომ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ საქმიანობას ეწეოდნენ დირექტორი გინზბურგი, მისი მეუღლე, საამქროებისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა უმრავლესობა.

ქარხნის დირექტორი და მისი მეუღლე აკრიტიკებდნენ სტალინს, იცავდნენ ტროცკის შეხედულებებს. ეს ჩვეულებრივი პროცესია დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ ის ფაქტი, რომ გინზბურგი შერაცხული იყო იაპონია-გერმა-

² ო. თურმანიძე, აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940). ბათუმი, 2012, გვ. 309.

ნის ფაშიზმის აგენტად, ბანდიტად,³ რბილად, რომ ვთქვათ, დამაჯერებლობას მოკლებულია. 1937 წლის აპრილში გინზბურგი მოხსნეს თანამდებობიდან და დააპატიმრეს. თუმცა მისი სასჯელის შესახებ ცნობა არ გაგვანჩნია.

ხელისუფლების ოფიციალური ცნობით, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ანტისაბჭოთა საქმიანობაში აქტიურობდნენ შახნაზაროვი (მთავარი მექანიკოსი), ზელიმხანოვი (მთავარი ენერგეტიკოსი), ვანდიშევი (მოადგილე), ანდრუხი (თხევადი საამქროს უფროსი), მემუხინი (N2 საამქროს უფროსი), ბაგიროვი (N1 საამქროს უფროსი), ფადავა (დირექტორის მოადგილე სამეურნეო საკითხებში), ინჟინრები, ეკონომისტები და ტექნიკური მუშაკები: არმაგანოვი, ბეზუგლოვი, სტროგანოვი, კირიაკოვი, მარუნი, გალოგრე, ბელანი, შანიძე, სალუქვაძე, ჯორბენაძე, გლუხოვი, პეტროვი, მარტიროსიანი, მეგრელიძე, გოგიჩაიშვილი, მოროზოვი, აბუსერიძე და სხვები. ვლადიმერ ილიასძე მარუნი, დაბადებული 1904 წელს, პარტიის წევრი 1927 წლიდან, იცავდა ტროცკის დებულებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის განხილვისას მარუნს განუცხადებია: მარქსიზმი ბათუმში შემოიტანეს საზღვარგარეთის მეზღვაურებმა. ასეთი გამონათქვამები კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულად შერაცხეს და 1937 წლის 5 იანვარს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და მისი საქმე შესასწავლად შინსახკომს გადაეცა.⁴

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 3 აპრილს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა ქარხნის ტექნიკური ნორმადარი, პოლიტიკური წრის პროპაგანდი კიპრიანე დიმისტრისძე კირიაკოვი, რომელიც პარტიის წევრი იყო 1918 წლიდან (დაბადებული 1892 წელს). კ. კირიაკოვის გამონათქვამები შეფასდა, როგორც მავნებლური, კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული.⁵

კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად შერაცხულებს აბრალდნენ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში დაზგა-მოწყობილობათა გამიზნულად მწყობრიდან გამოყვანას, საწარმოო ციკლის მოშლას, წარმოების მოცდენას. ამის შედეგად გამოწვეული ზარალს. 1937 წლის 23-27 მაისს ქარხანაში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა აქტივის კრება, სადაც განიხილეს ზემოთ აღნიშნული საკითხები. კრებაზე აღინიშნა, რომ ქარხნის საწარმოო რითმის დარღვევა, ავარიები და სხვა ნაკლოვანებები გამოწვეულია კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტების ანტისაბჭოთა საქმიანობით. ძნელია ამის დაჯერება. ცხადია, საწარმოო ციკლის დარღვევის, ავარიების და სხვა ნაკლოვანებების გამორიცხვა მართებული არ იქნებოდა, მაგრამ ამის მიზეზად კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები დასახელება სწორი არ არის და ამ მოტივით კადრების რეპრესიები დანაშაულებს წარმოადგენს.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 5 ივნისს განიხილა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აქტივების კრების შედეგები. ბიურომ დაავალა ქარხნის ახალ დირექტორს ი. ჯანჯღავას აღ-

³ აცსა, ფ. პ-1, ან.4, ს. 210, ფურც. 20.

⁴ იქვე, ფ.პ-6, ან. 12, ს. 22, ფურც. 6.

⁵ იქვე, ს. 24, ფურც. 73.

მოფხვრას მავნებლობის შედეგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი მავნებლების პასუხისმგებლობის შესახებ. გინზბურგის, ბაგიროვის და სხვათა საქმეები გადაეცა შინსახკომს.⁶ მართალია, კ. კირიაკოვი, მოგვიანებით აღადგინეს პარტიაში, მაგრამ 1938 წელს მეორედ გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან და დააპატიმრეს. ამასთან, ქარხნის ყოფილი დირექტორი გინზბურგთან ერთად დააპატიმრეს, სტროგანოვი, მოროზოვი, ანდრუსი, ზელიმხანოვი, ბაგიროვი და სხვები. მაგალითად, ვასილ დიმიტრისძე მოროზოვი ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში საამქროს უფროსად მუშაობდა, პარტიის წევრი იყო 1917 წლიდან (დაბადებულია 1896 წელს). მან, თითქოს, გამიზნულად მწყობრიდან გამოიყვანა მანქანა-დანადგარები, ხელოვნურად მოაწყო ავარიები და სხვა. ამ მოტივით კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს.⁷

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა რეპრესიების ახალი ტალღა 1937 წლის მეორე ნახევარში აგორდა. კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტების, მავნებლის, დივერსანტის, ტერორისტის ფალსიფიცირებული ბრალდებით დაიწყო დაპატიმრებანი, წამება-გადასახლება-დახვრეტები. 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ქარხნის საამქროს უფროსები ვლადიმერ ევგენისძე ანდრუსი, ნარიმან ახმედისძე ზელიმხანოვი, ინჟინერ მექანიკოსი ოსმან მემედისძე ახვლედიანი. ეს უკანასკნელი დაბადებულია სოფელ მახინჯაურში 1908 წელს. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ 1927 წელს ჩარიცხეს ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც 1931 წელს დაამთავრა ინჟინერ მექანიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. წარმატებული მუშაკი იყო. მაგრამ ერთი შემთხვევის გამო მავნებლად შერაცხეს და დააპატიმრეს. კონკრეტულად, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნის საქვაბეში, სადაც ინჟინრად ოსმან ახვლედიანი მუშაობდა, ავარია მოხდა და მას დაბრალდა, თითქოს იგი ხელოვნურად იყო გამოწვეული. საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა მიუსაჯეს. ოსმან მემედისძე ახვლედიანი ბათუმში დახვრიტეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1957 წლის 4 იანვრის დადგენილებით გაუქმდა 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილება, საქმე წარმოებით შეწყდა და ოსმან მემედისძე ახვლედიანი რეაბილიტირებულია (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის ცნობა, 1957 წლის 8 იანვარი, N 2487/16). ამავე ბრალდებით 1938 წლის ოქტომბერში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი ივანე კონსტანტინესძე ჯანჯღავა. იგი მოხსნეს თანამდებობიდან და დააპატიმრეს. 1938 წლის 7 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის N2 საამქროს უფროსი სეფერ ხუსეინისძე პერესელიძე, რომელსაც დააბრალეს კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა. იგი დააპატიმრეს და მკაცრად დასაჯეს. დააპატიმრეს, დახვრიტეს თუ გადაასახლეს ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სხვები.

⁶ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 25-26.

⁷ იქვე, ფურც. 63.

ხუსეინ ისმაილისძე ფაღავა დაიბადა 1907 წელს ბათუმის რაიონის სოფელ ორთაბათუმში. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1932 წლიდან. ბაქოს ნავთობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ინჟინრად მუშაობდა. 1936 წლის ოქტომბერში პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის რეკომენდაციის ორთაბათუმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც 1937 წლის ივლისამდე მუშაობდა. შემდეგ დააბრუნეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში და დანიშნეს დირექტორის მოადგილედ. ხ. ფაღავა კარგი სპეციალისტი და ენერგიული სამეურნეო მუშაკი იყო, მაგრამ შრომა არ დაუფასეს. დააბრალეს კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა. ამ ბრალდებით საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 14 ნოემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და საქმე შინსახკომს გადასცა.⁸

შინსახკომმა ყალბი მასალები შეაკოწიწა და ხ. ფაღავა დააპატიმრა. მას აბრალდებდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობას, თითქოს ეწეოდა აგიტაცია-პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით. საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს სისხლის სამართლის კოდექსის 50-10 მუხლის საფუძველზე გადასახლეს ურალში (რუსეთის ფედერაცია).⁹ სასჯელს იხდიდა ქ. სოლიკამსკში, სადაც გაუსაძლის პირობებში ხეტყეხე მუშაობდა.

ხუსეინ ფაღავა გადასახლებიდან 1947 წელს დაბრუნდა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ხ. ფაღავას სამუშაოზე არ იღებდნენ, პოლიტიკურად არასაიმედოდ ითვლებოდა, სანამ რეაბილიტაცია არ მოხდა. აჭარის უმაღლესი სასამართლოს 1956 წლის 11 აგვისტოს განჩინებით ხუსეინ ისმაილისძე ფაღავას საქმე წარმოებით შეწყდა და იგი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. რეაბილიტირების შემდეგ ხუსეინ ისმაილისძე ფაღავამ მუშაობა დაიწყო ისევ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში.

პარმენ ეფრემისძე სირაძე, დაბადებული 1910 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1932 წლიდან, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ტრანსპორტის განყოფილების გამგედ მუშაობდა. მას თვლიდნენ არარსებული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილედ. ამ ბრალდებით იგი საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 10 დეკემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. პარმენ სირაძე დააპატიმრეს და საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი სასჯელს იხდიდა რუსეთის ფედერაციის აღმოსავლეთი მხარეები უმძიმეს პირობებში. პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ ოზურგეთის რაიონში ცხოვრობდა და 1956 წლისათვის „საქჩაის“ ტრესტის სისტემაში მუშაობდა. რეაბილიტაციის შემდეგ პარმენ ეფრემისძე სირაძე პარტიაშიც აღადგინეს.¹⁰

ზადელ ვაგანისძე საფარიანი (კომუნისტური პარტიის წევრი 1932 წლიდან) ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ზეინკლად მუშაობდა. იგი კონტრრევოლუციონერად შერაცხეს იმის გამო, რომ რუსეთის სამოქალაქო ომის დროს

⁸ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 26, ფურც. 128.

⁹ სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001, გვ. 75.

¹⁰ აცსა, ფ. პ-1, ან. 8, ს. 377, ფურც. 176-177.

(1918-1920 წწ.) ე.წ. თეთრების გვარდიაში მსახურობდა. შემდეგ საფრანგეთის სამხედრო ქარხანაში („რენო“) მუშაობდა. ნიკოლოზ ესტატესძე შავლიძე ასევე ქარხნის ზეინკალი იყო. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1924 წლიდან. იგი კონტრრევოლუციონერად გამოაცხადეს, რადგან რუსეთის სამოქალაქო ომის წლებში ასევე თეთრების გვარდიაში მსახურობდა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ბადელ ვაგანისძე საფარიანი და ნიკოლოზ ესტატესძე შავლიძე კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და მათი საქმეები შინსახკომს გადაეცა.

ნოე იგორისძე მეგრელიძე დაბადებულია 1896 წელს ოზურგეთის მაზრაში, პარტიის წევრი იყო 1932 წლიდან. ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მუშაობდა ოპერატორად. იგი კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს იმის გამო, რომ 1919-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიაში მსახურობდა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ნოე იგორისძე მეგრელიძე კომუნისტური პარტიიდან გარიცხა 1937 წლის 9 მარტს. ამავე თარიღით კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს ქარხნის ნავთობპროდუქტების მწმენდავი აკაკი სამსონისძე გოგიჩაიშვილი (დაბადებულია 1895 წელს). კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან. მას დანაშაულად ჩაუთვალეს ძმასთან ურთიერთობა, რომელიც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ბრალდებით შინსახკომის მიერ დაპატიმრებული იყო. აკაკი სიმონისძე გოგიჩაიშვილის საქმე შინსახკომს გადაეცა.¹¹

კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს ძმები გერმანე, შალვა და სევერიანე ჯორბენაძეები. სევერიანე ჯორბენაძე, კომუნისტური პარტიის წევრი 1932 წლიდან, მუშაობდა ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. მას აბრალებდნენ ტროცკისტული ოპოზიციისადმი მხარდაჭერასიგი დააპატიმრეს და საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სევერიანე ერმილეს ძე ჯორბენაძე ამჟამად რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. გერმანე ერმილესძე ჯორბენაძე, დაბადებული 1902 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი-1928 წლიდან, ნავთობგადამამუშავებელ ქარხნის ელექტროსამქროში მუშად მუშაობდა. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 3 ნოემბერს გერმანე ერმილესძე ჯორბენაძე კომუნისტური პარტიიდან გარიცხა კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტის საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრებულ ძმებთან ურთიერთობის გამო. მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ამჟამად ძმები ჯორბენაძეები რეაბილიტირებული არიან. ტროცკისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ფალსიფიცირებული ბრალდებით 1937 წლის ოქტომბერში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კომენდანტი შალვა ერმილესძე ჯორბენაძე, რომელიც პარტიის წევრი იყო 1917 წლიდან (დაბადებულია 1891 წელს). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეცკოლევგვის 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. შალვა ერმილესძე ჯორბენაძე რეაბილიტი-

¹¹ აცსა, ფ.პ-6, ან. 12, ს. 23, ფურც. 9, 11; ს. 24, ფურც. 13-14; ს. 25, ფურც. 11; ფ.პ-1, ან.9, ს.370, ფურც. 259; ს. 380, ფურც. 281;ს. 428, ფურც. 175.

რებულია საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1959 წლის 1 ივნისის დადგენილებით დანაშაულის არარსებობის გამო.

ბათუმის ნავთობპროდუქტების გადასხმის მთავარ ბაზაში 1936-1938 წლებში კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებად შერაცხულები იყვნენ მინაევი, გლუხოვი, ბატურიანი, დიდმანიშვილი, ჩაკვეტაძე, ყაჭკეიშვილი, ლომთათიძე, ინწკირველი, გოლეთიანი, გაზგოიანი, კუზნეცოვი და სხვები. მათ აბრალდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ტროცკისტებისადმი თანაგრძნობას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში სამსახურს, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობას. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი ბრალდებების საფუძველი იქნებოდა, მაგრამ ამ მოტივაციით რეპრესირება, მით უმეტეს ფიზიკურად განადგურება არა თუ შეცდომაა, არამედ დანაშაულია. მაგალითად, 1936 წლის 9 დეკემბერს ნავთობპროდუქტების გადასატვირთავი ბაზის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა გიორგი მინაევის საკითხი. იგი იყო ბაზის სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსი და ამავე დროს პროპაგანდისტად მუშაობდა. ბერიას სტატიის „გაგაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“ და კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტების პარალელური ცენტრის მონაწილეობა სასამართლო პროცესის განხილვისას მინაევი იცავდა ტროცკის შეხედულებებს.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1936 წლის დეკემბერში გ. მინაევი კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. შინკომმა დააპატიმრა, როგორც კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი. საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება მოიწონა ნავთობპროდუქტების მთავარი ბაზის პარტიულმა კრებამ. დადგენილებაში ნათქვამია: მინაევი არის ორპირი, ტროცკისტი, ფაშიზმის აგენტი. ისიც აღინიშნა, რომ მინაევი დამალა თავისი წარსული. კერძოდ, 1927 წელს დისკუსიების დროს მხარს უჭერდა ტროცკისტებს, რის გამო გარიცხეს კომკავშირიდან და პარტიიდან. 1930 წელს ადადგინეს პარტიაში, მაგრამ ტროცკიზმისადმი თანაგრძნობას ისევ ავლენდა. პროკოფი ეფიმიძე გლუხოვს, რომელიც ნავთობპროდუქტების გადასხმის მთავარ ბაზაში მექანიკოსად მუშაობდა, გაუხსენეს, რომ 1916-1917 წლებში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში იმყოფებოდა. 1922 წელს კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. მას ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა. ამ ბრალდებით საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ 1936 წლის 3 სექტემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1936 წლის დეკემბრის დადგენილებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი ნაწამები 1939 წელს საპატიმროში გარდაიცვალა.

კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს აგრეთვე დიდმანიშვილი, ჩაკვეტაძე, ყაჭკეიშვილი, ინწკირველი, ლომთათიძე, კუზნეცოვი და სხვები, როგორც კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები. იოსებ ყაჭკეიშვილის პარტიიდან გარიცხვისა და დაპატიმრების მოტივაცია ის გახდა, რომ მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში. ივანე ლომთათიძისა – მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიაში. მათ აბრალდნენ ამ ფაქტების დამალვას პარტიაში შესვლის დროს.¹² 1937 წლის მეორე ნახევარში კონტრრევოლუციურ-

¹² აცსა, ფ.პ-313, ან.1, სს. 61, 64, 65; ფ. პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 149; ფ.პ-1, ან.9, ს. 240, ფურც. 127.

ტროცკისტული საქმიანობის ბრალდებით ბათუმში დახვრიტეს ნავთობპროდუქტების მთავარი ბაზის პასუხისმგებელი მუშაკები: ვლადიმერ ეგენისძე ანდრუსი (დაბადებული 1909 წელს), სერაფიონ თევდორისძე ბატურიანი (დაბადებული 1903 წელს), ეროვნებით რუსი, რომელიც პარტიის წევრობის კანდიდატი იყო 1931 წლიდან.¹³

რეპრესიები შეეხო მათი ოჯახის წევრებსაც. მაგალითად, მარიამ ფედოროვის ასული კოპინა იყო სერაფიონ ბატურიანის მეუღლე. დაპატიმრების შემდეგ ცოლმა ქმარს საპატიმროში ამანათი გადასცა, რაც დანაშაულად ჩაუთვალეს. პარტიულ კრებაზე საკითხი სპეციალურად განიხილეს და დამამცირებელი დაკითხვა მოუწვევეს. მარიამ კოპინა დამაჯერებლად პასუხობდა: სამი წლის განმავლობაში, რაც შეუღლებულები ვართ, მე არ შემიინიშნავს, რომ ჩემი ქმარი ხალხის მტერი, მოღალატე იყო. დაპატიმრების შემდეგაც არ მჯერა, რომ იგი ხალხის მტერია. მიუხედავად ამისა, მარიამ ფედოროვის ასული კოპინა „ხალხის მტრად“ შერაცხეს და გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან, რომლის წევრიც 1932 წლიდან იყო.

ისიღორე იასონის ძე მექვაბიშვილი, დაბადებული 1921 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1921 წლიდან, მუშაობდა საკავშირო ნავთობპროდუქტების გასაღების საწარმოში მუშად. 1935 წლის სექტემბერში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს ტროცკისტებთან კავშირის გამო. საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1937 წლის 21 მაისის დადგენილებით 5 წელი მიესაჯა შრომა-გასწორების ბანაკში ყოფნით. აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1957 წლის 9 მარტის დადგენილებით გაუქმდა საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1937 წლის 21 მაისის დადგენილება, ისიღორე იასონისძე მექვაბიშვილი რეაბილიტირებულია.¹⁴

ბათუმის ბიდონების ქარხანაში კონტრრევოლუციურ ტროცკისტებად შერაცხულები იყვნენ ხუხუნაიშვილი, ნადარეიშვილი, ჩოლოკიანი, ბაიდარჩუკი, საღუქვაძე და სხვები. მაგალითად, სიო ოქროპირიძე ხუხუნაიშვილი ბიდონების ქარხანაში სახერხი საამქროს უფროსი იყო. იგი დაბადებულია 1891 წელს, კომუნისტური პარტიის წევრია 1925 წლიდან. ქარხანაში 1937 წელს პარტიული ორგანიზაციის მდივნადაც მუშაობდა. ქარხნის დახურულ პარტიულ კრებაზე (1937 წლის 11 თებერვალი), როდესაც კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული პარალელური ცენტრის მონაწილეთა სასამართლო პროცესის მიმდინარეობას იხილავდნენ, ს. ხუხუნაიშვილი გააკრიტიკეს, რადგან ტროცკის შეხედულებებს მხარს უჭერდა, ხელი მოაწერა „83-ის პლატფორმას“. ს. ხუხუნაიშვილი გამოდიოდა სტახანოვური მოძრაობის წინააღმდეგ, აკრიტიკებდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას.

მიმდინარე პროცესებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, თავისი შეხედულების თავისუფლად დაფიქსირება დანაშაულს არ უნდა წარმოადგენდეს, მით უმეტეს 1936 წლის კონსტიტუციით სიტყვის თავისუფლება აღიარებული იყო. მიუხედავად ამისა, სიო ოქროპირისძე ხუხუნაიშვილი პარტიიდან გარიცხეს, მოხსნეს საამქროს უფროსობიდან და დააპატიმრეს. საქართველოს კომ-

¹³ იქვე, ფ. პ-6, ან. 12, 24, ფურც. 206; ს. 26, ფურც. 12.

¹⁴ იქვე, ფ. პ-24, ან. 1, ს. 9, ფურც. 6-7; აცსა, ფ. პ-1, ან. 9, ს. 76, ფურც. 141.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 9 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა ტარასი ბეჟანისძე ნადარეიშვილი ტროცკისტებისადმი თანაგრძნობისათვის. იგი ბიდონების ქარხანაში აღმრიცხველად მუშაობდა. დაბადებულია 1883 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან.¹⁵

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა ექსპლოატაციაში 1936 წელს შევიდა და რეპრესიების ორგანიზატორებმა მაშინვე შეთხზეს ბრალდება, თითქოს ქარხანა მავნებლურად იყო აგებული. ამ ბრალდების მოტივაცია ის გახდა, რომ მანქანათსაშენი ქარხანა ააგო „საქქარხმშენმა“, რომლის მმართველი ჭელიძე „ხალხის მტრის“ იარლიყით დაპატიმრებული იყო.

კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ბრალდებით 1937-1938 წლებში დააპატიმრეს მანქანათსაშენი ქარხნის დირექტორი, საამქროს უფროსები, ინჟინრები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები: ბალანკოვი, პისლარი, გრინი, გერცფრიდი, გერვიცი, ბაგოევი, მინაევი და სხვები. მაგალითად, ალექსანდრე გიორგისძე პისლარი დაბადებულია 1905 წელს, პარტიის წევრი იყო 1929 წლიდან. მანქანათსაშენ ქარხანაში მუშაობდა საამწოხო საამქროს უფროსად. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 24 დეკემბერს გარიცხა კომუნისტური პარტიიდან. ბრალეულობად ითვლებოდა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა. ა. პისლარი ამ ბრალდებით დააპატიმრეს. ამავე ბრალდებით 1937 წლის 25 ნოემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, „ხალხის მტრად“ შერაცხეს და დააპატიმრეს ქარხნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ანდრეი სერგოსძე გრინი, რომელიც პარტიის წევრი იყო 1930 წლიდან, დაბადებული – 1907 წელს. გრინი დაპატიმრებისას მანქანათსაშენი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანიც იყო. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 31 წლის დადგენილებით ანდრო სერგოსძე გრიგს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი ბათუმში აღარ დაბრუნებულა. ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1955 წლის 23 მარტის განჩინებით გაუქმდა სამეულის 1937 წლის 31 დეკემბრის დადგენილება და ანდრო სერგოსძე გრინი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს მანქანათსაშენი ქარხნის ზეინკალი ნიკოლოზ ივანესძე რიბაკოვი (დაბადებული 1911 წელს, პარტიის წევრი–1932 წლიდან).¹⁶

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის შედეგების მანქანათსაშენი ქარხნის პარტიულ კრებაზე (1-ლი აპრილი) განხილვისას კომუნისტმა ნიკოდინ ევსტაფოსძე გერცფრიდმა განაცხადა: „ჩვენ ვართ პეშკები. თქვენ არ იცით, – მიმართავდა კრების მონაწილეებს, – სად წავგიყვანს სტალინი. ჩვენ ვიცით სად მიყავს“. ნ. გერცფრიდი სტალინს აკრიტიკებდა.¹⁷ ანალოგიური აზრის გამოთქამდა მინაევი, რომელიც

¹⁵ აცსა, ფ. პ-313, ან. 1, ს. 66, ფურც. 26, 29, 66-67; ფ. პ-6, ან. 12, ს. 22, ფურც. 6; ს. 25, ფურც. 12.

¹⁶ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 26, ფურც. 153, 170, 171; ფ. პ-1, ან. 8, ს. 396, ფურც. 4.

¹⁷ აცსა, ფ. პ-20, ს. 18, ფურც. 16.

ადრე ნავთობპროდუქტების გადაქანვის მთავარ ბაზაში მუშაობდა. ასეთი კრიტიკული გამონათქვამები მათ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. მაგალითად, ნიკონ ევსტაფოსძე გერცფრიდი (დაბადებულია უკრაინაში 1890 წელს) საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სანქციით 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.¹⁸

კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ყბადღებულ ბრალდებით 1937-1938 წლებში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, თანამდებობიდან მოხსნეს და დააპატიმრეს თამბაქოს, ტყავის, ლუდის, ფესხაცმლის, სამკერვალო და სხვა ქარხანა-ფაბრიკების დირექტორები: აგამჯანოვი, აივაზოვი, ჯიბლაძე, მერტიჩიანი, ქიქავა, საწარმოთა ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. ბრალდებები ყველას მიმართ ანალოგიური იყო. გერასიმე ივანესძე აგამჯანოვი, ეროვნებით სომეხი, დაბადებული ქ. ბაქოში 1902 წელს, საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში გასაბჭოების დანვე ჩადგა. 1918-1923 წლებში მსახურობდა წითელ არმიაში. 1924 წელს მიიღეს კომუნისტურ პარტიაში და აქედან მოკიდებული ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში. კერძოდ, 1924-1927 წლებში მუშაობდა აჭარის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სისტემაში, 1927-1931 წლებში – ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში. 1931-1934 წლებში იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში პარტიული კომიტეტის მდივანი და დირექტორის თანაშემწე.

გ. აგამჯანოვი 1933 წელს დანიშნეს ბათუმის ქალაქმშენის მმართველად, ხოლო შემდეგ – აჭარის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილედ. 1934-1936 წლებში იყო აჭარის სამომხმარებლო საზოგადოების – აჭარკოოპკავშირის თავმჯდომარე.¹⁹ 1937 წლიდან დაპატიმრებამდე მუშაობდა ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორად. გ. აგამჯანოვი 1937 წლის აგვისტოს დასაწყისში შინსახკომმა დააპატიმრა, როგორც „ფარული კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი“. ამ ბრალდებით საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 9 აგვისტოს დადგენილებით კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. თამბაქოს ფაბრიკაში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები, რაც მაშინდელ პირობებში ყველა საწარმოში მოიძებნებოდა, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად, მავნებლად შეამკეს. კერძოდ, ფაბრიკაში არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობის ქაღალდი, მუშა-მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არ იყვნენ შეშით, წვიმიან დღეებში არ ემსახურებოდათ ტრანსპორტი, ნაკლოვანებები იყო საცხოვრებელი ბინების გარემონტებაში, აგრეთვე გამომუშავების ნორმების სისტემაში და სხვა. თურმე ეს კეთდებოდა მუშა-მოსამსახურეთა უკმაყოფილების გამოსაწვევად²⁰ და აჯანყების მოსაწყობად.

დაპატიმრების შემდეგ გ. აგამჯანოვი მოწმედ გამოიყენა შინსახკომმა და პროკურატურამ 1937 წლის საჯარო სასამართლო პროცესზე, სადაც იხილებოდა ე.წ. „აჭარის კონტრრევოლუციური სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტროცკისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა“ საქმე. გ. აგამჯანოვის ჩვენების მიხედვით, კონტრრევოლუციურ საქმიანობაში გიორგი რამიშვილმა

¹⁸ გაზ. აჭარა, 1937, 17 მაისი (N95-96).

¹⁹ აცსა, ფ.პ-1, ან. 4, ს. 30, ფურც. 2.

²⁰ აცსა, ფ.პ-6, ან. 12, ს. 25, ფურც. 12; ფ.პ-1, ან. 4, ს. 210, ფურც. 41.

ჩააბა, რომელიც ახალციხეში გაუცვნია 1929 წელს. თურმე მას დაავალეს თამბაქოს ფაბრიკაში საამქროებს შორის დისპროპორციის შექმნა, რაც მუშაობის რითმულობას დაარღვევდა და გეგმები აღარ შესრულდებოდა. გ. აგამჯანოვს დაავალეს, ს. მანაგაძესთან ერთად, ტერორისტების მოძებნა ბერიას მოსაკლავად.²¹ ადვილი მისახვედრია, რომ ეს იყო რეპრესიების ორგანიზატორების მიერ დაგეგმილი სცენარის ნაწილი. ის ფაქტი, რომ გ. აგამჯანოვი ასეთ ჩვენებას აძლევდა, საეჭვოა. როგორც ჩანს, იგი იმდენად ნაწამები იყო, რომ ყველაფერზე მიდიოდა, ოღონდ ტანჯვა-წამებიდან თავი დაეხსნა. გერასიმე ივანესძე აგამჯანოვი 1937 წლის ოქტომბერში დახვრიტეს.

აგამჯანოვთან ერთად დააპატიმრეს თამბაქოს ფაბრიკის წარმოების უფროსი, ეროვნებით ბერძენი ევკალიდ დიმიტრისძე მარანტიდი. შინსახკომის მიერ შეკოწიწებული მასალების მიხედვით იგი გამიზნულად ფუშავდა წარმოების რითმულ მუშაობას, რის გამო საწარმოო და სოციალური გეგმებისა და პროგრამების შესრულება საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დაპატიმრების შემდეგ ევკალიდ დიმიტრისძე მარანტიდი კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს და კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს. იგი დახვრიტეს ქ. ბათუმში 1937 წელს. ამჟამად ევკალიდ დიმიტრისძე მარანტიდი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. ამასთან, დასაჯეს ევკალიდ დიმიტრისძე მარანტიდის მეუღლე ცაკიდი, ვინაიდან ქმარს საპატიმროში ამანათი მიუტანა. ამის გამო ცაკიდი არასაიმედო პირად, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად ჩათვალეს და საკითხი განიხილეს თამბაქოს ფაბრიკის პარტიულ კრებაზე. საოცარია პარტიულ კრებაზე გამართული კითხვა-პასუხის ჩანაწერი. კითხვაზე, „თუ შეამჩნიე ქმარს კონტრრევოლუციური საქმიანობა“, ცაკიდი პასუხობდა – „არა“. „რამდენჯერ მიუტანე ამანათი“, პასუხი: „ერთჯერ“. პარტიული კრების მონაწილეებმა დაასკვნეს: რაკი ქმარს საპატიმროში ამანათი გადასცა, მისი თანამგრძობია, იცოდა მეუღლის მავნებლობა და არ ამხილა. ამ არაადამიანური და უღირსი მოტივაციით ცაკიდი კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს.²²

აჭარის შინსახკომმა 1937 წლის 27 თებერვალს დააპატიმრა ტყავის ქარხნის დირექტორი იოსებ სიმონისძე აივაზოვი ბრალდებით კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა. დაბადებული 1903 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი, თურმე ინახავდა და კითხულობდა ტროცკისტულ ლიტერატურას, კავშირურთიერთობაში ყოფილა ტროცკისტებთან. იოსებ აივაზოვი პირველი კატეგორიის დამნაშავედ ჩათვალეს და მოსკოვში გასაგზავნ სიაში, სხვებთან ერთად, შეიყვანეს. ბრალდებულთა სადამსჯელო სიას თანამდებობაზე ხელი მოაწერეს სტალინმა, მოლოტოვმა და კავანოვიჩმა 1937 წლის 10 აგვისტოს. იოსებ აივაზოვის საქმე 16 სექტემბერს განიხილა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ. სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლის საფუძველზე: 58-7 (საბოტაჟი), 58-8 (ტერორი), 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის) სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენი იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1956 წლის 16 მაისის განჩინებით რეაბილიტირებუ-

²¹ გაზ. კომუნისტი, 1937, 29 სექტემბერი (N223).

²² აცსა, ფ. პ-66, ან. 1, ს. 8, ფურც. 1-2.

ლია²³. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით იოსებ სემენისძე აივაზოვი 1937 წელს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს. იგი 1937 წელს დახვრიტეს. რეპრესიები შეეხო ტყავის ქარხნის სხვა მომუშავეებსაც. მაგალითად, ქარხნის მუშა აკოფ სააკისძე ბალიკიანი, ეროვნებით სომეხი, დაბადებული 1901 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1928 წლიდან, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს იმის გამო, რომ საწარმოს დირექტორს აივაზოვს იცავდა, ახმოვანებდა მისი დაპატიმრების უსამართლობას. ამის გამო აკოფ ბალიკიანი პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით აკოფ სააკისძე ბალიკიანს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა ბათუმში და ისევ ტყავის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ამჟამად აკოფ სააკისძე ყალიკიანი რეპილიტირებულია დანაშაული არარსებობის გამო.

ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორს მუკუჩი გარეგანისძე მკრტიჩიანს დანაშაულად უთვლიდნენ ტროცკისტებთან ურთიერთობას, მათ შორის ბუდუ მდივანთან შეხვედრებს. ასევე აივაზოვთან თანამშრომლობას—იცოდა მისი მავნებლობა და არ ამხილა. მ. მკრტიჩიანი დაბადებულია 1905 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1925 წლიდან. ოფიციალური ცნობით მ. მკრტიჩიანი 1927 წელს ტროცკისტების პლატფორმას უჭერდა მხარს. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 27 ივნისს მ. მკრტიჩიანი გარიცხა კომუნისტური პარტიიდან. წინადადება დააყენა პარტიის საოლქო კომიტეტის წინაშე მისი თანამდებობიდან მოხსნის შესახებ. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ მ. მკრტიჩიანის საკითხი განიხილა 1937 წლის 4 ივლისს. დაამტკიცა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის დადგენილება პარტიიდან გარიცხვის შესახებ და მოხსნა თანამდებობიდან, როგორც ფარული კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი. მუკუჩი გარეგანისძე მკრტიჩიანი შინსახკომმა დააპატიმრა. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით მუკუჩი გარეგანისძე მკრტიჩიანი დახვრიტეს. ამ სასჯელს საფუძვლად ედო სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლი: 58-7 (საბოტაჟი), 58-8 (ტერორი), 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის). საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1956 წლის 16 მაისის განჩინებით მუკუჩი გარეგანისძე მკრტიჩიანი რეპილიტირებულია.

ფეხსაცმლის ფაბრიკაში, გარდა მკრტიჩიანისა, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად შერაცხულები იყვნენ მანუკიანი, აივაზოვი, ბალიკიანი, ამირიანი, კუშევი, პეტროსიანი და სხვები. ფაბრიკის პარტიულ კრებაზე (1937 წლის 23 ივნისი) აღინიშნა: ჯერ კიდევ 1927 წელს, როდესაც პირველი ხუთწლიანი გეგმის (1928-1932 წლები) თეზისების საჯაროდ განხილვა მიმდინარეობდა, ისინი ამ გეგმის წინააღმდეგ გამოვიდნენ და ტროცკისტებს უჭერდნენ მხარს. განსხვავებული აზრის გამოხატვა ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. ამისათვის ადამიანები, მით უმეტეს, კომუნისტები არ უნდა ისჯებოდნენ. 30-იან წლებშიც,

²³ ინტერნეტის მასალა: სტალინური სიები საქართველოდან (ელექტრონულ მონაცემთა ბაზა).

როგორც ჩანს, განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ცხადია, მმართველი პარტიის ხელმძღვანელობა ამ გარემოებას რეაგირების გარეშე არ ტოვებდა. მართლაც, 1937 წლის 23 ივნისს ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიულმა კრებამ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა მ. ბალიკიანი. 1937 წელს კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხეს (პარტიის წევრი—1932 წლიდან) და ბათუმში დახვრიტეს ფეხსაცმლის ფაბრიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გრიგოლ აკოფისძე ამირიანი, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, მავნებელი, „ხალხის მტერი“.²⁴

ნიკიტა მოსესძე ჯიბლაძე, დაბადებული 1904 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1924 წლიდან. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ და სამეურნეო სფეროებში, სწავლობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1937 წლის ივლისში დანიშნეს ბათუმის ლუდის ქარხნის დირექტორად, სადაც სამი თვე იმუშავა. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით შინსახკომმა დააპატიმრა, ხოლო 1937 წლის 11 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა, დაპატიმრების ფაქტთან დაკავშირებით, კომუნისტური პარტიიდან გარიცხა.²⁵

კონტრრევოლუციონერ ტროცკისტობის ბრალდებით რეპრესიები განიცადა ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა. 1935 წლის 11 იანვრიდან ფაბრიკის დირექტორად მუშაობდა შერიფ ქიქავა. მას მანამდე საზოგადოებრივ და სამეურნეო სისტემაში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნდა. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ამოქმედებისას ჩამოაყალიბა პროფკავშირული ორგანიზაცია. შემდეგ სამუშაოდ გადაიყვანეს ამიერკავკასიის ნავთობის პროფკავშირებში. აქედან – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგედ. შემდგომში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილედ და პროფკავშირების აჭარის საოლქო საბჭოს მდივნად. სამკერვალო ფაბრიკაში შერიფ ქიქავას ხელმძღვანელობით ააგეს ბავშვთა ბაღი, მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი, განხორციელდა საწარმო-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული ღონისძიებები.

მაგრამ ფაბრიკა 1936-1937 წლებში სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. გარკვეული შეფერხებები იყო მომარაგებისა და გასაღების საქმეში. ადგილი ჰქონდა საწარმოო მოცდების შემთხვევებაც. ხელისუფლებამ ფაბრიკაში შექმნილი ნაკლოვანებები გამოიყენა იმათ წინააღმდეგ, ვისაც არასაიმედოდ თვლიდა და ისინი კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებად შერაცხეს. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1937 წლის მასალებში აღნიშნულია, რომ სამკერვალო ფაბრიკის აპარატი დანაგვიანებულია მავნებლებით, კლასობრივად უცხო ანტისაბჭოთა ელემენტებით. მათ შორის დასახელებულია დირექტორი შერიფ ქიქავა, ინჟინრები და ტექნოლოგები უზუნოვი, სანებლიძე, კალანდაძე, ტარაგეზოვი და სხვები.²⁶

²⁴ აცსა, ფ.პ-39, ან.1, ს. 11, ფურც. 63-66; ფ.პ-6, ან.12, ს. 26, ფურც. 12; ფ.პ-1, ან.9, ს. 75, ფურც. 148-149, ს. 76, ფურც. 141-142.

²⁵ აცსა, ფ.პ-6, ან. 12, ს. 26, ფურც. 152.

²⁶ აცსა, ფ.პ-1, ან. 4, ს. 168, ფურც. 1-7; ს. 210, ფურც. 32-35.

შერიფ ქიქავას ორი ბრალდება წაუყენეს: იცოდა და არ ამხილა სამკერვალო ფაბრიკის ტროცკისტები. მათ შორის დასახელებულია თამარ ტუევა, რომელიც ტროცკისტული გამონათქვამების გამო ჯერ კიდევ თბილისში მუშაობისას კომკავშირიდან გარიცხეს და ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში სამუშაოდ გადმოსვლის შემდეგ განაგრძო ტროცკისტულ- კონტრრევოლუციური „ლაყობა“. შერიფ ქიქავას მეორე დანაშაულად ის ჩაუთვალეს, რომ მამა 1909-1914 წლებში „მეფის ოხრანაში“ მუშაობდა და პარტდოკუმენტების გამოცვლისას ეს ფაქტი დამალა. ანკეტაში ჩაწერა: მამა არის საშუალო გლეხი.²⁷ მოგვიანებით შერიფ ქიქავა კონტრრევოლუციონერ ტროცკისტად, მავნებლად შერაცხეს. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის აგვისტოში კონტრრევოლუციურ საქმიანობის ყალბი ბრალდებით კომუნისტური პარტიიდან გარიცხა 19 კაცი. მათ შორის ქიქავა, უზუნოვი, კალანდაძე, სანებლიძე, ისინი დააპატიმრეს და სხვადასხვა სასჯელი მიუსაჯეს.²⁸

ბათუმის ხის დამამუშავებელ ცენტრალურ ქარხანაში კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ საქმიანობად ჩაითვალა: საწარმოში არსებული ნაკლოვანებები, კერძოდ, უხარისხო რემონტი, მისი ჩატარების ვადების გაჭიანურება, დაზოგა-მოწყობილობათა ნაადრევად მწყობრიდან გამოყვანა და სხვა, რასაც ყველა საწარმოს კოლექტივის მიმართ თხზავდნენ. 1937 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა ხის დამამუშავებელი ცენტრალური ქარხნის ავეჯის სამქროს უფროსი ალექსანდრე ლეონიდესძე ბელიაევი. მის შესახებ შეთხზულ მაკომპრომეტირებელ მასალაში წერია: ა. ბელიაევი კომკავშირის პოლიტიკური წრის მეცადინეობაზე იცავდა ტროცკის ფორმულას, რომ შეუძლებელია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება. მის საცხოვრებელ ბინაში ინახებოდა ტროცკის სურათი. ამასთან, ბრალდებად წაუყენეს ის ფაქტი, რომ მისი მეუღლე თამარ ტუევა, რომელიც სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა, კომკავშირიდან გარიცხული იყო 1927 წელს თბილისში მუშაობის დროს. სამკერვალო ფაბრიკაშიც 1937 წელს განაგრძობდა ანტისაბჭოთა „ლაყობას“.²⁹

ხელისუფლება რეაგირების გარეშე არ ტოვებდა საკავშირო მასშტაბით გაშლილი პოლიტიკური დისკუსიებს დროს გამოთქმულ განსხვავებულ აზრს და სასტიკად სჯიდა იმათ, ვინც ასეთ შეხედულებას გაახმოვნებდა. ამგვარი რამ ბათუმის ხის დამამუშავებელ ცენტრალურ ქარხანაშიც მოხდა. 1937 წლის 12 ივნისს ქარხანაში ჩატარდა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის X ყრილობის შედეგებს. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ინჟინერი ჩერნიაგისკი, რომელმაც გაახმოვანა განსხვავებული შეხედულება პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. ეს გამოსვლა შეფასდა, როგორც კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული. იგი დაგმო ხის დამამუშავებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა შოტიდომ. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 15 ივნისს განიხილა ჩერნიაგისკის გამოსვლა და ასევე მკაცრად დაგმო, რადგან მისი სახით კლასობრივ მტერს ხელავდა.³⁰

²⁷ აცსა, ფ. პ-1, ან. 4, ს. 168, ფურც. 1-7.

²⁸ იქვე, ს. 210, ფურც. 36.

²⁹ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 26, ფურც. 33-34.

³⁰ აცსა, ფ. პ-33, ან. 1, ს. 13, ფურც. 74; ფ. პ-6, ან. 12, ს. 26, ფურც. 34-35.

1937 წელს დააპატიმრეს ბათუმის ხის დამამუშავებელი ცენტრალური ქარხნის ინჟინერი ვსევოლოდ მიხეილისძე კანევსკი, დაბადებული 1891 წელს რუსეთის ფედერაციის ლიპეცკის ოლქში. დამთავრებული ჰქონდა კოსტრომის რეალური სასწავლებელი, შემდეგ-პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1919 წელს ჩამოვიდა ბათუმში და დაპატიმრებისას ხის დამამუშავებელ ცენტრალურ ქარხანაში მუშაობდა. ბრალდებად წაუყენეს კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა, კერძოდ, ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა, რომელიც თურმე შეიცავდა საბჭოთა ხელისუფლების დამსობის მოწოდებას (სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლი). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით მიუსაჯეს უმადლესი სასჯელი-დახვრეტა და განაჩენი იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში. საბჭოთა კავშირის უმადლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1958 წლის 5 აგვისტოს განჩინებით ვსევოლოდ მიხეილისძე კანევსკი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.³¹

ვსევოლოდ მიხეილისძე კანევსკის დაპატიმრების შემდეგ 1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს მისი მეუღლე ნადეჟდა კანევსკაია და ვაჟიშვილი. ნადეჟდა კანევსკაიას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, გადაასახლეს რუსეთის ჩრდილოეთში, სასჯელს იხდიდა სარანსკში შრომა-გასწორების ბანაკში უმძიმეს პირობებში. გაათავისუფლეს 1947 წელს და დაბრუნდა ბათუმში. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის გადაწყვეტილებით ნადეჟდა კანევსკაია რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. ამგვარი „კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები“ ქარხანაში ერთეულები არ ყოფილან. რეპრესიების ორგანიზატორებს და ამ ავბედითი პროცესის ჯალათებს ყველგან და ყველაფერში მავნებლები ესიზმრებოდათ, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 9 აგვისტოს განიხილა საკითხი „ცენტრალური ხის დამამუშავებელი ქარხნის გაწმენდა ანტისაბჭოთა კლასობრივ-მავნებლური ელემენტებისაგან“. საკითხის განსაკუთრებულობას ისიც მოწმობს, რომ მოხსენებით გამოვიდნენ ქარხნის დირექტორი კილაძე, პარტორგანიზაციის მდივანი შოტიდი, პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე ბარიგიანი, ინსტრუქტორი რაბინოვიჩი. ბიუროს დადგენილებით კილაძეს და შოტიდის დაევაღათ 1937 წლის 20 აგვისტომდე გამოავლინონ და გაწმინდონ ქარხნის კოლექტივი კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებისაგან. ქარხნის კოლექტივიდან დასათხოვენელ სიაში 20 შეარჩიეს, რომელთაგან კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად 15 პიროვნება ითვლებოდა.³²

კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით 1937 წლის ნოემბერში დააპატიმრეს ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკის საწყობის გამგე, ეროვნებით სომეხი სემენ გაბრიელისძე დიდმანოვი. 11 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, რომლის წევრიც 1932 წლიდან იყო (დაბადებულია 1899 წელს).³³ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა საკონდიტრო ფაბრიკის მუშა ვიქტორ დი-

³¹ სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001, გვ. 48-49.

³² აცსა, ფ. 3-6, ან. 12, ს. 25, ფურც. 7, 26.

³³ იქვე, ს. 26, ფურც. 127.

მიტრისძე ჯღარკავა, რომელიც პარტიის წევრი იყო 1930 წლიდან. მიზეზი იყო ანტისაბჭოთა პროპაგანდა და დაპატიმრებულ კონტრრევოლუციურ ტროცკისტად შერაცხულ ამასთან კავშირუროთიერთობა.³⁴

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 24 დეკემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა ბათუმის მურაბის ქარხნის დირექტორი ვასილ არსენისძე ოძელაშვილი, რომლის წევრი 1932 წლიდან იყო (დაბადებულია 1888 წელს). იგი შინსახკომის მიერ დაპატიმრებული იყო ბრალდებით კონტრრევოლუციონერ ტროცკისტი.³⁵ ვასილ არსენისძე ოძელაშვილი „ხალხის მტრად გამოაცხადეს და მოხსნეს თანამდებობიდან. სერაპიონ მიხეილისძე სიხარულიძეს, რომელიც არაყ-ლიქიორის ქარხანაში უფროს მეხანძრედ მუშაობდა, კონტრრევოლუციურ დანაშაულად ჩაუთვალეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში სამსახური (მუშაობდა კომენდანტურის გუშაგად), აგრეთვე 1927-1928 წლებში იყო ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი, ხელი მოაწერა „83-ის პლატფორმას“. სერაპიონ სიხარულიძე დაბადებულია 1895 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1918 წლიდან. ამ ბრალდებით 1937 წლის თებერვალში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს.³⁶

ივანე დავითისძე სიხარულიძე „მთავარხორცის“ გაერთიანების საწყობის გამგედ მუშაობდა. იგი დაბადებულია ჩოხატაურის რაიონში 1882 წელს. იგი კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1917 წლიდან. ივანე დავითისძე სიხარულიძის წინააღმდეგ შეკოწიწებული ბრალდება იმაში მდგომარეობდა, რომ ირიცხებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდაში. 1927-1928 წლებში ტროცკისტულ დაჯგუფებაში შედიოდა, ხელი მოაწერა „83-ის პლატფორმას“. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ივანე სიხარულიძე 1937 წლის 27 ივნისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და საქმე შესასწავლად გადაეცა შინსახკომს. იგი დააპატიმრეს და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.³⁷ ამჟამად ივანე დავითისძე სიხარულიძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

მირიან პავლესძე კილაძე 1937 წელს ბათუმის ძეხვის ქარხნის საწყობის გამგედ მუშაობდა. იგი დაბადებულია ოზურგეთის რაიონში 1888 წელს, კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1919 წლიდან. მას ბრალად წაუყენეს ის გარემოება, რომ 1918 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) წევრი ყოფილა და ეს დაუმაღავს პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დროს. ამიტომ მირიან პავლესძე კილაძე საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 8 თებერვალს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. 1937 წლის აგვისტოში შინსახკომმა დააპატიმრა „აჭარ-პურტრესტის“ ბათუმის საცხოვრების გამგე გრიგოლ კონსტანტინესძე შარაშიძე. იგი დაბადებულია 1906 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1931 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 22

³⁴ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 149.

³⁵ იქვე, ფურც. 169.

³⁶ იქვე, ფ. პ-6, ან. 12, ს. 22, ფურც. 96.

³⁷ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 60; რ. სურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

აგვისტოს კომუნისტური პარტიდან გარიცხა, როგორც კონტრრევოლუციონერ ტროცკისტი.³⁸

აჭარაში 1937 წელს 7 ჩაის ფაბრიკა ითვლებოდა. ქობულეთის ჩაის ფაბრიკა ექსპლუატაციაში 1936 წელს შევიდა, რომლის სამრეწველო-საწარმოო პერსონალი ახლად ჩამოყალიბებული იყო. ფაქტობრივად 6-ვე ჩაის ფაბრიკის მუშაკებმა მკაცრი რეპრესიები განიცადეს. 1937 წლის აგვისტოს შინსახკომმა დააპატიმრა ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორი მეფოდი აგაფონისძე სეგაკი, რომელიც კომუნისტების ძველ თაობას ეკუთვნოდა. იგი პარტიის წევრად 1917 წლიდან ითვლებოდა. ეროვნებით უკრაინელი იყო (დაბადებულია 1889 წელს). მეფოდი აგაფონისძე სეგაკი ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორად 1933 წელს დანიშნეს. კონტრრევოლუციურ ტროცკისტობად ჩაუთვალეს კადრების არასწორად შერჩევა და განაწილება. ოფიციალური ცნობით, მ. სეგაკმა მოსკოვიდან ჩამოიყვანა კადრების ნაწილი, ძირითად არასპეციალისტები, რომლებიც ფაბრიკაში ტექნოლოგებად და ტიტესტერებად დანიშნა. თურმე ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში მთავარი ტექნოლოგი და ტიტესტერი განგებ, გამიზნულად აფუჭებდნენ საქმეს, რათა კოლექტივის მღელვარება გამოეწვიათ. მოსკოვში გაგზავნილი 45000 კგ (45 ტონა) ჩაი, რომელიც გამომშრალი არ იყო, გზაში დაობდა და უკან გამოაბრუნეს. ამით გამოწვეულმა ზარალმა 10000 მანეთი შეადგინა.

საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 17 აგვისტოს მეფოდი აგაფონისძე სეგაკი კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და თანამდებობიდან მოხსნა. დადგენილებაში ნათქვამია: მეფოდი აგაფონისძე სეგაკი არის კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, ხალხის მტერი, დივერსანტი, ჯაშუში.³⁹ დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს, რომელმაც უყოყმანოდ დაამტკიცა ის ფაქტი, რომ დამახინჯებები იყო კადრების განაწილება-დანიშვნაში, ანდა ტრანსპორტირებისას ჩაის ნაწარმი გაფუჭდა, ამ ბრალდებით ადამიანების ხალხის მტრად, შპიონად, დივერსანტად შერაცხვა საფუძველს მოკლებულია. 1937 წელს ტროცკისტების ბრალდებით 10 წლით რუსეთის ფედერაციის შორეულ აღმოსავლეთის შრომა-გასწორების ბანაკში გადაასახლეს ნადეჟდა ვლადიმერის ასული სეგაკი.

მიხეილ ევლოკიმესძე ტრეტიაკოვი (დაბადებული 1893 წელს), ეროვნებით რუსი, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1925 წლიდან. იგი მუშაობდა ჩაქვის ჩაის ფაბრიკის ელექტროსადგურის გამგედ. მიხეილ ტრეტიაკოვი თითქოს დაკავშირებული იყო მტრულ ელემენტებთან, ეწეოდა შპიონაჟსა და დივერსიულ მუშაობას. ამ ყალბი ბრალდებით იგი 1937 წლის 6 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს.⁴⁰ მიხეილ ევლოკიმესძე ტრეტიაკოვი შინსახკომმა დააპატიმრა. ოჩხამურის ჩაის ფაბრიკის სამეურნეო ნაწილის გამგე გიორგი ივლიანესძე ღლონტი, დაბადებული 1904 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1929 წლიდან, კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით საქართველოს კომპარტიის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 31 ოქტომბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1939 წლის 3

³⁸ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 22, ფურც. 72-73; ს. 25, ფურც. 38.

³⁹ აცსა, ფ. პ-11, ან. 1, ს. 91, ფურც. 158; ს. 93, ფურც. 61-63; ფ. პ-1, ან. 4, ს. 223, ფურც. 88.

⁴⁰ აცსა, ფ. პ-11, ან. 2, ს. 91, ფურც. 13-14.

ნოემბრის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ამჟამად გიორგი ივლიანისძე დღონტი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

1937 წლის აგვისტოში კონტრრევოლუციურ ტროცკისტობის ბრალდებით დააპატიმრეს ქობულეთის რაიონის ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის დირექტორი იუსუფ სულეიმანისძე ყურშუბაძე, დაბადებულია 1905 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1929 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 31 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, როგორც შინსახკომის მიერ დაპატიმრებული და ხალხის მტრად, დივერსანტად, ჯაშუშად შერაცხული.⁴¹ ამ ბრალდების საფუძველზე საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, გადაასახლეს ურალში. მძიმე კატორღული პირობების მიუხედავად, სიცოცხლე შეინარჩუნა და 1947 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ამჟამად იუსუფ სულეიმანისძე ყურშუბაძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ურეხის ჩაის ფაბრიკის დირექტორი დურსუნ მემიასძე ფადავა, რომელიც ამ თანამდებობაზე 1936 წლის აგვისტოში დანიშნეს. რაჟდენ კონსტანტინესძე თავდიშვილი ურეხის ჩაის ფაბრიკის სასადილოს გამგედ მუშაობდა, რომელიც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს და დააპატიმრეს.

სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად მონათლეს დირექტორი ამბერკი ლორია (პარტიის წევრი 1926 წლიდან). დომენტი სიმონისძე ჟღენტი, ირაკლი ივანესძე ქუთათელაძე, შალვა მარდანეიშვილი, ილია სარჯველაძე, ალექსანდრე მაქსიმესძე მირონოვი, ტყეშელაძე და სხვები. დომენტი ჟღენტი სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა 1898 წლიდან (დაბადებულია 1873 წელს). იგი იყო გამოცდილი მუშა. ბრალად წაუყენეს კაპიტალისტ პოპოვის ფაბრიკაში მუშაობა. ძირითადი ბრალდება იმაში მდგომარეობდა, რომ ადრე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ირიცხებოდა. ამ პარტიის წევრი იყო მისი შვილი გრიგოლ ჟღენტი და სიძეები ალექსანდრე დოლიძე და ნოფე ჯაში. სალიბაურის ჩაის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე (1937 წლის 18 აგვისტო) განიხილეს დომენტი ჟღენტის კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტული საქმიანობა. პარტიული კრების დადგენილებით მოხსნეს სამუშაოდან, ხოლო შვილი გრიგოლ (გრიშა) დომენტისძე ჟღენტი, მენშევიკებისადმი მხარდაჭერისათვის, გადასახლებაში იმყოფებოდა. 1934 წელს დაბრუნდა, მაგრამ არასაიმედოდ ითვლებოდა, ხელმეორედ დააპატიმრეს და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.

ირაკლი ივანესძე ქუთათელაძე სალიბაურის ჩაისბაფრიკაში ნორმადარად მუშაობდა, მის მიმართ წაყენებული ბრალდება ის იყო რომ მამა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობაში მუშაობდა და მენშევიკების ერთგული რჩებოდა. ამისათვის ივანე ქუთათელაძე შეიპყრეს და დახვრიტეს. ირაკლი ქუთათელაძემ დამალა ეს ამბავი. ამის გამო მას არასაიმედო პიროვნებად თვლიდნენ და პარტიული კრების დადგენილებით სამუშაოდან მოხსნეს. შალვა მარდალეიშვილის კონტრრევოლუციური საქმიანობა გამოიხატა ტროცკისტული ოპოზიციისადმი თანაგრძნობით. ამ ბრალდებით შალვა მარდალეიშვილის

⁴¹ იქვე, ფურც. 223-224; აცსა, ფ. პ-1, ან. 8, ს. 39, ფურც. 35.

საქმე შინსახკომს გადაეცა ილია სარჯველაძე სამუშაოდან მოსსნეს იმის გამო, რომ ბრალად ეუებოდა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობდა.⁴²

აჭარაში XX საუკუნის 30-იან წლებში დიდი მასშტაბის კაპიტალური მშენებლობანი მიმდინარეობდა. ყველაზე მძლავრი სამშენებლო ორგანიზაციები იყო „საქარხნმშენი“ და აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის (აწქესის) კომპანია. რეპრესიების ორგანიზატორებმა ამ დარგშიც „აღმოაჩინეს“ ხალხის მტრები. კონტრევოლუციურ-ტროცკისტული და დივერსიული საქმიანობის ყალბი ბრალდებები შინსახკომმა 1937 წლის ივლისში დააპატიმრა „საქარხნმშენის“ უფროსი მიხეილ მაღაქიასძე ჭელიძე. მისი კონტრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა იმაში გამოიხატებოდა, თითქოს გამიზნულად ცუდად აგებდნენ ობიექტებს. ამ ყალბი ბრალდებით იგი საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 22 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, რომლის წევრიც 1931 წლიდან იყო. მიხეილ მაღაქიასძე ჭელიძე დაბადებულია ოზურგეთის მაზრაში 1989 წელს. იგი დახვრიტეს ქ. ბათუმში 1937 წელს.⁴³ ამჟამად მიხეილ მაღაქიასძე ჭელიძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

მიხეილ ჭელიძის დაპატიმრების შემდეგ „საქარხნმშენის“ მმართველად მუშაობდა ილია ვასილისძე ცხოვრებოვი (დაბადებული 1906 წელს), რომელიც კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1929 წლიდან. შინსახკომმა ილია ვასილისძე ცხოვრებოვი ასევე შეამკო კონტრევოლუციონერ-ტროცკისტობაში და 1937 წლის დეკემბერში დააპატიმრა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 24 დეკემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, როგორც ხალხის მტრის ბრალდებით დაპატიმრებული.⁴⁴

აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 1924 წელს დაიწყო. იგი 1927 წელს შეჩერდა და ოთხი წლის შემდეგ განახლდა. სამშენებლო კოლექტივი მრავალრიცხოვანი და მრავალეროვნული შემადგენლობისა იყო. 1935 წლის ბოლოს აწქესის კოლექტივი 1638 კაცს ითვლიდა.⁴⁵ შექმნილი იყო შტატიანი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, გამოდიოდა მრავალტირაჟიანი საუწყებო გაზეთი. პარტიულ ორგანიზაციასთან ფუნქციონირებდა პოლიტიკური განათლების კაბინეტი. აწქესის სამშენებლო კოლექტივს 1931 წლიდან ხელმძღვანელობდა გრიგოლ ნესტორისძე ქორიძე, დაბადებული 1902 წელს ჩოხატაურის რაიონში, ჰქონდა უმაღლესი განათლება. კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1919 წლიდან. არჩეული იყო პარტიის ბათუმის რაიკომის წევრად. ანტისაბჭოთა საქმიანობის ყალბი ბრალდებით აწქესის პარტიულმა კომიტეტმა 1937 წლის 25 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. 28 ივლისს საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომმა დაამტკიცა აწქესის პარტიული ორგანიზაციის დადგენილება.⁴⁶

⁴² აცსა, ფ.პ-526, ან. 1, ს. 3, ფურც. 3, 68-80.

⁴³ აცსა, ფ.პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 186-187, 195; რ. სურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

⁴⁴ აცსა, ფ.პ-6, ან. 12, ს. 26, ფურც. 178.

⁴⁵ ო. თურმანიძე, აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940). ბათუმი, 2012, გვ. 311.

⁴⁶ აცსა, ფ. პ-7, ან. 1, ს. 59, ფურც. 55.

შინსახკომის მიერ შეთითხნილი მასალებით გრიგოლ ქორიძეს ბრალად ედებოდა: თითქოს იყო წევრი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ-დევერსიული, ტერორისტულ-ჯაშუშური ორგანიზაციისა, რომლის დავალებითაც ეწეოდა მავნებლობას აწქესის მშენებლობაზე, შედიოდა საბრძოლო ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობაში, იბირებდა ახალ წევრებს, ახორციელებდა ჯაშუშურ საქმიანობას უცხოეთის დახვეწვის სასარგებლოდ. ეს ყალბი ბრალდება გააფორმეს სისხლის სამართლის კოდექსის უმძიმესი მუხლებით: 58-1ა (სამშობლოს დაღატი), 58-7 (საბოტაჟი, 58-8 (ტერორი), 58-1 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადება და ჩადენისათვის. მსჯარვდებულთა სიას, რომელშიც გრიგოლ ქორიძეც შედიოდა, თანხმობაზე სტალინმა, მოლოტოვმა, კაგანოვიჩმა, ვოროშილოვმა ხელი მოაწერეს 1937 წლის 21 ოქტომბერს. საქართველოს შინსახკომის 1937 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით დახვრეტა მიუსაჯეს, იგი დახვრიტეს მეორე დღეს. ამჟამად გრიგოლ ნესტორისძე ქორიძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. ვ.დ. მკერვალიშვილი აწქესის მშენებლობის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. იგი კომპარტიის წევრი არ ყოფილა. აწქესის კოლექტივის კრებაზე, როდესაც საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის შედეგები იხილებოდა, უთქვამს: „ხეს ჭრიან, ნაფოტები ცვივა. კომუნისტები ცუდად აკეთებენ, უპარტიოებს კი გვიხდება ვაგოთ პასუხი“. ოფიციალური ცნობით ვ. მკერვალიშვილი ხშირად ამბობდა: „დღეს ოჯახში ვწევარ, ხვალ სად გამოვიდვიტებ არ ვიცი“.⁴⁷ ეს გამონათქვამები გახდა მისი რეპრესირების საფუძველი. ვ. მკერვალიშვილი მოხსნეს სამუშაოდან, დააპატიმრეს და რუსეთის უკაცრიელ მხარეში გადაასახლეს. როგორც უკვე ითქვა, 1937 წელს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს აწქესის პარტიული კომიტეტის მდივანი ნიკოლოზ მჟავანაძე.

კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული პროპაგანდის ბრალდებით 1937 წელს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს აწქესის მშენებლობის ინჟინრები არკადი გრიგოლისძე ცივლინი, ოლიფანტე მარკოზისძე კაჭარავა, ვლადიმერ გრიგოლისძე კაშუტნი, მომარაგების განყოფილების გამგე იასონ გიორგისძე ბუალავა, მშენებლობის მემანქანე ნიკოლოზ ანდროსძე ბატინკო, მუშა-მოსამსახურეთა (პროფკავშირი) კომიტეტის მდივანი ვიტალი ანტონისძე იასინსკი, ტიტე მელიტონისძე დანელია და სხვები. მსჯავრდებულებიდან 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს იასონ გიორგისძე ბუალავა და ტიტე მელიტონისძე დანელია. მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მაგალითად, ინჟინერ ოლიფანტე მარკოზისძე კაჭარავას ბრალად ედებოდა: ხალხის მტრად შერაცხულ მჟავანაძესთან და დანელიასთან (პარტკომის მდივანი და პროფკომიტეტის თავმჯდომარე) კავშირურთიერთობა; „ანტისაბჭოთა ლაყობის“ წინააღმდეგ არ იბრძოდა; ერთ-ერთ თანამშრომელთან უთქვამს: „მეც, მგონი დამაპატიმრებენ!“ აწქესის კომუნისტების აღრიცხვის ჟურნალის დათვალიერებისას, რომელიც იასინსკის მიერ იყო შედგენილი, მჟავანაძის პარტიიდან გარიცხვის გამო განუცხადებია: „საწყალი იასინსკი, დაწერა მჟავანაძე-

⁴⁷ იქვე, ს. 210, ფურც. 48-49. ეს გამონათქვამები გახდა მისი რეპრესირების საფუძველი.

ზე გარიცხვა და შემდეგ თვითონ ჩავარდაო“, ტელეფონით საუბარი ჰქონდა ტროცკისტად შერაცხულ კალანდაძის მეუღლესთან.⁴⁸

ადამიანების მიმართ ასეთი მიდგომა, სიძულვილით თვალთვალი და დაბეზღებები ერთხელ კიდევ გვიჩვენებს მაშინდელი საზოგადოების პოლიტიკურ სახეს. საზოგადოების ასეთი პოლიტიკური და სულიერი მდგომარეობის შექმნაში დამნაშავეა მმართველი პარტია, რომ იგი ადამიანების აღზრდის, კეთილმოსურნეობის ატმოსფეროს შექმნის ნაცვლად ეგოიზმს, კაცთმოძულეობას ნერგავდა.

დაპატიმრებანი მომდევნო წლებშიც მიმდინარეობდა. 1938 წლის იანვარში დაპატიმრეს აწქესის სამშენებლო უბნის სამუშაოს მწარმოებელი ილია ნიკოლოზისძე კრატუნოვი, აწქესის მილიციის პოლიტხელმძღვანელი ეგნატე იოსებისძე გურიანი და ასაფეთქებელი მასალების საწყობის გამგე ზაქრო ერმილესძე ჩხაიძე. მათ ბრალად დასდეს კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა, რის გამო შინსახკომმა დააპატიმრა. აწქესის პარტიულმა ორგანიზაციამ 1938 წლის 13 თებერვალს ილია კრატუნოვი და ეგნატე იოსებისძე გურიანი გარიცხა კომუნისტური პარტიიდან, ხოლო ზაქრო ჩხაიძე–თანამგრძნობთა ჯგუფიდან. 1938 წლის აპრილში აწქესის პარტიული კომიტეტიდან გარიცხეს პასუხისმგებელი ხელმძღვანელები მუავანაძე, სალაძე, ბუაჩიძე, რომლებიც ადრე დაპატიმრებულები იყვნენ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით.⁴⁹

სარეწაო კოოპერაცია ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაცია იყო აჭარაში. 1937 წელს სისტემაში 1400 კაცი მუშაობდა. შინსახკომმა სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი ფალსიფიცირებული საქმეები შექმნა, რის შედეგად „კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტის“ ბრალდებით რეპრესიის მსხვერპლი აღმოჩნდნენ ხელმძღვანელები, მათ შორის: ევგენი სიხარულიძე (თავმჯდომარე), კონსტანტინე ხოფერია, იოსებ გიორგაძე, ანდრონიკ მამიკონიანი, მეგრელიძე, გახოკიძე, არზუმიანი და სხვები, რომლებიც აპარატში მუშაობდნენ. ისინი კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, სამუშაოდან მოსხნეს და დააპატიმრეს. ევგენი ნიკოლოზისძე სიხარულიძე დაბადებულია 1888 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ამაღლებაში. ოფიციალური ცნობით კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობისათვის ორჯერ გრიცხული იყო კომუნისტური პარტიიდან. 1928 წელს სამი წლით გადასახლებული იყო. კომუნისტურ პარტიაში აღდგენის შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეწაო კოოპერაციის თავმჯდომარედ დანიშნეს. ეს საკმაოდ მაღალი თანამდებობა იყო. მაგრამ 1936 წლის 10 აპრილს დააპატიმრეს. ბრალად წაუყენეს, კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ საქმიანობასთან ერთად, თვალთმაქცობა. ევგენი სიხარულიძე ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბათუმის ციხეში იჯდა. იგი შეიყვანეს პირველი კატეგორიის დამნაშავეთა სიაში, დასჯის თანხმობაზე ხელი აქვთ მოწერილი სტალინს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს და მიქოიანს. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 11 ივლისის განჩინებით დახვრეტა მიუსაჯეს. დახვრიტეს მეორე დღეს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 9 აგვისტოს განჩინებით რეაბილიტირებულია დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო (ცნობა

⁴⁸ აცსა, ფ.პ-7, ან. 1, ს. 59, ფურც. 56.

⁴⁹ აცსა, ფ.პ-816, ან. 1, ს. 12, ფურც. 5.

N4H – 02700 /5/.⁵⁰ ანდრონიკ არაკელისძე მამიკონიანი, დაბადებული 1905 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1925 წლიდან, მუშაობდა სარეწაო კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 14 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. იგი დაპატიმრეს და საქმე მოსკოვში გაიგზავნა სასჯელის დადგენის მიზნით. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით დახვრიტეს. ანდრონიკ არაკელისძე მამიკონიანი ამჟამად რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. საგულისხმოა, რომ 1937 წლის მაისიდან 1938 წლის აპრილამდე სარეწაო კოპერაციის პარტიული ორგანიზაციის 48 წევრიდან 20 კომუნისტი (40%) „ხალხის მტრად“ იყო შერაცხული.⁵¹ დაპატიმრებულების ნაწილი დახვრიტეს, ხოლო სხვები რუსეთის უკაცრიელ მხარეში გადაასახლეს. ბათუმში დახვრეტილთა სიაშია შეტანილი სარეწაო კოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კონსტანტინე ალექსანდრესძე ხოფერია. სარეწაო კავშირის კულტურის მუშაკი აკოფ ვართანისძე ვოიზიანი, რომელიც პარტიის წევრობის კანდიდატი იყო 1932 წლიდან (დაბადებული 1909 წელს, ეროვნებით სომეხი) საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1937 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით პარტიის წევრობის კანდიდატობიდან გარიცხეს ფარული კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, ორპირი. ამ ფალსიფიცირებული ბრალდებით დააპატიმრეს და 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1955 წლის 7 მაისის განჩინებით აკოფ ვართანისძე ვოიზიანი რეაბილიტირებულია.⁵²

ადმინისტრაციულ პერსონალის გარდა დააპატიმრეს სარეწაო კავშირში გაერთიანებული არტელების თავმჯდომარეები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. 1936-1937 წლებში სარეწაო კავშირში გაერთიანებული იყო არტელები „კოოპერატორი“, „მკერავი“, „თვითშრომა“, „ქალთა გამარჯვება“, „ქალთა შრომა“, „საჭაპანო ტრანსპორტი“, „კავკაზი“, „აჭარფოტო“, „ქიმშრომა“, „პირველი მაისი“, „დამკვერელი“, „სხივი“, „პურის გემო“, „ელექტრომშენებლობა“, „ნაპერწკალი“, „გამცილებელი“, „კუსტპრომა“, „მეტალურგი“, „ლაზი“, „გაერთიანება“ (ქობულეთის რაიონი). 1937 წლის 19 ივნისს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა არტელი „კოოპერატორის“ თავმჯდომარის შალვა ილარიონისძე ჯაშის საქმე. მას ბრალად წაუყენეს 1922-1923 წლებში ნაციონალ-უკლონისტებისა და 1927-1928 წლებში კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებისადმი მხარდაჭერა, „83-ის პლატფორმაზე“ ხელმოწერა. ამ ბრალდებით კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად გამოაცხადეს. შალვა ილარიონისძე ჯაში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, რომლის წევრი 1917 წლიდან იყო, საქმე შინსახკომს გადაეცა. შინსახკომმა მას წაუყენა სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლი: 58-8 და 58-11, რაც ნიშნავდა ტერორს და ყოველ-

⁵⁰ ინტერნეტის მასალა: სტალინური სიები საქართველოდან (ელექტრონულ მონაცემთა ბაზა).

⁵¹ აცსა, ფ. პ-347, ან. 1, ს. 11, ფურც. 28, 43; ს. 12, ფურც. 14-17; ს. 13, ფურც. 20; ფ.პ-1, ან. 9, ს. 15, ფურც. 292.

⁵² რ. სურმანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 76; აცსა, ფ.პ-1, ან. 8, ს. 377, ფურც. 179-180.

გვარ ორგანიზებულ ქმედებას დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოდექსის 1937 წლის განჩინებით შალვა ილარიონისძე ჯაში დახვრიტეს. ამჟამად იგი რეაბილიტირებულია. 1958 წლის სექტემბერის კომუნისტურ პარტიაშიც აღადგინეს.⁵³

ფარულ ტროცკისტად შერაცხეს არტელ „გამცილებლის“ თავმჯდომარე გიორგი ივანესძე ბოგატირევი. იგი დაბადებულია 1902 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1928 წლიდან. კონტრრევოლუციურ ტროცკისტული ბრალდებით 1937 წლის ივნისში შინსახკომმა დააპატიმრა, ხოლო ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ პარტიიდან გარიცხა.⁵⁴ არტელ „თვითშრომის“ თავმჯდომარის გაბრიელ ნიკოლოზისძე გიორგაძის მიმართ წაყენებული ერთ-ერთი ბრალდება ის იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში მსახურობდა. კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს, შინსახკომმა დააპატიმრა და საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის ივლისში კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. გაბრიელ ნიკოლოზისძე გიორგაძე 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.⁵⁵

მიხეილ ართუნიანისძე ოვაკიმიანი, ეროვნებით სომეხი, არტელ „მკერავის“ თავმჯდომარედ მუშაობდა. დაბადებულია 1907 წელს. კომუნისტურ პარტიაში მიიღეს 1928 წელს. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 1937 წლის ივლისის დადგენილებაში ნათქვამია, რომ მიხეილ ოვაკიმიანს კავშირი ჰქონდა ტროცკისტებთან. ამასთან, სისხლის სამართლის დამაშავვა, რადგან კომუნისტურ პარტიასა და შინსახკომს აკრიტიკებდა. ამ ბრალდებით კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს. 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.⁵⁶ მისი მეუღლე ესფირ იაკოვლევის ასული ოვაკიმიანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშინაო ვაჭრობის კომისარიატში მუშაობდა. იგი კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1932 წლიდან.

ესფირ იაკოვლევის ასული ოვაკიმიანი მტკივნეულად განიცდიდა ქმრის დაპატიმრებას. ყოველთვის იცავდა ქმარს, რომ იგი დამნაშავე არ იყო და უსამართლოდ დააპატიმრეს. ესფირ იაკოვლევის ასულ ოვაკიმიანს აბრალებდნენ, რომ ვერ ამხილა ქმარი, როგორც კონტრრევოლუციონერი. ამ მბარდებას იგი დაბეჯითებით პასუხობდა: ჩემი ქმრისათვის არ შემიძნევეია კონტრრევოლუციური საქმიანობა, დამნაშავე არ არის. მიუხედავად ამისა, ესფირ იაკოვლევის ასული ოვაკიმიანი საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის პარტიულმა ორგანიზაციამ 1937 წლის 28 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და დააპატიმრეს.⁵⁷

ანდრია სერგოსძე ოვანეზოვი დაპატიმრებისას სარეწაო არტელ „მეტალურგის“ თავმჯდომარედ მუშაობდა. იგი დაბადებულია ქბათუმში 1908 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1931 წლიდან. საშუალო განათლება ჰქონდა. 1937 წლის ივლისში შინსახკომმა დააპატიმრა კონტრრევოლუციურ-ტროცკის-

⁵³ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 63.

⁵⁴ იქვე, ფურც. 110-111.

⁵⁵ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 113-114.

⁵⁶ იქვე, ფურც. 115-116; რ. სურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

⁵⁷ აცსა, ფ. პ-88, ან. 1, ს. 2, ფურც. 46-49.

ტული საქმიანობის ბრალდებით: ტერორისტული აქტი (სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 მუხლი), საბოტაჟი (მუხლი 58-7), ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის (მუხლი 58-11). საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 14 ივლისს გარიცხა კომუნისტური პარტიიდან. ბიუროს დადგენილებაში წერია, რომ ანდრია სერგოსძე ოგანეზოვს კავშირი ჰქონდა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებთან (სიხარულიძე, ხოფერია, გიორგაძე, მამიკონიანი, ოვაკიმიანი, არზუმაიანი). ანდრია ოგანეზოვი არის ფარული ტროცკისტი.

საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით ანდრია სერგოსძე ოგანეზოვს სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა მიუსაჯეს. იგი დახვრიტეს ქ. ბათუმში 1937 წლის 30 ნოემბერს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების 1 პუნქტის თანახმად რეაბილიტირებულია.⁵⁸

1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს არტელი „კოოპერატორის“ თავმჯდომარე ალექსანდრე ამბარცუმისძე ბალანოვი, ეროვნებით სომეხი, რომელიც დაბადებულია 1896 წელს. იგი კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1924 წლიდან. ალექსანდრე ბალანოვის მიმართ წაყენებული ბრალდებაც იყო კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა. ამ ფალსიფიცირებული ბრალდების საფუძველზე იგი შინსახკომმა დააპატიმრა, ხოლო საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 22 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. მიხეილ ოვაკიმიანის დაპატიმრების შემდეგ არტელ „მკერავის“ თავმჯდომარედ დანიშნეს სარქის მიხეილისძე დალაკოვი, რომელმაც ამ თანამდებობაზე მცირე ხანს იმუშავა. 1937 წლის აგვისტოში სარქის მიხეილისძე დალაკოვი კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტული ბრალდებით შინსახკომმა დააპატიმრა, ხოლო საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. ასეთივე ხვედრი ერგო არტელ „აჭარფოტოს“ თავმჯდომარეს ივანე აკოფისძე აშრაფიანს, რომელიც დაბადებულია 1896 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1932 წლიდან.⁵⁹

სარეწაო არტელ „ეკონომიკას“ თავმჯდომარედ მუშაობდა აპოლონ მაღაქისძე ბასილია. იგი დაბადებულია 1897 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1925 წლიდან. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტობის ბრალდებით 1937 წლის აგვისტოში შინსახკომმა დააპატიმრა. ამ ფაქტის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 22 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. აპოლონ მაღაქისძე ბასილია 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს. ამავე ბრალდებით დააპატიმრეს არტელ „ეკონომიკას“ მებუფეთე ელისე კაპიტონისძე მამალაძე. იგი დაბადებულია 1902 წელს, კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს 1926 წელს. 1937 წლის 22 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს. ანალოგიური ბრალდებით დააპატიმრეს არტელი „ენერგიის“ თავმჯდომარე გრიგორ კონდრატისძე ფასეიშვილი, რომელიც კომუნის-

⁵⁸ აცსა, ფ. პ- 347, ან. 1, ს. 12, ფურც. 17-18; სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001, გვ. 64.

⁵⁹ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 25, ფურც. 37-38.

ტური პარტიიდან გარიცხეს და „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს⁶⁰. „კონტრრევოლუციურ საქმიანობის“ ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს სარეწაო კოოპერაციის ერთ-ერთი არტელის თავმჯდომარე ტარასი მერაბისძე დოლიძე. იგი დაბადებულია 1880 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1921 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა 1937 წლის 15 ოქტომბერს ბრალდებით კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, ხალხის მტერი. ტარასი მერაბისძე დოლიძე ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს.⁶¹

გაბრიელ ნიკოლოზისძე გიორგაძე კომუნისტური პარტიის წევრად 1921 წელს მიიღეს (დაბადებულია 1895 წელს). საბჭოთა ხელისუფლების დროს არაერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. 1929 წელს აჭარისწყლის პიდროელექტროსადგურის სამშენებლო კომპანიის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა. 1937 წლისათვის სარეწაო კავშირის არტელ „თვითშრომის“ თავმჯდომარე იყო. გაბრიელ გიორგაძეს ბრალად წაუყენეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში სამსახური და ფარულ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს. ამ ბრალდებით საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის ივლისში კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და საქმე შესასწავლად შინსახკომს გადასცა. ფალსიფიცირებული მასალების საფუძველზე საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით გაბრიელ ნიკოლოზისძე გიორგაძე დახვრიტეს. აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1957 წლის 1 ივნისის დადგენილებით რეაბილიტირებულია. 1959 წელს იგი კომუნისტურ პარტიაშიც აღადგინეს.

სამსონ დიმიტრისძე ცინცაბაძე სარეწაო კავშირის არტელ „ქიმშრომაში“ მუშაობდა. კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1905 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ იგი 1938 წლის 27 მარტს პარტიიდან გარიცხა იმ მოტივით, რომ 1922-1923 წლებში მონაწილეობდა „ნაციონალ-უკლონისტების“ ორგანიზაციაში, ხოლო 1927-1928 წლებში მხარს უჭერდა ტროცკისტულ ოპოზიციას, ხელი მოაწერა „83-ის პლატფორმას“.

მურად რასიყისძე ლორთქიფანიძე არტელ „კუსტპრომის“ თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. დაბადებულია ქედის რაიონში 1891 წელს. კომუნისტურ პარტიაში მიიღეს 1926 წელს. დააბრალეს კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა, „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს. ამ ბრალდებით 1937 წლის სექტემბერში შინსახკომმა დააპატიმრა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 15 სექტემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. მურად რასიყისძე ლორთქიფანიძე 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.⁶² ამჟამად რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

ამავე ბრალდებით 1937 წლის ნოემბერში შინსახკომმა დააპატიმრა არტელი „საჭაპანო ტრანსპორტის“ თავმჯდომარე ლუკა გიორგისძე ბოგვერაძე, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1930 წლიდან. იგი კომუნის-

⁶⁰ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 25, ფურც. 39-41, 85.

⁶¹ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. ს. 129, ფურც.

⁶² აცსა, ფ. პ-1, ან. 9, ს. 353, ფურც. 107; ან. 11, ს. 323, ფურც. 1-7; ფ. პ-6, ან. 12, ს. 12, ს. 25, ფურც. 128; გვზ. აჭარა, 1997, 17 მაისი (N95-96).

ტური პარტიიდან გარიცხა სარეწაო კავშირის პარტორგანიზაციამ, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ აღნიშნული დადგენილება უყოყმანოდ დაამტკიცა. ლუკა გიორგის ძე ბოგვერაძის ბრალდებულთა იმაში გამოიხატებოდა, რომ კავშირურთიერთობა ჰქონდა ტროცკისტებთან და ამის გამო თვითონაც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად მონათლეს. სარეწაო არტელი „გაერთიანება“ ქობულეთის რაიონში იყო. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის XI რაიონულ კონფერენციაზე (1938 წლის 25 მაისი) ითქვა, რომ არტელ „გაერთიანებაში“ 10 ადამიანი ხალხის მტერი აღმოჩნდა, რომლებიც თურმე ხელს უშლიდნენ მუშაობაში.⁶³

1937-1938 წლებში სასტიკი რეპრესიები განიცადეს ტრანსპორტის მუშაკებმა. მაშინ აჭარაში ოთხი სახეობის ტრანსპორტი არსებობდა: საჭაპანო, საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო. საჭაპანო ტრანსპორტის შესახებ ზემოთ ითქვა. საზღვაო ტრანსპორტი წარმოდგენილი იყო ბათუმის პორტის სახით, რომელიც საქართველოს საზღვაო ჭიშკარს წარმოადგენს. 1936 წელს და 1937 წლის პირველ ნახევარში ტრანსპორტის მუშაკებს პარტიიდან რიცხავდნენ, თანამდებობიდან ხსნიდნენ, ზოგ შემთხვევაში აპატიმრებდნენ. მაშინ დახვრეტები სისტემატური არ ყოფილა. 1937 წლის მეორე ნახევარში და 1938 წელს პორტის მუშაკების დაპატიმრება-გადასახლება-დახვრეტები მასობრივი გახდა.

ვასილ ერმილისძე ბერძენიშვილი ჩოხატაურის რაიონიდან იყო. ბათუმის პორტში მუშად მუშაობდა. დაბადებულია 1894 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1925 წლიდან. მის მიმართ წაყენებული ბრალდება ის იყო, რომ 1928 წელს ხელი მოაწერა „83-ის პლატფორმას“. ამის გამო 1929 წელს პარტიული საყვედური გამოუცხადეს. შემდგომ აღიარა შეცდომა, ჩამოშორდა ოპოზიციას. მაგრამ მაინც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად თვლიდნენ. საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული სამეულის 1936 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასხელის მოხდის შემდეგ 1950 წელს სპეცგადასახლებაში იმყოფებოდა. აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1957 წლის 16 აპრილის დადგენილებით ვასილ ერმილესძე ბერძენიშვილი რეაბილიტირებულია. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1957 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით კომუნისტურ პარტიაში აღდგენილია 1925 წლიდან.

ასეთივე ხვედრი წილად ხვდა ბათუმის პორტის მუშას გია ამბაკოსძე მამალაძეს, რომელიც დაბადებულია ჩოხატაურის რაიონში 1890 წელს. იგი კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1918 წლიდან. გ. მამალაძე 1936 წელს დააპატიმრეს ბრალდებით ხელი მოაწერა „83-ის პლატფორმას“. ასეთი პოზიცია „კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებისადმი“ თანაგრძნობას ნიშნავდა. 1929 წელს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს. შემდგომში მოინანია და ორი წლის შემდეგ პარტიაში აღადგინეს. მაგრამ ფარულ ტროცკისტად თვლიდნენ და საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1936 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1950 წლიდან სპეცგადასახლებაში იმყოფებოდა. აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის ამბაკოსძე მამალაძე რე-

⁶³ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 26, ფურც.127- 128; ფ. პ-11, ან. 2, ს. 117, ფურც. 16.

აბილიტირებულია. 1957 წელს კომუნისტურ პარტიაში აღადგინეს 1918 წლის სტატუსით.

კონტრრევოლუციურ-ტროცკისტების საჯარო სასამართლო პროცესების გამო ტრანსპორტის მუშაკებიც გაოცებული იყვნენ. ზოგიერთები გაბედულად გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებას, რაც მათი დასჯის საფუძველი ხდებოდა. მაგალითად, 1937 წლის იანვარში პორტში ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ტროცკისტული პარალელური ცენტრის სასამართლო პროცესს. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა მუშა დოცენკო, რომელიც იცავდა ტროცკის შეხედულებას. იმის გამო მოხსნეს პორტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნიკოლოზ თევდორესძე კრული.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 27 თებერვალს განიხილა ბათუმის პორტის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ნიკოლოზ კრულმა ვერ გამოიჩინა პოლიტიკური სიფხიზლე. პორტში მომრავლდნენ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები. მათ შორის: თოფურიძე, დოლიძე, ბოჭორიშვილი, მაგონი, თავართქილაძე, მიქაშავიძე, თოდრია, მეღუა, ბოლქვაძე და სხვები. 1937 წლის თებერვალში პორტის პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა ნიკოლოზ თევდორესძე კრული. იგი დაბადებულია 1904 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან. პორტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის დადგენილება 1937 წლის 9 მარტს დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ.⁶⁴

ბათუმის პორტის მუშა-მოსამსახურეებს, როგორც სხვებს, სამუშაოდან ათავისუფლებდნენ, კომუნისტური პარტიიდან რიცხავდნენ, აპატიმრებდნენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ოჯახის წევრები თუ ნათესავები დაპატიმრებულები ჰყავდათ, ანდა გაბედულად გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებას, როგორც კულუარებში, ისე საჯაროდ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ და სხვა. მაგალითად, ქრისტეფორე ივანესძე მეღუა კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1907 წლიდან (დაბადებულია 1879 წელს). ბათუმის პორტში მუშაობდა საწყობის გამგედ. მას გაუხსენეს, რომ 1927 წელს ითვლებოდა ტროცკისტული ორგანიზაციის წევრად. თავის დროზე განცხადებაც დაუწერია, რომ წყვეტდა კავშირს ტროცკისტებთან, მაგრამ, ხელისუფლების ცნობით, ფარული ტროცკისტი, ორპირი იყო. ცოლიც და შვილიც ტროცკისტებად მოიაზრებოდნენ. ამ ბრალდებით საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 1 იანვარს ქრისტეფორე ივანესძე მეღუა პარტიიდან გაირიცხა. ვასილ ელისესძე გრიგორაში დაბადებულია 1903 წელს, კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი იყო 1931 წლიდან. იგი ბათუმის პორტში მუშაობდა მუშაობდა. ტროცკისტებთან კავშირუროთიერთობის ბრალდებით 1937 წლის თებერვალში პარტიის წევრობის კანდიდატობიდან გარიცხეს და დაპატიმრეს.⁶⁵ ვლადიმერ ბესარიონისძე მექვაბიშვილი კომუნისტური პარტიის რიგებში. 1917 წლიდან ირიცხებოდა. იგი ბათუმის პორტის მუშათა შორის აქტიური

⁶⁴ აცსა, ფ.პ-1, ან 4, ს. 210, ფურც. 27-31; ფ.პ-6, ან. 12, ს. 23, ფურც. 8. ფ.პ-1, ან.9, ს. 76, ფურც. 250-252.

⁶⁵ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 22, ფურც. 48, 73.

ტროცკისტი ყოფილა. 1937 წლის 29 იანვარს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს.

ბათუმის პორტის პარტიულმა ორგანიზაციამ 1937 წლის თებერვალში კომუნისტური პარტიიდან გარიცხა მეზღვაური გერასიმე სპირიდონისძე კუკულაძე. ბრალდებად წაუყენეს ორი გარემოება: პირველი ის, რომ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში მსახურობდა, მეორე, ძმა სამსონ სპირიდონისძე კუკულაძე დაპატიმრებულ იყო, რომელიც 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა პორტის პარტიული ორგანიზაციის დადგენილება გერასიმე სპირიდონისძე კუკულაძის კომუნისტური პარტიიდან გარიცხვის შესახებ.⁶⁶

ბათუმის პორტში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნები, დაპატიმრებები 1937-1938 წლებში განუწყვეტლად მიმდინარეობდა. 1937 წლის ივლისში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს პორტის კეთილმოწყობის სამსახურის გამგე გიორგი ფარსადანისძე გიორგობიანი. იგი დაბადებულია 1887 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1902 წლიდან. გიორგი გიორგობიანის ბრალეულობა იმაში მდგომარეობდა, რომ 1937 წლის 10 ივლისის მიტინგზე, რომელიც გაიმართა ბუდუ მდივნის, მ. ტოროშელიძის და სხვების სასამართლო განჩინებასთან დაკავშირებით, სინანული გამოთქვა. ცხადია, ძველი თაობის კომუნისტმა ყველაზე კარგად იცოდა ბუდუ მდივნისა და სხვა მსჯავრდებულების დამსახურება. ამიტომ სინანულის გამოსატყა ბუნებრივი, ადამიანური პროცესია. გიორგი ფარსადანისძე გიორგობიანი კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს. იგი პორტის პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 14 ივლისს დაამტკიცა პორტის პარტიული ორგანიზაციის დადგენილება. ამავე დღეს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს პორტის მუშა ხეპო ბარტანოსძე გრიგორიანი, რომელიც პარტიის წევრი იყო 1928 წლიდან (დაბადებულია 1899 წელს). ბრალად წაუყენეს დაშინაკების პარტიაში ყოფნა და ძმის ამერიკაში ცხოვრება.⁶⁷

კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით 1937 წლის ივლისისათვის სამუშაოდან დათხოვნილი იყო 18 კაცი. კომუნისტური პარტიიდან გარიცხვები, დაპატიმრება-დახვრეტები გრძელდებოდა. 1937 წლის ივლისში დააპატიმრეს პორტის მუშაკი დომენტი პეტრესძე კოკაია, დაბადებულია 1896 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1927 წლიდან. იგი კომუნისტური პარტიიდან გარიცხა პორტის პარტიულმა ორგანიზაციამ. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ პორტის პარტიული ორგანიზაციის დადგენილება 1937 წლის 9 აგვისტოს დაამტკიცა. დომენტი პეტრესძე კოკაია ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 9 აგვისტოს განიხილა ბათუმის პორტის მუშა-მოსამსახურეთა ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ. დადგენილებით გათვალისწინებული იყო 42 მუშა-მოსამსახურის სამუშაოდან დათხოვნა. 1937 წლის აგვისტოში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს პორტის დისპეჩერი არტემ ნესტორისძე

⁶⁶ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 22, ფურც. 48, 73.

⁶⁷ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 150; ს. 25, ფურც. 7, 25.

ლომთათიძე, რომელიც დაბადებულია 1895 წელს. კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1919 წლიდან. მას აბრალებდნენ ტროცკისტებთან კავშირს და ბათუმში ინგლისელების ბატარეაში სამსახურს. არტემ ნესტორისძე ლომთათიძის დასასჯელად გამოიყენეს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები: 58-7, 58-10, 58-11, რაც ნიშნავდა საბოტაჟს, აგიტაცია-პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით, ყოველგვარ ორგანიზებულ ქმედებას დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის. ამ მუხლების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეცკოლეგიის 1937 წლის ნოემბრის დადგენილებით 15 წლით პატიმრობა მიესაჯა. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს 1957 წლის 8 მარტის დადგენილებით არტემ ნესტორისძე ლომთათიძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

ამავე ბრალდებით 1937 წლის 22 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს პორტის გასამხედროებელი ნაწილის მეთაური შალვა ლავრენტისძე მახარაძე, რომელიც პარტიის წევრი იყო 1932 წლიდან (დაბადებულია 1897 წელს).⁶⁸

თეოდორ გაბრიელისძე მანხელიანი, დაბადებული 1912 წელს, პარტიის წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან, ბათუმის პორტის კარანტინის სამსახურის უფროსად მუშაობდა. მას ბრალად ედებოდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრობა, საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობა. იგი პარტიის წევრობის კანდიდატობიდან გარიცხეს და დააპატიმრეს. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით 10 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა ბათუმში. აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1956 წლის 27 მარტის დადგენილებით რეაბილიტირებულია.⁶⁹

„ხალხის მტრის“, მავნებლის იარაღიყით 1937 წლის სექტემბერში დააპატიმრეს ბათუმის პორტის უფროსი აკაკი ვასილისძე გოგენია, ბარჟის უფროსი მურად მემედისძე სოსელია, პორტის ტექნიკური ხელმძღვანელი პოლოსი მელიქონისძე ოვანესიანი, კარანტინის სამეურნეო ნაწილის გამგე გრიგოლ არუთინისძე კოკიანი, დისპეჩერი სერგეი იაკობისძე სახნოვი და სხვები. აკაკი ვასილისძე გოგენია დაბადებულია სენაკის მაზრაში 1892 წელს. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 15 სექტემბერს ხუთივე პიროვნება კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, როგორც კონტრრევოლუციონერთროცკისტები. აკაკი ვასილისძე გოგენია 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს. 1937 წლის ნოემბერში ანალოგიური ბრალდებით დააპატიმრეს პორტის ახალი უფროსი, ეროვნებით ებრაელი ისაკ აბრამისძე ვერენიდი, რომელიც დაბადებულია 1891 წელს, კომუნისტურ პარტიაში მიიღეს 1924 წელს. ისაკ აბრამისძე ვერენიდი 1937 წლის 25 ნოემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით დახვრიტეს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1955 წლის 14 მაისის განჩინებით ისაკ აბრამისძე ვერენიდი რეაბილიტირებულია ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

⁶⁸ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 25, ფურც. 25, 11, 42, 55; ფ.პ-1, ფნ. 9, ს. 218, ფურც. 109.

⁶⁹ აცსა, ფ.პ-1, ან. 8, ს. 375, ფურც. 214-215; ან. 11, ს. 70, ფურც. 1-12.

1937 წლის 25 ნოემბერს კომუნისტური პარტიდან გარიცხეს პორტის უფროსის მეუღლე ეფემია საგონას ასული ვერენიდი. იგი დაბადებულია 1904 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1931 წლიდან. ბრალდება ის გახდა, რომ არ ამხილა ქმარი, ისაკ აბრამისძე ვერენიდი, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, მავნებელი, „ხალხის მტერი“. კონტრრევოლუციონერ ტროცკისტობის ბრალდებით კომუნისტური პარტიდან გარიცხეს პორტის მუშა მაკარ სარქისისძე ასტურიანი. იგი დაბადებულია 1880 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1924 წლიდან.⁷⁰ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე აქიფ შერიფისძე ტანტიბამ, რომელიც დაპატიმრებისას შორეული ნაოსნობის კაპიტანი იყო. ეროვნებით აფხაზი, მაგრამ აჭარაში დაბადებული გაზრდილია. აქიფ ტანტიბამ შრომითი საქმიანობა მეზღვაურობით დაიწყო და ამ საქმიანობას 21 წელი შეაღია. უკვე 1927 წელს გემის კაპიტანი გახდა და მისი მეთაურობით ხომალდი ზღვებსა და დკეანეებს სერავდა. ზღვაოსნობაში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენით. მიუხედავად ამისა, 1937 წელს ხალხის მტრის მავნებლის ფალსიფიცირებული ბრალდებით დააპატიმრეს და უგზო-უკვლად დაიკარგა. ამჟამად აქიფ შერიფისძე ტანტიბა რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

შინსახკომია „კონტრრევოლუციონერ ტროცკისტები“ გამოავლინა რკინიგზის ტრანსპორტის სისტემაში. აჭარაში რკინიგზის ტრანსპორტის ხუთი ორგანიზაცია ფუნქციონირებდა: საორთქმავლო დეპო, დისტანცია, სავაგონო დეპო, სატვირთო სადგური და სამგზავრო სადგური. ყველა მათგანში შექმნილი იყო პირველადი კომუნისტური ორგანიზაცია. საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, რომლის უფროსი იყო როზენცვეიგი. კონტრრევოლუციონერ ტროცკისტობის ბრალდებით იგი 1937 წლის დასაწყისში დააპატიმრეს. რკინიგზის ტრანსპორტის ბათუმის კვანძის პარტიულ კრებაზე (1937 წლის 11 თებერვალი) აღინიშნა: როზენცვეიგის ბრძანებით ბათუმიდან გამიზნულად გაიყვანეს კარგი ორთქმავლები. ამასთან, ორთქმავლები გადაიყვანეს ნახშირზე, რის შედეგად გაუარესდა მატარებლების მოძრაობა, მგზავრთა გადაადგილება და ტვირთის გადატანა.⁷¹

ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის კვანძში კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებად ითვლებოდნენ ცაგარეიშვილი, წილოსანი, ეპიტოვი, აღლაძე, ბერძენიშვილი, ცენტერაძე, გორდელაძე, ნესტოროვი, მაგრაღიტაძე, ბიბილაშვილი, ჟორჟოლაძე, ბოგუცკი, ლომაძე, ჩხიკვაძე, ამადლობელი და სხვები. ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის საორთქმავლო დეპოში 1937 წლის 15 თებერვალს განიხილეს კომუნისტების ელიზბარ ჩაგუნავას, ერასტი სოსელიას, ონისე შენგელიას, ლუკა ჩახალაიას კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ. მათი ბრალეულობა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოთქვეს თავიანთი აზრი კონტრრევოლუციურ ტროცკისტული პარალელური ცენტრის მონაწილეთა სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. ისინი კომუნისტური პარტიდან გარიც-

⁷⁰ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 25, ფურც. 115, 126, 127, 128; ს. 26, ფურც. 151, 152; გაზ. აჭარა, 1997, 17 მაისი (N95-96). აცსა, ფ. პ-1, ან. 11, ს. 21, ფურც. 2-6.

⁷¹ აცსა, ფ. პ-86, ან. 1, ს. 1, ფურც. 3-7.

ხეს.⁷² სატვირთო სადგურის უფროსის ცაგარეიშვილის ბრალეულობა ის ითვლებოდა, რომ ცუდად გადააკეთა სადგურთან მიმავალი რკინიგზა, აგრეთვე დამახინჯებები იყო კადრების შერჩევა-დანიშვნაში, რის გამო ხდებოდა ავარიები და ადგილი ჰქონდა სხვა ნაკლოვანებებს. ამ მიზეზით კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს 18 კაცი.⁷³ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ასეთი შემთხვევები არ იყო. მაგრამ კონტრრევოლუციურ ტროცკისტობა არაფერ შუაშია.

გიორგი იოსებისძე გორდელაძე კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან. იგი მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის სადგურში. მის ბრალეულობა ის იყო, რომ 1922 წლამდე იმყოფებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში (მენშევიკები), მონაწილეობდა ანტისაბჭოთა გამოსვლებში. ამ ბრალდებით გიორგი იოსებისძე გორდელაძე საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 20 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და საქმე გადაეცა შინსახკომს. ვალერიან აფანასისძე ბერძენიშვილი (დაბადებულია ჩოხატაურის რაიონში 1899 წელს) პარტიის წევრად მიიღეს 1925 წელს. მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის სატვირთო სადგურში. იგი შერაცხეს ფარულ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად კულუარულად თუ ოფიციალურად ანტისაბჭოთა გამონათქვამების გამო. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ამ ბრალდებით ისინი 1937 წლის 9 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა.⁷⁴

კონტრრევოლუციურ ტროცკისტული საქმიანობის ბრალდებით 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ამბერკი დავითისძე ბიბილაშვილი. იგი დაბადებულია ზესტაფონის რაიონში 1903 წელს. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან. ამბერკი ბიბილაშვილი საორთქმავლო დეპოს ჯერ უფროსი იყო, შემდეგ მოადგილე და ამავე დროს შემკეთებელი სახელოსნოს ხელმძღვანელი. ა. ბიბილაშვილი 1935 წელს მოხსნეს საორთქმავლო დეპოს უფროსის პოსტიდან და გაირიცხა კომუნისტური პარტიიდან იმ მიზეზით, თითქოს საწარმო დანაგვიანებული იყო უცხო, მტრული ელემენტებით. 1937 წლისათვის ა. ბიბილაშვილი კვლავ საორთქმავლო დეპოს უფროსია და კომუნისტურ პარტიაშიც ირიცხებოდა. მას ახალი ბრალდებები წაუყენეს: თურმე ხელი შეუწყო საორთქმავლო დეპოს მომუშავეებს კასიანოვსა და კაპლუნს ჭუჭყიან ქაღალდზე დაეხატათ სტალინის სურათი, შემდეგ ქსოვილის ნაჭერზე და ბინის კედელზეც დახატეს. ბოლოს ქაღალდსა და ქსოვილის ნაჭერზე დახატული სტალინის სურათები ქუჩაში გადაყარეს. ა. ბიბილაშვილმა ეს ფაქტი იცოდა და დამალა. ამავე დროს კასიანოვისა და კაპლუნისათვის უთქვამს: „რა გაგიკეთა თქვენ სტალინმა, რომ მას ხატავთ“. ამის გამო მას საორთქმავლო დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ საყვედური გამოუცხადა პირად საქმეში შეტანით.

ამბერკი ბიბილაშვილის გამოსვლა საორთქმავლო დეპოს პარტიულ კრებაზე (1937 წლის 17 მაისი) თურმე ანტისაბჭოთა შინაარსისა ყოფილა. კერძოდ, მას უთქვამს: „მე ტერორის ქვეშ ვიმყოფებოდი და ვინც ამ დეპოში მოვა სამუშაოდ, მას უნდა ეკიდოს ხანჯალი“. ა. ბიბილაშვილს აბრალებდნენ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად შერაცხული მომუშავეებისათვის მატერიალური

⁷² აცსა, ფ. პ-37, ან. 1, ს. 14, ფურც. 6-11.

⁷³ აცსა, ფ. პ-47, ან. 1, ს. 9, ფურც. 34-40.

⁷⁴ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 210; ს. 25, ფურც. 13.

დახმარების აღმოჩენას; აგრეთვე იმას, რომ მისი მუშაობის დროს გაიზარდა „ავადმყოფი“ ორთქმავლების რაოდენობა; დეფექტურად გაჩარხეს მატარებლის გოგორწყვილები. ა. ბიბილაშვილი ტროცკისტობის ბრალდებით დაპატიმრებულ და გადასახლებაში მყოფი ძმის განთავისუფლებისათვის ზრუნავდა, ამ მიზნით თბილისში დადიოდა. ცხადია, აღნიშნული ბრალდებები თითიდან გამოწოვილია. არადა ამ ფალსიფიცირებული ბრალდებით ამბერკი დავითისძე ბიბილაშვილი რკინიგზის პარტიულმა ორგანიზაციამ 1937 წლის 31 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. იგი შინსახკომმა დააპატიმრა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ რკინიგზის კვანძის პარტიული ორგანიზაციის დადგენილება 1937 წლის 22 აგვისტოს დაამტკიცა. ამბერკი დავითისძე ბიბილაშვილი თანამდებობიდან მოხსნეს და, როგორც ზემოთ აღინიშნა, დახვრიტეს.⁷⁵ ამჟამად ამბერკი დავითისძე ბიბილაშვილი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

1937 წელს ბათუმში დახვრიტეს მირიან იროდიონისძე (იროდისძე) ცენტერაძე, რომელიც რკინიგზის ბათუმის სამეზავრო სადგურში მეკუჭნავედ მუშაობდა. იგი დაბადებულია ჩოხატაურის რაიონში 1897 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1918 წლიდან, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ყალბი ბრალდებით მირიან იროდიონისძე ცენტერაძე შინსახკომმა 1937 წლის ოქტომბერში დააპატიმრა, ხოლო საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 17 ოქტომბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა.⁷⁶ ამჟამად მირიან იროდიონისძე ცენტერაძე რეაბილიტირებულია ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

პლატონ ყაისარისძე ჩხიკვაძე საორთქმავლო დეპოს შემკეთებელი საამქროს ოსტატად მუშაობდა. იგი ადრე მატარებლის წამყვანის თანაშემწე იყო. პლატონ ჩხიკვაძე კონტრრევოლუციონერ ტროცკისტად გამოაცხადეს იმის გამო, რომ 1924 წლის აჯანყების მონაწილედ ჩათვალეს. ამ ბრალდებით ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის კვანძის პარტიულმა ორგანიზაციამ 1937 წლის 15 ნოემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ აღნიშნული დადგენილება დაამტკიცა. იგი დააპატიმრეს. ვლადიმერ იოსებისძე მარგალიტაძე დაბადებულია 1900 წელს. კომუნისტური პარტიის წევრი გახდა 1926 წელს. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ფალსიფიცირებული ბრალდებით 1937 წლის დეკემბერში შიმსახკომმა დააპატიმრა. ამ ფაქტის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ბათუმი საქალაქო კომიტეტის ბიურომ 24 დეკემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. ჭიჭიკო სილოვანისძე ლომაძე, დაბადებული 1900 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან, მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის დისტანციაში ბრიგადირად. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა 1937 წლის 1 ივლისს. მის მიმართ წაყენებული ბრალდება მდგომარეობდა, თითქოს ავტაციას ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, შერაცხული იყო კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად, ხელი მოაწერა „83-ის პლატფორმას, ითვლებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრად. საქართველოს შინსახკომთან

⁷⁵ აცსა, ფ.პ-37, ან.1, ს. 14, ფურც. 37-64; ფ. პ-6, ან. 12, ს. 25, ფურც. 52.

⁷⁶ აცსა, ფ.პ-6, ან. 12, ს. 26, ფურც. 37; რ. სურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

არსებული სამეულის 1937 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, შრომა-გასწორების ბანაკში ყოფნით. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. ამჟამად ისინი რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო⁷⁷.

XX საუკუნის 30-იანი წლებში საავტომობილო ტრანსპორტი აჭარაში განვითარების დაბალ დონეზე იყო. 1937 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა საავტომობილო ტრესტი, რომლის განკარგულებაში ითვლებოდა 41 ავტომობილი. ტრესტის მუშაობაში არსებობდა ნაკლოვანებები და ხარვეზები. ეს მდგომარეობა შინსახკომმა მავნებლობით შეფუთა. კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად გამოაცხადეს საავტომობილო ტრესტის როგორც ხელმძღვანელები, ისე რიგითი მომუშავენი: კაპანაძე, არხონდოპულო, ბაგრატიონი, გალოგრე, გურგენაძე და სხვები. მათი მავნებლობა გამოიხატებოდა, თითქოს გამიზნულად გაჭიანურდა გარაჟის მშენებლობა, რის გამოც ავტომობილები ღია ცისქვეშ იყო გაჩერებული, ავტომობილები ნაადრევად გამოდიოდა მწყობრიდან. ადამიანები წვიმიანი ამინდის დროს ფარდულის გარეშე მუშაობდნენ. თურმე ამ მდგომარეობით კოლექტივში უნდა შექმნილიყო უკმაყოფილება. ამასთან, ხარჯთაღრიცხვის გარეშე მიმდინარეობდა ხულოს რაიონის ცენტრში ავტოგარაჟის მშენებლობა და მწვანე კონცხზე დასასვენებელი სახლის გაფართოება, ვერ აითვისეს გამოყოფილი თანხები. ამ მდგომარეობისათვის დამნაშავედ თვლიდნენ ავტოტრესტის დირექტორს სევასტი კაპანაძესა და მოადგილეს არხონდოპულოს.

სევასტი ვასილის კაპანაძე დაბადებულია შოროპნის რაიონში 1895 წელს. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1928 წლიდან. იგი 1937 წლის სექტემბერში შინსახკომმა დააპატიმრა. ავტოტრესტის პარტიულმა ორგანიზაციამ სევასტი ვასილისძე კაპანაძე კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ პირველადი პარტიული ორგანიზაციის დადგენილება 1937 წლის 12 ოქტომბერს დაამტკიცა.⁷⁸ მამის დაპატიმრებას მოგვიანებით იხსენებს მისი შვილი ელენე სევასტის ასული კაპანაძე. იგი წერს: მამის დაპატიმრებისას ათი წლისა ვიყავი, ჩვენთან სახლში მოვიდნენ უცნობი ადამიანები, გაჩხრიკეს მთელი ბინა, წაიღეს ძვირფასი ნივთები, წაიყვანეს მამაჩემი... მე და დედა წვიმიან ამინდში პირუტყვივით გამოგვყარეს ბინიდან, წარგვართვეს მთელი ქონება, დაგვტოვეს ბედის ანაბარა. ყველამ ზურგი შეგვაქცია, როგორც „ხალხის მტრის“ ოჯახს, არა იმისათვის, რომ ვძულდით, არამედ შიში ჰქონდათ ხელისუფლებისა. მამაჩემის შესახებ იმის შემდეგ არაფერი გაგვიცია.⁷⁹

სევასტი ვასილისძე კაპანაძის მიმართ წაყენებული ბრალდება იყო: ტერაქტი (სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 მუხლი), რკინიგზის, წყალგაყვანილობის, საზოგადოებრივი საწყობებისა და კავშირგაბმულობის მწყობრიდან გამოყვანა ან დაზიანება (მუხლი 58-9), ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის (მუხლი 58-11). ამ მუხლების გამოყენებით საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით სევასტი ვასილისძე კაპანაძეს სასჯელის უმაღლესი

⁷⁷ აცსა, ფ.პ-37, ან.1, ს. 14, ფურც. 64-65; ფ. პ-6, ან. 12, ს. 26, ფურც. 171, ფ.პ-1, ან.9, ს.5, ფურც. 102-103.

⁷⁸ ნ. ცეცხლაძე, რეაბილიტაცია. ბათუმი, 1990, გვ. 43.

⁷⁹ ნ. ცეცხლაძე, რეაბილიტაცია. ბათუმი, 1990, გვ. 43.

ზომა-დახვერვა მიუსაჯეს. იგი დახვერიტეს ბათუმში 1937 წლის 22 დეკემბერს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 22 ივნისის განჩინებით (N1247/6) სევასტი ვასილისძე კაპანაძე რეაბილიტირებულია. საქმე წარმოებით შეწყდა მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.⁸⁰

ავტორტრესტის მოღარე ხარლამში დიონისესძე გალოგრე დაბადებულია ოზურგეთის მაზრაში 1904 წელს. კომუნისტურ პარტიაში 1924 წელს მიიღეს. ადრე იმყოფებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ანტისაბჭოთა გამონათქვამების გამო საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 19 ივნისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს. ავტორტრესტის ბენზინის გასამართავი სადგურის გამგე ილია არჩილისძე გურგენიძე კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა. 1931 წლიდან მას ბრალად დასდეს ის, რომ პარტდოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლისას დამალა თავისი წარსული, კერძოდ, იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) წევრი, მსახურობდა დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიაში, 1918 წლის მაისიდან 1920 წლის მაისამდე მონაწილეობდა ბოლშევიკების გამოსვლების ჩახშობაში სუფსაში, თელავში, ჭალადიდში და სხვა ადგილებში, ეს ბრალდებები ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო. ამდაგვარი პირების მიმართ ამნისტიაც იყო გამოცხადებული, მაგრამ 1937 წელს გაუხსენეს და 1937 წლის 14 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს.⁸¹ ავტორტრესტის მძღოლი სოფრომ ნიკიფორესძე კალანდარიშვილი 1937 წლის 25 ნოემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს ბრალდებით კარგ დამოკიდებულებაში იყო საავტომობილო ტრესტის მმართველთან სევასტი კაპანაძესთან და სხვა ხელმძღვანელებთან.

ახმედ მერჯანისძე დიასამიძე, დაბადებული 1888 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1929 წლიდან, 1938 წელს დააპატიმრეს. მაშინ ქალაქ ბათუმში ლომბარდის დირექტორად მცუშაობდა. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1938 წლის 14 მარტის დადგენილებით დახვერიტეს. ახმედ დიასამიძე დაბრალდა, თითქოს ეწეოდა აგიტაცია-პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით და ყოველგვარ ორგანიზებულ ქმედებას დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის. იგი პარტიიდან გარიცხეს დააპატიმრების შემდეგ, როგორც მაშინ ჩვეულებრივ ხდებოდა. აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1956 წლის 17 ივნისის დადგენილებით გაუქმდა საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1938 წლის 14 მარტის დადგენილება. ახმედ მერჯანისძე დიასამიძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1959 წლის 18 მარტის დადგენილებით კომუნისტურ პარტიაში აღადგინეს 1929 წლიდან.⁸²

⁸⁰ სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა, თბილისი, 2001, გვ. 49.

⁸¹ აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 24, ფურც. 47, 151.

⁸² აცსა, ფ. პ-1, ან. 9, ს. 310. ფურც. 201.

Otar Turmanidze

*Repression of agricultural and industrial staff, culcers and
other unwanted people
Summary*

In the second half of the 30s of the 20th century, there were economic and industrial workers who were victims of political repressions: factories, directors of state farms, chairmen of farms, heads of economic and trade unions, deputies, heads of departments, other workers, culcers and other unwanted people. This article refers to the repressed people of this category.

ლევინის ბინადარი სამოლეთიდან

2002 წელს, ქართველი ემიგრანტი ქალის, მწერლისა და ქველმოქმედის **თამარ გოგოლიშვილი-პაპავას** (1988-1976 წწ) წიგნში, „გაბნეული საფლაგე-ბი“ ლევინში დაკრძალულთა სიაში იხსენიება აჭარის ერთადერთი მკვიდრის, შერიფ ბერიძის (1887-1971) სახელ-გვარი, რომელიც სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად პანთეონში განისვენებს.¹ ამ დროისთვის კარგად იყო ცნობილი მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქართველ მეომართა გვარები. მათ შორისაა ხიხაძირის სასოფლო საბჭოს მკვიდრი შერიფ ბერიძე (1918-?). ამ ორი პიროვნების ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, დამებადა კითხვა, ხიხაძირელი ჭაბუკი და ლევინში დაკრძალული მებრძოლი ერთი და იგივე პიროვნება ხომ არაა? ამის გასარკვევად გაზეთ „აჭარაში“ გამოვაქვეყნე წერილი „იქნებ თქვენი შვილია, ხიხანელებო?“²

წერილს გამოეხმაურნენ ხიხანის ხეობის მკვიდრნი (**ჯემალ ბერიძე, გურამ ბარათაშვილი**), აგრეთვე აჭარის შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ევარსლან ლომაძე**, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ და შერიფ ბერიძის ვინაობა კვლავ იღუპებოდა დარჩა.

გაზეთ „აჭარის“ ფურცლებზე მოგვიანებით გამოგვეხმაურა შუახევის რაიონის სოფელ სამოლეთის მკვიდრი, **ამირან ბერიძე**, რომელმაც ერთგვარად ნათელი მოჰფინა შერიფ ბერიძის ვინაობას. ბატონი ამირანი აღნიშნავდა: „შერიფ ბერიძე შუახევის რაიონის სოფელ სამოლეთში ცხოვრობდა. დედა ადრე გარდაეცვალა. დარჩა მამა **ოსმან ბერიძე**, ძმები **ქემალ** და **სიმონ ბერიძეები**. აგრეთვე ორი და. და-ძმებს (გარდა სიმონისა, რომელიც ოსმანს მეორე ცოლისგან შეეძინა) შერიფი კარგად ახსოვდათ და მასზე ჩვენს დრომდე არაერთ ეპიზოდს იგონებდნენ.

1918 წელს უცოლშვილო შერიფ ბერიძე სოფლიდან ბარად, ქალაქ ბათუმში წავიდა. აქ ის დაუმეგობრდა ერთ ვაჭარს, ეროვნებით სომეხს, მასთან ერთად გახსნა მაღაზია, სადაც ისინი საკმაოდ წარმატებულად საქმიანობდნენ, ჰქონდათ მოგება და შერიფიც ოჯახს დიდ დახმარებას უწევდა. შერიფის მოვალეობას შეადგენდა მეზობელი ქვეყნებიდან დეფიციტური და იაფი საქონელი ფარულად შემოეტანა. სამწუხაროდ, ერთ დამეს მაღაზია გაქურდეს, წაიდეს ყველაფერი, რის გამოც შერიფი იძულებული გახდა სოფელში დაბრუნებულიყო.

შერიფ ბერიძის თანასოფლელი **მემედ-ალი ბერიძე** მოგვიყვება, რომ 1921 წლის დასაწყისში, ღამით, შერიფს უცნობი კაცი ესტუმრა, სახლიდან გაიყვანა და სოფლის განაპირას დიდხანს ელაპარაკებოდა. ამ საუბრის შინაარსი არავინ იცის. მაგრამ ფაქტია, რომ შერიფ ბერიძე ამ კაცთან ერთად ბათუმში წავიდა და მას შემდეგ სახლში აღარ დაბრუნებულა. ამ დროს საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამიტომ ადამიანის დაკარგვა, მით უმეტეს საზღვრისპირა სოფლიდან, ჩვეულებრივი ამბავი იყო. შერიფ ბერიძეც დაკარგულად ჩათვალეს.*

* ამ დროს შერიფი ქართულ გვარდიაში ირიცხებოდა (იხ. ქვემოთ). „უცნობი კაცი“, რომელიც 1921 წლის დასაწყისში შერიფს სამოლეთში ესტუმრა, ჩვენი აზრით იყო

1930 წელს ოჯახმა მისგან პირველი წერილი მიიღო. ავტორი იტყობინებოდა, რომ ცოცხალია და კარგადაა. თუმცა ცხოვრება უჭირს, რადგანაც თვეში 40 ფრანკს იღებს. აქედან ნახევარი პროდუქტებში ეხარჯება, ნახევარს ბინის ქირად იხდის. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ დიდხანს მისგან აღარაფერი მოსულა. შესაძლოა წერილებს გზავნიდა კიდევ, მაგრამ იმ დროს ემიგრანტთა ოჯახებს საბჭოთა ხელისუფლება მტრულად უყურებდა. ამიტომ 27 წლის შემდეგ მოსული ერთადერთი წერილი ოჯახის წევრებს არც კი წაუკითხავთ, ისე გაანადგურეს.

თამარ პაპავას წიგნში დასახელებული და ლევილში დაკრძალული შერიფ ბერიძის დაბადების თარიღი (1887 წ.) ზუსტად ემთხვევა მის ასაკს. შერიფის თანატოლი **ომერ ბერიძე**, რომელიც 1990 წელს 103 წლის ასაკში გარდაიცვალა, ამბობდა, რომ მე და შერიფი ერთ თვეში დავიბადეთ და ბავშვობაც, როგორც ტოლ-სწორებს, ერთად გვაქვს გატარებულიო.³

ასეთი იყო **ამირან ბერიძის** გამოსხმავრება, რომელმაც გვიბიძგა გაგვეჩვენებინა კვლევა-ძიება. წერილით მივმართეთ საქართველოს დესპანს პარიზში, ქალბატონ **ნათელა ლალიძეს**, რომელსაც შუამდგომლობას ვთხოვდით ქართულ სათვისტომოსთან, კერძოდ, ბატონ **მამია ბერიშვილთან**, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი გარდაცვლილი აღმოჩნდა. ქალბატონმა ნათელამ ჩვენი თხოვნა გადასცა ქართული სათვისტომოს ერთ-ერთ უხუცეს წევრს, ქალბატონ **თამარ პატარიძეს**, რომელმაც მოგვაწოდა მოკლე, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ცნობა. „საფრანგეთში ქართულ სათვისტომოში ბატონი შერიფ ბერიძე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით, რითაც თანამემამულეების პატივისცემა დაიმსახურა. საფრანგეთში ცხოვრების დროსაც შერიფ ბერიძეს ოჯახი არ შეუქმნია. დაკრძალულია ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე (1887-1971). დიდი და პატიოსანი შრომით მოპოვებული მცირე დანაზოგი მან დაუტოვა იმ თანამემამულეებს, ვისაც თავისი დასამარხი ფული არ გააჩნდა.“⁴

ამგვარად, საფრანგეთის ქართულ სოფელში მრავალ „სად წაყვანილ სადაურთა“ შორის განისვენებს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციისა და ძალმომრეობის კიდევ ერთი მსხვერპლი, მთიანი აჭარის ერთი მკვიდრი, ბათუმის გათავისუფლებისთვის მებრძოლი, შერიფ ოსმანის ძე ბერიძე, რომლის შესახებ ქართველმა საზოგადოებამ არაფერი იცოდა.

ბურუსით იყო მოცული მისი მოღვაწეობა ბათუმში 1920-1921 წლებში, აგრეთვე უცხოეთში წასვლის დრო, მიზეზები და წინაპირობები. ადრე ჩვენ ვფიქრობდით, რომ შერიფ ბერიძე უცხოეთში 1921 წელს გაჰყვა ქართულ ემიგრაციას, მაგრამ ჩვენს მიერ ბოლო დროს მიკვლეული მასალებით დადასტურდა, რომ იგი 1921 წელს საქართველოდან არ წასულა, მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების მოწყობაში და მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლო საქართველოდან ფარულად წასვლა აჯანყების მონაწილეებთან ერთად.

სანამ უშუალოდ ამ თემაზე ვისაუბრებდეთ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ შერიფ ბერიძე ბათუმში მოღვაწეობდა არა ოდენ რიგითი ვაჭარი და

გიორგი მაზნიაშვილის სწრაფმრბოლი შიკრიკი, რომელიც 1921 წლის მარტში გენერლის დავალებით დაფანტულ გვარდიელებს აგროვებდა. შერიფ ბერიძე მონაწილეობდა 21-23 მარტის ბრძოლებში, რომელსაც ოკუპანტთაგან ბათუმის გათავისუფლება მოჰყვა.

კონტრაბანდისტი, არამედ ის აქტიურად იყო ჩაბმული დამოუკიდებელი საქართველოს სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. როგორც ცნობილია, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, აჭარა ოკუპანტთა ხელიდან ხელში გადადიოდა. აქ დამოუკიდებლობამ გვიან ჩამოაღწია, რადგანაც მხარეში ხან ინგლისელები, ხანაც თურქები და თეთრგვარდიელები ბატონობდნენ.

ქართველი საზოგადოებრიობა აჭარაში რაზმავდა მოწინავე ძალებს მხარის დეოკუპაციის და დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის. ჯერ კიდევ 1920 წლის თებერვლიდან მზადდებოდა თავისუფალი საქართველოს ერთიან ოჯახში აჭარის დაბრუნებისთვის საჭირო პირობები. ამ მიზნით აჭარის მაზრებში ტარდებოდა ხალხმრავალი კრებები, რომლებზეც მოსახლეობას განუმარტავდნენ საერთო ქართულ ოჯახში მხარის გაერთიანების დიდ ისტორიულ მნიშვნელობას. შეიქმნა ქართული გვარდიის აჭარის განყოფილება, რომლის წევრებად აირჩიეს მაზრების წარმომადგენლები: ახმედ ქიქავა, (ბათუმის მაზრა), აბდულ თხილაიშვილი (ქობულეთი), ოსმან მიქელაძე და შერიფ ბერიძე (ხულოს მაზრა) და სხვ.⁵

ჩამოთვლილთაგან ყველა მონაწილეობდა 1921 წლის 21-23 მარტში ბათუმის ოკუპანტთაგან გათავისუფლებისთვის ბრძოლებში, რომელსაც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი სარდლობდა. ამ დოკუმენტით ნათელი ხდება, რომ შერიფ ბერიძე იმდროინდელ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ბათუმში მოღვაწეობის პერიოდში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მას ვხედავთ სიაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მამულიშვილთა გვერდით.

დავუბრუნდეთ შერიფ ბერიძის ცხოვრებას 1921 წლიდან, საქართველოს ანექსიის დღეებიდან. როგორც ირკვევა, შერიფ ბერიძე, რომელსაც პროტესტით გამსჭვალული ქართული ძალებისთვის მრავალი სარგებლის მოტანა შეეძლო, იმთავითვე მოხვდა ამ ძალების ყურადღების ცენტრში. ეს იყო ადამიანი, რომელიც კარგად იცნობდა აჭარას, მის საზღვრებთან მისასვლელ გზებს (ხშირად გადადიოდა კონტრაბანდის გადმოსატანად), იცოდა თურქული ენა და როგორც მუსლიმანი, ნდობით სარგებლობდა აჭარის მოსახლეობაში.

კონსპირაციის მიზნით 1921 წლიდან შ. ბერიძემ შეიცვალა მხოლოდ სახელი და შერიფის ნაცვლად დაირქვა ივანე, თუმცა აჭარის მოსახლეობასთან ნდობის შესანარჩუნებლად, კვლავ მუსლიმან ქართველად დარჩა. ასე იხსენებენ მას თანამებრძოლები და მეთაურები. ანტისაბჭოთა აჯანყების მეთაურებთან ახლო ურთიერთობაში შერიფ ბერიძეს 1922 წლიდან ვხედავთ. იგი თან ახლდა ყოფილ ბოლშევიკს ცნობილ ვლასა მანწკავას და მონაწილეობდა მრავალ თავზეხელაღებულ ოპერაციებში.

1922 წლის 24 ნოემბერს **გ. მანწკავამ** თავის რაზმელებთან ერთად გაძარცვა ზესტაფონის სამილიციო დაწესებულება. მიზანი იყო იარაღის გატაცება, რაც მომავალი ანტისაბჭოთა აჯანყების განხორციელებისთვის აუცილებლად ჭირდებოდათ. ამ ოპერაციის შემდეგ **ვლასა მანწკავა** და **ივანე (შერიფ) ბერიძე** დაესწრნენ ჩიხორის ეკლესიაში გამართულ საიდუმლო კრებას. ამ შეხვედრის შესახებ, საინტერესო ცნობას ვკითხულობთ **ვალეკო ჩუბინიძის** მოგონებებში: „ჩვენი კრების დასასრულს მოვიდა ერთი ჩვენი რაზმელი **აბესალომ ურიათმყოფელი, გრიგოლ აბაშიძის** (ნაც. დემოკრატი, ერთ-ერთი რაზმის უფროსი, რ.ს.) მოადგილე რაზმში და გადმოგვცა, რომ ხვალ 10 გიორგობისთვის 1922 წ. მე დავენიშნე პაემანი **გ. მანწკავას** და

თქვენც ინახულეთო. ილიკო ჯუღელი, ბიძინა მდივანი, გოგიტა აბდუშელი და მე წავედით ქვედა საზანოში და ჭუმბურიძის ბინაზე მოვიდა ვ. მანწკავა და ივანე ბერიძე (მუსლიმანი).⁶

იმავე 24 ნოემბერს საიდუმლო კრება გაუმართავთ სვირში ალექსანდრე მდივნის მარანში, აქ საუბარი იყო იმაზე, რომ უარი ეთქვათ აჯანყებაზე და იარაღი დაეყარათ, მაგრამ რაზმელთა შორის მრავალი ტერორისტი და დეზერტირი იყო; ისინი აჯანყებაზე უარის თქმას ემხრობოდნენ, მაგრამ იარაღის ჩაბარებაზე არ თანხმდებოდნენ. ამ აზრის ყოფილან ვლასა მანწკავა და ივანე ბერიძე. ამ მოვლენების შემდეგ, იკარგება ივანე (შერიფ) ბერიძის კვალი და იგი მხოლოდ 1924 წელს, აჯანყების დაწყების წინა დღეებში ჩნდება. თანაც, როგორც აჯანყების ერთ-ერთი აქტიური წევრი.

27 აგვისტოს საღამოს რვა საათზე, სოფელ დიდი რგანის ეკლესიის ეზოში „დამხვდა მოსული ორი კაცი: კალისტე სარალიძე და ივანე ბერიძე (მუსლიმანი), ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ: ს. ხვედელიძე, ი. სამხარაძე, ედუბი: ი. ცომაკურიძე, ვ. გველესიანი და ი. ყიფშიძე (მღვდელი).⁷ აქ მათ კიდევ შეემატათ ქვაციხიდან და კაცხიდან 32 კაცი. ეკლესიაში ხანმოკლე საუბრის შემდეგ ვალიკო ჩუბინიძეს ისინი დაუნაწილებია სამ ჯგუფად: „პირველი ჯგუფის უფროსად დაინიშნე პარმენ ქველიძე. მის ჯგუფში შედიოდა 12 კაცი: ი. ბერიძე, კ. სარალიძე, შ. კუბატაძე, უგრეხელიძე და სხვ. რომლის ამოცანა იყო ჭიათურის სამაზრო ჩეკას აღება.“⁸

ნათელი ხდება, რომ ადრე ვ. მანწკავასთან ერთად აჯანყებაზე განრიდებული ი. ბერიძე კვლავ ჩადგა აჯანყებულთა რიგებში და მონაწილეობს ისეთ სახიფათო ოპერაციაში, როგორც ბოლშევიკთა საგანგებო კომისიის შენობის აღებაა. ეს ოპერაცია, ისე როგორც საერთოდ აჯანყება, მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ ვვარაუდობ, რომ შერიფ (ივანე) ბერიძე მიეკედლა ვალიკო ჩუბინიძის რაზმს, რომელმაც დაგეგმა თურქეთში გაქცევა მაჭახლის ხეობის გზით. 1926 წლის 25 ოქტომბერს, ლტოლვილები, რომელთაც აცილებდნენ ძმები დურსუნ და ხასან ჯინჭარაძეები,* ბათუმში ჩამოვიდნენ. ვ. ჩუბინიძის დღიურში ნათქვამია:

„აჭარის წყალზე ფეხით გადავედით. მდინარე მაჭახელაზე ვიღაც ორმა კაცმა გადაგვიყვანა. სამი დღე და ღამე ვიარეთ ტყეზე... მივუახლოვდით საზღვარს დილით. გავუსწორდით საბჭოთა ბოძს, მე მივაფურთხე მას და ტყვიებიც მივაყარე. მშვიდობიანად ჩავედით ზედა მაჭახელაში.“⁹ შემდეგ ლტოლვილებმა ბორჩხა-ართვინ-ხოფას გავლით, გემით სტამბოლისკენ გასწიეს.

* ამ გვარიდან გამოსული ერთი პიროვნების, მემედ ჭინჭარაძის შესახებ ცნობას წავაწყდით ექვითმე თაყაიშვილის საზღვარგარეთულ ჩანაწერებში. მეცნიერს მზად ჰქონდა სამშობლოდან წადებული ვრცელი ნაშრომი, „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმსა და სვანეთში“, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ გამოსცა. პარიზში მცხოვრებმა ემიგრანტებმა წიგნის დასაბეჭდად შეაგროვეს შემოწირულობები. შემომწირველთა შორისაა მემედ ჭინჭარაძე. რომელსაც გაუღია 40 ფრანკი (გურამ შარაძე, დაბრუნება, I, თბილისი, 1991 წ. გვ. 173-175). ამ საკითხზე ჩემი წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარაში“ (№35, 30-31 მარტი, 2010 წ. გვ. 3), ახლობლებს ვთხოვდი გამომხმარებოდნენ, რასაც სამწუხაროდ შედეგი არ მოჰყვა და მემედ ჭინჭარაძის ვინაობაც დღემდე უცნობია.

ჩვენთვის უცნობია აქედან რა გზებით ჩააღწია შერიფ ბერიძემ პარიზში, მისი პარიზული ცხოვრების შესახებ კი ვიცით მხოლოდ ქალბატონ თამარ პატარიძის მოკლე წერილით, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ.

ლიტერატურა

1. **თამარ პაპავა.** გაბნეული საფლავეები. თბილისი. 1990 წ. გვ.
2. **რამაზ სურმანიძე.** იქნებ თქვენი შვილია, ხიხანელებო. გაზ. „აჭარა“, №... 2002 წ. 24 აპრილი, გვ.
3. **ამირან ბერიძის** გამოსმაურება ჩვენთან ინახება.
4. **თამარ პატარიძის** გამოსმაურება ჩვენთან ინახება.
5. აჭარის სამუზეუმო გაერთიანების ხელნაწერთა ფონდი №4, ს. 147, ფურ. 144.
6. **ვალდიკო ჩუბინიძე.** მოგონებანი. პარიზი. 1953 წ. გვ. 210.
7. იქვე, გვ. 210.
8. იქვე, გვ. 264.
9. იქვე, გვ. 328.

Ramaz Surmanidze

From Leuville's hometown Summary

In 2002, in Georgian immigrant woman, writer and philanthropist Tamar Gogolishvili-Papava (1988-1976) book "Scattered Graves" is named in the list of the only resident of Ajara, Sheriff Beridze, who is resting in the pantheon with other Georgian immigrants. On the basis of scientific literature and oral history in the article, there are separate issues of life and activity of this person.

ეთარ გოგოლიშვილი
ბათუმი თავისუფალი ქალაქი – ნავსადგური
(1878 – 1886 წწ.)

რადგან ბათუმის ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გემებისათვის ერთადერთ თავშესაფარს წარმოადგენს, რუსეთის მიერ მისი დაუფლება თურქეთს გამოაცლის უკანასკნელ ნავსადგურს პონტოზე და შავ ზღვას გახდიდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ზღვად.

კ.მარქსი

ბათუმის ისტორია შორეულ წარსულში იწყება. ქალაქის სახელწოდება ბათუსი – პირველდ მოიხსენიეს რომაელმა მწერალმა პლინიუსმა (23-79 წწ.) და ბერძენმა გეოგრაფმა არიანემ (95-175 წწ.) მათი გადმოცემის მიხედვით ბათუსი იყო პატარა დასახლება მდინარე ბათუსის პირასს, ბერძენი ისტორიკოსი პანერეტი თავის “ტრაპიზონის ქრონიკებში” 1373 წელს მოიხსენიებს ბათუმს, როგორც პატარა სოფელს, ასი წლის შემდეგ ვენეციელმა ელჩმა ამბროზიო კონტარინმა ბათუსს უწოდა პატარა ციხე-ქალაქი.

მე-16 საუკუნის შუა ხანებში ბათუმი რამდენჯერმე იქნა დაპყრობილი ოსმალების მიერ, მაგრამ მოსახლეობის თავდადებული ბრძოლის გამო მისი შენარჩუნება დიდხანს ვერ შეძლეს, მხოლოდ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში შეძლეს მისი დაპყრობა. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცა ბათუმი, როგორც გემებისათვის უშიშარი ნავსადგური. მეფისნაცვალმა ვორონცოვი 1853 წელს აღნიშნავდა, რომ “ბათუმის მცირე ნავსადგური სამართლიანად ითვლება ერთერთ საუკეთესოდ... ყოველგვარი ქარის დროს მასში თავის შეფარება შეუძლია დიდ სავაჭრო ხომალდებს”. რუსეთს აინტერესებს ბათუმის ნავსადგურიდან ვეროპის ქვეყნებში გაეტანა სავაჭროდ საქონელი და დასავლეთ საქართველოდან ხე-ტყე და სხვა ბუნებრივი სიმდიდრე. აღსანიშნავია, რომ ბათუმზე გადიოდა სავაჭრო-სატრანზიტო გზა ინგლისიდან ირანის მიმართულებით, აქედან გამომდინარე ინგლისი ცდილობდა ამ გზით მცირე აზიაში გაბატონებას, რაც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბათუმის ნავსადგურით შემოდინდა კონტრაბანდული საქონელი, რადგანაც არ იყო შავი ზღვით შემოტანისა და გატანის ბაჟი. გურია, სამეგრელო, აფხაზეთი ინგლისურ ნაწარმს დებულლობდა, რომელიც ხარისხით კონკურენციას უწევდა რუსულ საქონელს. ეს საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ საქართველოში ცარიზმის გაბატონებას. 1828 წელს ალექსანდრე გრიბოედოვმა და დიმიტრი ზალივეისკიმ შეიმუშავეს პროექტი, რომლის მიხედვითაც ითხოვდნენ “სასაწყობო ადგილს” შავ ზღვაზე და ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ ბათუმის ნავსადგურზე, როგორც კომპანიისათვის თავისი მდებარეობით უადრესად სასარგებლო ადგილზე. კომპანია გაიყვანდა ბათუმამდე მოხერხებულ კომერციულ გზას და ყველაფერს გააკეთებს რაც საჭირო იქნებოდა საწყობებისა და ფაქტორებისათვის” [1]

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად რუსეთს ბათუმი აინტერესებდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. ბათუმი-ახალციხე, ბათუმი-ყარსი-

ერევანი, ბათუმი-თბილისი, ბათუმი-ართვინისა და არტაანის მდიდარი რაიონები, რაც საშუალებას მისცემდა შეჭრილიყო მცირე აზიაში და საბოლოოდ გადაეჭრა სამხრეთ-დასავლეთ საზღვრების: გურია, სამეგრელოს, იმერეთისა და აფხაზეთის უშიშროების საკითხი ოსმალეთისაგან, ხოლო შავი ზღვა როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა გადაიქცეოდა “რუსეთის ზღვად”. რუსეთის საგარეო პოლიტიკამ დღის წესრიგში დასვა ბათუმის შემოერთების აუცილებლობის საკითხი. 1804, 1806-1812, 1828-1829, 1853-1856 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომებმა რუსეთისათვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. 1858 წ. ბათუმში გაიხსნა რუსეთის საზღვაო სანაოსნოს საზოგადოების სააგენტო. მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ნავსადგურის ტვირთბრუნვა, დაიწყო ბათუმის სამეურნეო ცხოვრების აღმავლობა, ბათუმის ნავსადგური ხდებოდა “რუსული ნავსადგური”. იგი თანდათანობით იზიდავდა კავკასიის ტრანზიტს, აქედან გამომდინარე რუსეთის კონსული ტრაპიზონში მაშინი ურჩევდა მთავრობას აუცილებლად შეეძინათ ბათუმის ნავსადგური.

ცარიზმის მიზანიც ეს იყო. რუსეთის სამხრეთ საზღვრის უშიშროებისა და რუსული კაპიტალის შეუზღუდავი ბატონობის ინტერესებიდან გამომდინარე 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. 1878 წლის 18 თებერვალს სან-სტეფანოს ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო ფულადი კონტრიბუცია. არტაანი, ბაიაზეთი, ბათუმი, ყარსი.

იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ განაცხადა “მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა რამდენიმე მილიონი გასწიროს”. ინგლისმა მოითხოვა ზავის პირობების გადასინჯვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა. ცარიზმი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. [2]

კონგრესისათვის მზადების პერიოდში რუსეთის მთავრობამ კავკასიის მმართველებს დაავალა შემოერთებული ტერიტორიების დახასიათება, რომ დარწმუნებულიყო - ღირდა თუ არა ბრძოლა ბათუმისათვის. განხილული იქნა სხვადასხვა მოსაზრებები: უმრავლესობა აღიარებდა რუსეთის იმპერიისათვის ამ მხარის ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას. გაზეთი “კავკაზი” წერდა: “ბათუმის დაუფლებით რუსეთი გაბატონდება შავ ზღვაზე, შეფერხდება სპარსეთთან ინგლისის ვაჭრობა და ეს იქნება პირველი პუნქტი სუეცის არხისკენ. იყო საწინააღმდეგო აზრიც: “რომ ბათუმი უმნიშვნელოა წესიერი ნავსადგურის უქონლობის გამო”, ე.ი. ვერასოდეს გახდება პორტსმაუტი.

1878 წლის 18 ივნისიდან 13 ივლისამდე მიმდინარეობდა ბერლინის კონგრესი. რუსეთმა დათმო ბალკანეთზე მაკედონია, მცირე აზიაში ბაიაზეთი. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა რუსეთის დელეგაციამ ბერლინის კონგრესზე ბათუმი შეინარჩუნა. ტრაქტატის VIII პუნქტით ბათუმი გადაეცა თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის ანუ პორტო-ფრანკოს სტატუსით.

პორტო-ფრანკო იტალიური სიტყვაა და ეწოდება იმ ზღვისპირა ნავსადგურს, რომელიც სარგებლობს ადგილობრივი და საზღვარგარეთული საქონლის უბაჟოდ მიღება-გატანის უფლებით და ვრცელდება ნავსადგურის განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომელსაც პორტო-ფრანკოს კვარტალს უწოდებენ, საბაჟო საზღვრითაა იზოლირებული ქალაქის სხვა ნაწილისაგან. პორტო-ფრანკოს კვარტალში არის საწყობები, სადაც ხდება საქონლის მიღება, დახარისხება, შეფუთვა და გაგზავნა იმ პუნქტებში, სადაც მათი რეალიზაციისათვის სარფიანი პირობებია. პირველი პორტო-ფრანკო შეიქმნა 1547 წ. იტალიის ქალაქ ლივორნოში, 1595 წ. გენუაში, 1661 წელს ვენაში,

1664 წ. ალტინეში, 1669 წ. მარსელში, 1706 წ. გიბლარტარში, 1727 წ. ჰამბურგში, 1824 წ. ბრუმენში, 1833 წ. ლიუბეკში, 1817-1859 წ. ოდესა იყო თავისუფალი ქალაქი-ნავსადგური, 1862 წ. ვლადივასტოკი, მესამე ქალაქი რუსეთის იმპერიაში პორტო-ფრანკოს სტატუსით იყო ბათუმი. ბერლინის კონგრესის დადგენილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა 1878 წლის 25 აგვისტოს. იმავე წლის ოქტომბრისათვის დასრულდა ქალაქის ახალი სტატუსის შემუშავება, ბათუმი გახდა სავაჭრო-სასაწყობო ცენტრი, სადაც ევროპული საქონლით ვაჭრობა მხოლოდ პორტო-ფრანკოს ზონაში შეიძლებოდა. ქალაქს დაუწესდა ოთხი საბაჟო კარი: 1. ოზურგეთის - ქობულეთ-გურიისაკენ, 2. კახაბრის - ქედა-ხულოსაკენ, 3. ჭოროხის - ბორჩხა-ართვინისკენ, 4. ჭოროხის ბოლოს, გონიო-სარფის გზით ყარს-ტრაპიზონისკენ. ნებისმიერ საქონელზე მუშავებულს უნდა გადაეხადა დაწესებული ბაჟი ანუ გადასახადი. 1878 წლის 20 ოქტომბერს კომისიამ პორტო-ფრანკოს დეპარტამენტის დირექტორის, სატრანზიტო საბაჟოს გამგის და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ხელმოწერით საბოლოოდ დაადგინა თავისუფალი სავაჭრო ზონის საზღვრები და ტერიტორია. იგი იწყებოდა მდინარე ბარცხანის წყალიდან და მთავრდებოდა მდინარე მეჯინისწყალთან, სულ მოიცავდა ორიათას დესენტინა ფართობს [3]

თავისუფალი ნავსადგური ბათუმში ოფიციალურად გაიხსნა 1778 წლის 28 ოქტომბერს. ადმინისტრაციას შეადგენდნენ სასაწყობო საბაჟოს მმართველი დიმიტრი ბიკოვი. წევრები: ივანე ერისთავი და პეტრე ლობარი, ხაზინადარი ივანე ეფრემოვი, მდივანი ლეონარდ ჩავესკი, თარჯიმნები, საწყობის ზედამხედველები, გემების ზედამხედველები, კარანტინის უფროსი დ. ცურიონოვი, საკარანტინო პორტის უფროსი პეტრე ფოცხვერაშვილი. 1899, 1880, 1881 წწ. ბათუმის პორტში შემოვიდა რუსეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, თურქეთის, ინგლისის გემები დატვირთული სხვადასხვა საქონლით. უკან გაბრუნებისას ბათუმიდან წაიღეს მატყლი, დაუმუშავებელი ბამბა, აბრეშუმის პარკი, ტყავი, ხე-ტყე-ბეწვეული, მარგანეცი, ხალიჩები, სიმინდი, ხორბალი და ა.შ.

ნავსადგურის ტვირთბრუნვა დღითიდღე იზრდებოდა, განსაკუთრებით ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის ამუშავების შემდეგ. ბათუმის ნავსადგური გახდა მოხერხებული და კეთილმოწყობილი, უსაფრთხო. ნავსადგურის ტვირთბრუნვა გაზარდა ბაქოს ნავთობის ექსპორტმა. 1881 წელს გაიტანეს 926405 ფუთი ნავთობპროდუქტი, 1883 წლის მარტიდან, როდესაც დასრულდა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის მშენებლობა და ფოთი-თბილისის მაგისტრალით ბათუმი უშუალოდ ბაქოს დაუკავშირდა. ბათუმი ბაქოს ნავთობის ექსპორტის ძირითად ცენტრად იქცა. ბათუმს მასობრივად მოაწვდა ხალხი იმპერიის ყველა კუთხიდან. ერთბაშად ამდენი ხალხის მოძღვავებამ გააძვირა ცხოვრების პირობები, ბათუმი უცხოელ ვაჭარ-მრეწველების ყურადღების ცენტრში მოექცა. აქ დამკვიდრდნენ მანთაშევის, როტმილდის, ნობელის, მსხვილი და წვრილი ფინანსური მაგნატები. ქალაქში გაიხსნა საზღვარგარეთის 20-მდე ქვეყნის საკონსულო, რომლებიც იცავდნენ თავიანთი მოქალაქეების ინტერესებს [4].

ქალაქში გაჩაღდა ინტენსიური მშენებლობა. აიგო საცხოვრებელი სახლები, გაიხსნა თამბაქოს ოთხი ფაბრიკა, რვა სასტუმრო, ოთხი საკონდიტრო, 21 სასადილო, 15 საგალანტერიო და 12 ტანსაცმელ-ფეხსაცმელის მაღაზია.

1883 წელს ამუშავდა ნავთის ჭურჭლის დამამზადებელი ბუნვისა და პალა-შოვსკის, როტშილდის ქარხანა. 1885 წელს სიდირიდისა და რიხნერის საწარმო, დაიწყო ჭაობების ამოშრობა, ქუჩების კეთილმოწყობა, გაიყვანეს წყალი, გაფართოვდა ნავსადგური. რუსეთს აფიქრებდა იაფი ინგლისური და საერთოდ ევროპული საქონელი, რომელიც მაღალი ხარისხის გამო ადვილად სადღებოდა, ამიტომ ხელისუფლებამ პორტო-ფრანკოს გასამყარად სრული იზოლირება დაუწესა საბაჟო კარანტირების და მკაცრი პოლიციური რეჟიმით. ასეთი ხელოვნური ბარიერის შემოდებამ გაართულა სოფელსა და ქალაქს შორის ვაჭრობა. ევრეთწოდებული კარანტირები, სადაც ხდებოდა პორტო-ფრანკოს ზონის გარეთ გასატანი ნაყიდი საქონლის დათვალიერება და კონტრაბანდის შემთხვევაში მუპატრონეზე ჩამორთმევა, დაჯარიმება მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. დაიწყო მოსახლეობის გადასახლებაში (მუჰაჯირად) წასვლა. დავით კლდიაშვილი შექმნილი ვითარების გამო წერდა: “პორტო-ფრანკოს” დროს ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო და ყოველი გამგვლელ-გამომგვლელი იხსრიკებოდა, დარაჯებისაგან ათასი თვითნებობა და შევიწროება ხდებოდა. ასეთ ვითარებაში გაუარესდა ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა. რუსეთის ხელისუფლებისადმი ისედაც უნდობლად განწყობილნი ვეღარ ეგუებოდნენ ხელოვნურ დაბრკოლებებს და ოსმალეთში გასახლებას ამჯობინებდნენ. მთავრობას ნაკლებად აწუხებდა შექმნილი მდგომარეობა. ის ვერ ეგუებოდა, რომ პორტო-ფრანკოს მის ინტერესებს ვერ აკმაყოფილებდა, ვერ იყენებდა ბათუმს, როგორც სამხედრო ბაზას, ვერ ურიგდებოდა ამიერკავკასიაში ინგლისელთა, საერთოდ ევროპელთა ეკონომიკურ მეტოქეობას. 1886 წლის 27 ივნისს ცარიზმმა ბათუმის პორტო-ფრანკო გააუქმა. ამ ფაქტს გამოეხმაურა XIX საუკუნის ქართული პრესა – ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი უარყოფითად აფასებდნენ ბათუმის პორტო-ფრანკოს. არ მოსწონდათ მისი მოწყობის ორგანიზაციული პრინციპი და სხვა ნეგატიური მოვლენები. პრესა კონტრაბანდული საქონლის გაგრძელებაზე და საბაჟო სამსახურის მოხელეთა განთავისუფლებაზე ამახვილებდა ყურადღებას. ილიას სიტყვით “პორტო-ფრანკო სახეირო დარჩა ორიოდე ვაჭარისა და თვით ქალაქში მცხოვრებთათვის”. ქართული საზოგადოება მიესალმა პორტო-ფრანკოს გაუქმებას. ილია წერდა “სიხარულით მივეგებოთ მაგ პორტო-ფრანკოს გაუქმებას, რომელიც მარტო სახელი იყო და არა სახრავი ქვეყნისთვის, ბათუმის ამგვარ სტატუსს კოლონიური საქართველოსათვის რაიმე არსებითი როლის შესრულება არ შეეძლო, ჩვენ რომ ჩვენის საკუთარი ქვეყნის ინტერესებით შევხედოთ ამ გაუქმების საქმეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც პორტო-ფრანკოს ყოფნას მოჰქონდა ჩვენთვის სარგებლობა და არც მისი არ ყოფნა მოგვიტანს ზარალს” [5].

ბათუმის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. იგი კავკასიის მთავარი სატრანზიტო ცენტრი იყო. ექსპორტის ძირითად საგანს ნავთობ-პროდუქტები წარმოადგენდა. ბათუმის ნავსადგურით საგარეო ვაჭრობას აწარმოებდა სანაოსნო კომპანიები და საზოგადოებები. მათმა რიცხვმა 1913 წლისათვის ოცდაათს გადააჭარბა. ძირითადად უმეტესი ინგლისური, ფრანგული და გერმანული სანაოსნო კომპანიები იყო. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ჩაკეტა შავი ზღვის სრუტეები, შეფერხდა ბათუმის ნავსადგურის ეკონომიკური ცხოვრება.

1914 წლის 2 ნოემბერს კავკასიის ფრონტის გახსნამ ბათუმი სამხედრო დანიშნულების პუნქტად გადააქცია. ქართულ საზოგადოებაში წინა პლანზე წამოიწია პოლიტიკურმა პრობლემებმა. გააქტიურდა ეროვნული საკითხი. საბჭოთა რუსეთმა 1918 წელს ბრესტის ზავით ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები ოსმალეთს დაუთმო. ამ უკანასკნელმა ისარგებლა პოლიტიკური არეულობით და 1918 წლის მარტ-აპრილში ბათუმი დაიკავა, ხოლო 1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალეთი მუდროსის ზავით იძულებული გახდა ბათუმიდან ჯარი გაეყვანა. ოსმალეთი ინგლისმა ჩაანაცვლა. ქალაქი გამოცოცხლდა. ევროპული სავაჭრო და სამრეწველო კომპანიებს (“ნორტონი და გარეგორი, ლივანტი, სიბუნინი) განსაკუთრებით იზიდავდა ბაქოს ნავთობი, ჭიათურის მარგანეცი, ადგილობრივი ბამბა და მატყლი”. აღდგა გემების აქტიური მიმოსვლა ბათუმსა და ევროპას შორის, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტანტის ქვეყნები ვერ ურიგდებოდნენ ბათუმში ინგლისელების ერთპიროვნულ გვლენას და ცდილობდნენ თავიანთი უფლებების გაფართოებას. ამან განაპირობა 1920 წლის პირველ ნახევარში ევროპელი დიპლომატების მიერ ბათუმის პრობლემის გაჭიანურება.

ბათუმის თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურად გამოცხადების იდეა იტალიის სამთავრობო წრეებში დაისვა. მათი სურვილი იყო ბათუმის ნავსადგურზე საბაჟოსა და რკინიგზაზე მოკავშირეების კონტროლი დაწესებულიყო. შექმნილი იყო ბათუმის ოლქის სამხედრო მთავრობა, რომელსაც უნდა ჰყოლოდა სამი ბატალიონი, რამდენიმე ბატარეა და რადიო-ტელეგრაფი. ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღების აზრი დიდი ბრიტანეთის მთავრობაშიც მომწიფდა. ანტანტის სახელმწიფოები პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გავლენის სფეროებზე ვერ თანხმდებოდნენ, სადაო იყო ამიერკავკასია და ბათუმი.

ამერიკელი გენერლის ჯორჯ მოსდოს აზრით “ბათუმი უნდა გამხდარიყო ამიერკავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების ბაზა, საფრანგეთის პრემიერი კლემანსინი უკმაყოფილო იყო ბრიტანელების ბათუმსა და ბაქოში ყოფნით. მწვავედ იდგა ბათუმის საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე და თვით ბრიტანეთის მთავრობაშიც 1920 წლის თებერვალში დაისვა საკითხი ბათუმიდან ბრიტანეთის ჯარების ევაკუაციის შესახებ. ფრანგმა გენერალმა ბერტელომ განაცხადა “საფრანგეთის მთავრობა არსებითად ეთანხმება დიდი ბრიტანეთის დელეგაციეს აზრს, რომ არასასურველია ბათუმიდან ჯარების ევაკუაცია და მისი საქართველოს, თურქეთის და სხვა მოკავშირეებისათვის ნადავლად დატოვება. ბათუმის თავისუფალი ნავსადგური იყო ყველა მოკავშირის საზრუნავი, იგი უნდა მოექცეს ერთა ლიგის დაცვის ქვეშ”. ბათუმის დაცვისათვის ბერტელის აზრით საკმარისი იქნებოდა სამი ბატალიონი. საფრანგეთი მზად იყო ერთი ბატალიონი გამოეგზავნა. ასევე საინტერესოა იტალიის პოზიცია ბათუმისადმი 1919 წელს ფრანჩუსკონატის სათავეში მოსვლის შემდეგ. დამოკიდებულება ბათუმის საკითხისადმი შეიცვალა. იგი აცხადებს: “მხედველობაში იღებს რა ნავსადგურის უდიდეს მნიშვნელობას მზადაა გაიღოს მსხვერპლი და უზრუნველყოს ერთი ბატალიონი, როგორც იტალიის წვლილი გაერთიანებული გარნიზონის შექმნაში”.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაადგინა გამოეცხადებინათ ბათუმი პორტო-ფრანკოდ ერთა ლიგის მანდატით და იქ ჩაეყენებინათ ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სამი ბატალიონი. 25 თებერვალს ლონდონში

მსჯელობდნენ არამარტო პორტო-ფრანკოს შესახებ, არამედ ბათუმისა და მის ირგვლივ ტერიტორიაზე “პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზეც”. მეორე დღეს მოკავშირეები განიხილავდნენ დიდი ბრიტანეთის მთავარსარდლის გენერალ ჯორჯ მილინის პროექტს ბათუმის ქალაქ-სახელმწიფოს სზღვრებზე, რომელსაც უნდა მოეცვა თექვსმეტი ვერსის რადიუსის ტერიტორია, საზღვრები გადიოდა სამხრეთით მდინარე ჭოროხზე, ჩრდილოეთით სოფელ ბობოყვათზე, აღმოსავლეთით აჭარისწყალსა და ჭოროხის შესართავის მადლა ხერთვისის ზეგანზე.

საზღვრების დამდგენ კომისიაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბათუმის მომავალი ეჭვქვეშ დგებოდა და საქართველოსიც. 11 მაისს დიდი ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტმა გადაწყვიტა ბათუმიდან გაეყვანა გარნიზონი. 28 ივნისს საქართველოს მთავრობასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. 7 ივლისს პრაქტიკულად განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ბათუმის ჩაბარება. 9 ივლისს ბრიტანეთსა და საფრანგეთის სამხედრო ძალებში ბათუმი დატოვეს, მიუხედავად ამისა მოკავშირეთა უმადლეს საბჭოს ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსი ფორმალურად მაინც არ გაუუქმებია. ბათუმი ისევე როგორც კონსტანტინოპოლი, სმირნა, ალექსანდრეა, ტრაპიზონი გახდებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის თავისუფალ ნავსადგურად ერთა ლიგის მანდატის ქვეშ. თუმცა სვერის ხელშეკრულება უარყო ქუმალისტურმა მთავრობამ და ლახისტანის კონფერენციაზე (1922-1923 წწ) ოფიციალურად გააუქმა.

ბათუმი ორჯერ გამოაცხადეს პორტო-ფრანკოდ, მათ შორის არის მსგავსებაც და განსხვავებაც. კერძოდ: 1878 წელს ბათუმი თავისუფალი სავაჭრო ქალაქ-ნავსადგურად გამოცხადდა და თავისუფალ ნავსადგურად, მაგრამ არ განხორციელებულა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ილია ჭავჭავაძე. თხზ. ტ.8. გვ.296
2. ვლ.სიჭინავა – პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის განვითარებაში. ჟურნალი მაცნე №3. 1976 წ.
3. ვ.სიჭინავა – ბათუმის ისტორიიდან. ბათუმი. 1958. გვ.135-136.
4. ს.მესხი თხზ. ტ.3. გვ. 38. ნ.ნიკოლაძე-თხზ. გვ.148.
5. ა.სურგულაძე. მ.სიორიძე – პორტო-ფრანკო ბათუმში. ბათუმი 1996 წ.

Otar Gogolishvili

Batumi, free city – harbour (1878-1886)

In Batumi, Free harbour officially opened on 28 September 1778. Administration consisted of warehouse customs manager Dimitri Bikov, members: Ivane Eristavi and Petre Lobari, Treasurer Ivane Epremov, Secretary Leonard Chaevski, interpreters, inspectors of storehouse, and inspectors of ships, chief of quarantine D. Tsurinov, and chief of quarantine port Petre Potskhverashvili. In 1899, 1880, 1881, in Batumi seaport came ships of Russia, Austria, France, Turkey, England loaded with different stocks. At the time of return, they took silk, remaked cotton, cocoon, leather, timber, furs, marganese, carpets, maize, wheat etc.

**ПОЛЬША И ПОЛЯКИ ГЛАЗАМИ ГРУЗИНСКОГО
ЭТНОЛОГА**

Польша – одна из красивейших стран восточной Европы - прекрасными городами и селами, трудолюбими, законолюбим народами и естественной красотой. Польша гостеприимная страна. Польша выдержала нашествия многих завоевателей. Наконец приобрела долгожданную независимость и обрел достойное место в мировом сообществе. Накануне XX - XXI века Польша вместе с остальным миром встала перед выбором – как жить дальше? что убрать и от чего отказаться из прошлого, что сохранить, чтобы избежать международных, гражданских и религиозных конфликтов и создать государство без насилия, жестокости и ненависти. По нашим наблюдениям Польша сформировалась как страна, где конфликты цивилизаций сменили гуманные тенденции и культурный диалог. Этого достигли неустанным трудом, любовью родным языком, историй, культуры, к традициям и анализом существующих проблем перед современностью, совместимость старого и нового, собственного значения и осознание исторического опыта, новые мировоззренческие ориентиры и ясно представляемые контуры будущего.

Польша оказалась намного лучше, чем я ожидал. Я не знаю, почему, хотя у меня было ожидание, что это будет менее красиво, чем в Западной Европе, менее чистый и удобный, но я ошибался. Польша и Поляки оказались намного красивее, одним словом – прекрасный народ. Очень трудно за одну неделю набрать впечатление об одной стране, но порадоксально – за одну неделю добрата и гостеприимность поляков затмила все представление. Вот какая сила любви и доброты.


В июне 2018 года автор этих строк был командирован в Польшу для участия в работе научной конференции в г. Цехановеце, в Музее под открытым небом. 16 Часов самолет спустился в аэропорт Шопен (Chopin) Варшавы. В Польше очень многие объекты носят имя Шопена: рестораны, кафе, гостиницы и в том числе аэропорт. Указанный визит не состоялся бы без помощи нашего Польского друга профессора Дорота Михалюка. 2-го июня я был в Варшаву, а потом поехал в г. Беластоке, где Меня ждала Дорота Михалюк.

Дорота Михалюк - профессор Торунского университета, многосторонне образованная, владеющая несколькими языками, участвующая в научных форумах в разных странах, безгранично влюбленная в Грузию отличалась большой скромностью, благородством, особенным шармом, заботливостью и что самое главное – чистосердечностью и даром большой любви. Скромностью ее можно сравнить с прототипом несколько застенчивой грузинской женщиной. Благодаря ей заложен фундамент дружбы между Польскими и Батумскими коллегами.



Профессор Дорота Михаилюк

В первый же день нашего визита в Городе Белостоке профессор Дорота Михаилюк Меня поселил Музее Алфонса Карнего, а потом осматривали город. Белосток — самый крупный город на северо-востоке Польши, расположен на Белостокской возвышенности Северо-Подляской низменности; регион известен как *Зелёные лёгкие Польши*. Через город протекает река Бяла, левый приток. реки Супрасль. Зелёные территории занимают примерно треть площади города, в том числе 19 % занимают леса; Белосток является одним из самых «лесистых» городов в Польше:



Река Бяла (Белая) возле города

Население составляет около 300 тысяч человек. Город является одиннадцатым в Польше по величине. Первое упоминание о Белостоке относится к 1437 году, права города даны в 1719 году.

Название города происходит от реки Белой (Бяла), на берегу которой он располагается. Оно может быть переведено как «склон у Белой (Бялы)». В разное время носил названия: белор. Беласток, идиш (Byalistok, Bjalistok), лит. Baltstogė, и рус. Белосток.

Земля, где находится Белосток, принадлежала мазовецким князьям и Тевтонскому ордену; с XIV века в составе Великого княжества Литовского (в память об этом вплоть до 1991 года город подчинялся в церковном отношении Вильнюсской епархии). (<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B5%D0%BB%D0%BE%D1%81%D1%82%D0%BE%D0%BA>).

В 1547 году город перешёл во владение семьи Веселовских, построивших каменный замок и храм. После смерти последнего Веселовского в 1645 году город отошёл в собственность домена Королевства Польского. В 1661 году пожалован Стефану Чарнецкому в награду за его подвиги в борьбе со шведами. Четыре года спустя, как приданое его дочери Александры, отошёл к семье Браницких (герба Гриф).

В 1692 году Стефан Николай Браницкий получил от короля Речи Посполитой Яна Собеского магдебургское право для своего местечка Белостока и построил там собственный дворец. По ходатайству Браницких король Август III в 1749 году подтвердил магдебургское право Белостоку (<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B5%D0%BB%D0%BE%D1%81%D1%82%D0%BE%D0%BA>)

Расцвет Белостока приходится на время правления гетмана Клементия Браницкого, заведшего блестящий двор и пригласившего художников и ученых.



Дворец Браницких

По Третьему разделу Речи Посполитой (1795 год) в составе Пруссии, причём город был выкуплен у Потоцких (наследников Браницких); по Тильзитскому миру (1807 год) передан Наполеоном Российской империи, в составе которой был главным городом Белостокской области, а по её упразднении в 1842 году — уездным городом Гродненской губернии, центром Белостокского уезда.

В середине XIX века в окрестностях города появляются суконные фабрики. Город становится центром текстильной промышленности.

В городе была 1 православная церковь, 1 костёл, 1 лютеранская кирха, 2 синагоги (Большая синагога — крупнейшая деревянная синагога в Восточной Европе) и Синагога Пясковер), 39 молитвенных домов, 2 театра (временных), реальное училище, институт благородных девиц, уездное училище, начальные церковные училища (приходское, лютеранские и еврейский хедер), 2 частные школы, окружная лечебница, еврейская больница и военный лазарет. Ежегодно 24 июня (по старому стилю) в городе проходила ярмарка



Синагога Бейт Шмуэль в Белостоке

13 августа 1915 года Белосток после ожесточённой бомбардировки был занят войсками германской армии. В марте 1918 года объявлен частью Белорусской народной республики, в июле 1918 года стал частью Литвы. 19 февраля 1919 года част Польшей.

В сентябре 1939 года был захвачен немцами, но в соответствии с пактом Молотова-Риббентропа передан СССР. 4 декабря 1939 года Белосток стал центром Белостокской области Белорусской ССР. 27 июня 1941 года вновь занят немцами; (<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B5%D0%BB%D0%BE%D1%81%D1%82%D0%BE%D0%BA>)

Из Белостокской области нацисты создали Специальный Белостокский округ, напрямую присоединив его к Третьему рейху в составе гау Восточная Пруссия.

Еврейское население города было согнано в гетто и уничтожено в течение августа. Более 56 000 белостокских евреев погибли. В гетто завозили евреев и из других мест. 15 августа 1943 года, в связи с планировавшейся ликвидацией гетто, в нём началось восстание.



Еврейская кладбиша



20 сентября 1944 года в рамках обмена населением с СССР, Белосток с прилегающими районами был передан Польше. С 1 января 1999 года Белостокское воеводство прекратило существование и было образовано Подляское воеводство с центром в Белостоке. На сегодняшний день Белосток одна из красивейших городов Польши. В центре города находится городская ратуша, музеи, церкви.



Центр города

Заслуживают внимания церкви Белостока. Это старинный Фарный костёл, выполненный в neo-gotycznym стиле 19-го века, с красивым порталом над входом. В его интерьере сохранилось множество вычурных барочных деталей. Ещё один прекрасный костёл Девы Марии был построен в начале 17 века в стиле барокко. Другой костёл Св. Роха, построенный в модернистском стиле в первой половине 20 века, стоит на холме, и его башня высотой 80 с лишним хорошо видна из разных точек города. Её венчает статуя Девы Марии. Эта восьмиугольная постройка украшена множественными изображениями звёзд в самых разных видах: вырезанных в бетоне, помещённых на пилястрах или нарисованных.

Ещё одна более современная православная церковь — Св. Николая-Чудотворца, построенная в середине 19 века в классическом стиле. Она относительно небольшая и способна вместить не более 600 прихожан, но в её интерьере можно видеть фрески, выполненные в 1910 г. Михаилом Аниловым по мотивам картин Васнецова во Владимирском соборе в Киеве. А особый интерес представляет храм Св. Духа, выстроенный во второй половине 20 века, с чёрными куполами-луковками: это одна из самых больших православных церквей в стране.



Ознакомление с городом оставил наилучшие впечатления; Я был очень взволнован. Недалеко от центра находится Музей скульптора Алфонса Карнего, Музей расположен в исторической вилле на улице Свентоянска 17. Прекрасное здание - создает наилучшие впечатления. Это заведение важнейший очаг Культуры. Уютная обстановка, для работы созданы лучшие условия, этикет и нормы взаимоотношения сотрудников, особенно к госте, доброжелательность и желание помочь тут же привлекают внимание людей.



Музей Алфонса Карнего

Коллекция скульптур Альфонсо Карни представлена на постоянной экспозиции: «Альфонс Карни - Опус Вита» принадлежит Музею Подляского в Белостоке. Его творение длилось более сорока лет и является ценным достижением двух поколений музейных работников в Белостоке. Коллекция состоит из нескольких десятков портретов. Они образуют галерею великих поляков, которая полностью отражает художественные достижения скульптора. Его строительство продолжается, потому что наследники художника после инаугурации музея скульптур Альфонса Карни в Белостоке в марте 1993 года. они подарили в виде подарка портрет Фридерика Шопена, Юлиуша Слывацкого, Казимежа Пуласкего и Марии Кюри - Скловской, а в музее была куплена еще одна скульптура - портрет маршала Польши - Юзеф Пилсудски.




Из Коллекций музея

На второй день, 10 часов утра, профессор Дорота Михалюк на собственном автомобиле соднокурсницей Ани предложили осмотреть г. Супрасль и его окрестности.

Основание Супрасли связано с переносом в 1500 Супрасльского Благовещенского монастыря из находящегося поблизости Грудека вниз по реке. В начале XVI века здесь была построена Супрасльская Благовещенская церковь, которая позже была украшена фресками и иконостасом. На протяжении XVII—XVIII вв. Супрасль стала заметным культурным и научным центром, здесь находилась богатая библиотека, типография. Известны имена ряда сотрудников типографии второй половины XVIII в.: книгопечатники Антон Чернявский, Крестомский, Адам Генрих Подебраньский, художник короля Понятовского и профессор живописи Краковской академии Антоний Грушецкий, гисер Алексей Завадский

В начале XIX в. монастырь пришёл в упадок, библиотека была вывезена из Супрасли большей частью — в Вильню. Тогда же было утрачено и ценнейшее её достояние: Супрасльская рукопись, древнейшая написанная кириллицей рукопись XI в.

В середине XIX в. Супрасль стала крупным центром текстильной промышленности, но текстильные предприятия были ликвидированы в начале XX в. из-за отдалённости города от железнодорожных путей. Архитектурные памятники Супрасли серьёзно пострадали от фашистских оккупантов в 1944, после войны — частично восстановлены. С 1980-х возобновил деятельность Супрасльский Благовещенский монастырь, в 1996 году польское правительство закрепило весь монастырский комплекс за Польской православной церковью, сейчас здесь завершаются реставрационные работы.



Супрасльский Благовещенский монастырь

По возвращению меня пригласили в ресторан «Мулто провар» в центре Беластока., познакомились со вкуснейшей Полски кухней (Утка, журек, салати). Кулинарные традиции Беластока достаточно специфичны, ведь на них отразилось влияние множества народов и национальностей. В Беластоке готовят особый борщ: он совсем не похож на традиционный польский «баржч», представляющий собой свекольный отвар с «ушками». Беластокский борщ — это полноценный суп на говяжьем бульоне со всеми традиционными составляющими, к которым добавлена ещё и фасоль (а иногда и белые грибы).

На второй день – 4-го июня Дорота Михалюк на собственной машине повол меня в. Городе Тикочин, который раньше являлся центром частного сектора. В городе много достопримечательных мест. Среди них католический церковь и синагога, в котором сейчас функционирует Музей. Известно, что понедельник закрыти музеи, но по просьбе Дорота Михалюка, нас пустили.



Г. Тикочино Музеи в здании Синагоги

мы осмотрели достопримечательности города и вернулись Беласток. Дорота сообщили, что со мною хочет встретаться директор департамента национального культурного наследия Подлянского воеводства Анатолии Вап. Встреча состоялась в ресторане, Мулти провале» Я попытался оплатить счет в ресторане, чем обидели наших хозяев. Они коротко сказали: «Такие вопросы у нас даже не обсуждаются!»



Анатолии Вап и Тамаз Путкардзе

5-го июня проф. Дорота Михалюк со своей машины повел в г. Цехановеце, где расположена музей под открытым небом. Почему-то его называют музеем сельского хозяйства. музей располагается в дворцово-парковом комплексе в г. Цехановец – Новодворы. Это бывшая резиденция графов Стаженских. Музей, будучи одним из двух в Польше сельскохозяйственных музейных учреждений, собрал множество уникальных объектов и коллекций.



Покровитель музея, Ян Кшиштоф Клюк (Jan Krzysztof Kluk), – это католический священник и природовед XVIII века. Коллекции музея насчитывают ок. 27 000 экспонатов, которые представлены на нескольких десятках постоянных экспозиций. Особого внимания заслуживают экспозиции:

- в классицистическом дворце: кабинет графа, столовая и спальня а также две гостиные, где собрано объекты, связанные с родом Цехановецких и историей города Цехановец.

- в старинной помещицкой усадьбе – Музей писанки, единственный такой музей в Польше, который представляет уникальные экземпляры писанок со всего мира.

- в бывших конюшнях – Музей ветеринарии – также единственный в стране. В музее собраны и представлены объекты, связанные с историей лечения животных в Польше.


- в водяной мельнице – Музей хлеба.

- музей под открытым небом – здесь собрано 43 объекта сельского деревянного строительства (с XVIII до середины XX века).





Интерьеры – это экспозиции, меняющиеся в соответствии с календарным годом, а также выставки, представляющие исчезающие профессии и ремесла. - «Сад растений, пригодных для медицинского использования» по реестру, составленному свящ. К. Клюком – это уникальная живая экспозиция, где можно увидеть многие виды трав, их названия XVIII века, а также применение при различных болезнях и недомоганиях. - «Традиции траволечения» – знакомит посетителей с историей фитотерапии и традициями народного траволечения.



Каждый год музей готовит несколько временных выставок. Ежегодно здесь проходят фольклорные мероприятия и конкурсы, целью которых является поддержка традиций и народной культуры.





Тепло и радушно встретили нас руководители Музея **Дорота Лапак** и заместитель директора **Анна Вишнеvsка**. Они создали отличную условия для

плодотворной работы научной конференции и обещали следующем году посетит в Грузию.

В моей памяти навсегда останется замечательная женщина, мой друг, большой друг Грузинского народа, гостеприимная и грамотная хозяйка госпожа Дорота отличающаяся добродушием и чистосердечностью. Я не мог скрыть восхищения теплотой, добродушием, любовью и взаимопониманием, которые царил вокруг него. Воистину счастлива семья, где женщина улыбается.



6-7 го июня 2018 года, во время работы конференции познакомился проректором Краковского университета, профессором Мариус Волосом. Я ни мог скрит восхищения о его знанием по истории Грузии. Висококвалифицированнии историк отличался скромностью и доброти. Он меня повиол на машине до Варшави и на дароге много говорили об истории Грузии и рольши, о сходних исторических судьбе полского и Грузинского народа.



Виступление Мариус Волоса

Дружба и одна часть любви друга в прошлом. Вторая часть, современная своими природными «экозонами сердца» и там оказавшимися людьми. В эти «экозоны» все не попадают. Для Полских друзьей в данной «экозоне» выделено

особое место. Они еще более обосновали нам, как принято у грузин любовь к другим народам, вера в силу своего народа, веру в друзей, в любовь к ближнему и сердечность. Вот такова гостеприимная Польша. Таковы наши Польские друзья и я счастлив, что попал в их добрую, любовную и улыбчивую атмосферу. В мире все гармонично: любовь, счастье, дружба... избранно добрые, сладкоговорящие, добродушные, а также гостеприимные наши польские друзья дали возможность нам почувствовать эту гармонию. Они показали и дали нам осознать высокие гражданские ценности, которые присущи полякам, коллективный характер, их бытие, традиции, юмор...

Наш визит в Польшу еще более доказал нашу дружбу. Эти отношения основаны на безграничности, любви к делу, профессионализме и откровенности. В этом и заключается секрет дружбы, которая с каждым днем все более возрастает.

თამაზ ფუტკარაძე

პოლონეთი და პოლონელები ქართველი ეთნოლოგის თვალით რეზიუმე


პოლონეთი ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი სახელმწიფოა, შესანიშნავი ქალაქებით, სოფლებით, ბუნებრივი სილამაზითა და კანონმორჩილი ხალხით. სტატიაში პირადი შთაბეჭდილებების საფუძველზე წარმოდგენილია ქართველი ეთნოლოგის თვალით დანახული პოლონეთი.

*ფრიდონ ქარდავა
ნინო გოგიტიძე
მზია სურმანიძე*

**ბათუმის ქართული გიმნაზია
1918-1921 წლებში**

საქართველოს განთავისუფლების, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის, განვითარებისა და გაძლიერებისთვის, სხვა მრავალთან ერთად ფუნდამენტური, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა განათლების საკითხს. ამ მხრივ გადამწყვეტი აღმოჩნდა 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნება, რომელმაც საბჭოთა ოკუპაციის წლებშიც კი უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული ცნობიერების შენარჩუნებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, როგორც ერის იდეოლოგიურმა და სულიერმა ლიდერმა. სწორედამ ამ კონტექსტში მოიაზრებოდა ბათუმში ქართული ეროვნული საზოგადოების ბრძოლა ქართული გიმნაზიის გახსნისათვის. აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით კი დამოუკიდებლობის, თურქული, ბრიტანული, მენშევიკური თუ ბოლშევიკური გააფთრებული შემოტევების პერიოდში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა რეგიონში ეროვნული ცნობიერების განსამტკიცებლად ქართული, საფუძვლიანი განათლებისა და ეროვნულ ენაზე სწავლების გარანტირებული უფლების მოპოვებას. ამ ყველაფერს ბუნებრივია აცნობიერებდნენ იმ პერიოდში მოღვაწე ქართველი მამულიშვილები და არაფერს იშურებდნენ ახალი ქართული სასწავლებლების გახსნისა და ფუნქციონირებისათვის. კარგად მოგვესახელება, რომ არათუ მაშინ, ასი წლის წინათ, არამედ ახლაც კი 21-ე საუკუნეში, იმპერიებისა და ოკუპანტების მთავარი იარაღი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისა, სწორედამ რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული სწავლების აკრძალვაა.

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ბათუმში ქართული გიმნაზიის გახსნისა და მოღვაწეობის პერიოდის შესწავლა, რაშიც გვინდა ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ აჭარის საარქივო სამმართველოს საცავებში დაცული დოკუმენტების თქვენთვის წარმოდგენითა და განხილვით.



ბათუმის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ ქართული გიმნაზიის გახსნისათვის მზადება 1918 წლის 28 იანვრის დროებითი ინსტრუქციის საფუძველზე და-

იწყო, რომელიც სავალდებულო სახელმძღვანელო იყო სასწავლებელთა მართვა-გამგეობისათვის, მანამ, სანამ საქართველოს პარლამენტი შეიმუშავებდა საბოლოო ვარიანტს. დოკუმენტი სახალხო განათლების მინისტრის გ. ლასხიშვილისა და კანცელარიის დირექტორის ვ. ბერიძის მიერაა ხელმოწერილი. ინსტრუქციის საბოლოო ვარიანტი ძალაში 1918 წლის სექტემბერში შევიდა.

ბათუმის საქალაქო მმართველობის მიერ 1919 წლის 7 თებერვალს ქართული ეროვნული საბჭოს კომისიისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც ეხებოდა ბათუმში ქართული გიმნაზიის გახსნასა და მისთვის შენობის გამოყოფას, აღნიშნული იყო, რომ კიდევ ერთი კულტურული დაწესებულების გახსნა დიდ სარგებლობას მოუტანდა კუთხეს, მითუმეტეს, რომ ამის აუცილებლობაცა და სურვილიც დიდი იყო. ამას ამყარებდა ის ფაქტიც, რომ ეს სასწავლო დაწესებულება მოემსახურებოდა არამარტო ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს, არამედ მთლიანად ოლქის, ახლო მაზრების ქრისტიან და მუსლიმან მოსახლეობას. ახლადგახსნილი ქართული გიმნაზია მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე წარმატებულად მოთავსდებოდა საქალაქო უმაღლესი დაწესებითი სასწავლებლის შენობაში, რომელიც მდებარეობდა ასათიანისა და შეპეღევის ქუჩების კუთხეში, ხოლო ამ სასწავლებლის მოსწავლეები რაოდენობიდან გამომდინარე შეიძლებოდა გადაყვანილიყო ქალთა ან ვაჟთა გიმნაზიებში და ამით მათ სასწავლო პროცესს პრობლემა არ შეექმნებოდა. საქალაქო მმართველობის დადგენილებით ბათუმის ეროვნული საბჭოს მიერ გახსნილი შერეული ტიპის ქართული გიმნაზიისათვის უმაღლესი დაწესებითი სასწავლებლის შენობა გამოიყო.

ბათუმის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ შეატყობინა ბათუმის ოლქის სასწავლო ნაწილის ინსპექტორს იმის შესახებ, რომ ხსნის ერთკომპლექსიან, შერეული ტიპის ქართულ გიმნაზიას. ინსპექტორის აზრით კი მიუხედავად იმისა, რომ „სასურველი“ იყო ქართული კერძო გიმნაზიის გახსნა, ბათუმის ეროვნული საბჭო არ იცავდა სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებულ წესებს. ამის განხორციელება შეუძლებელი იყო ბათუმის საოლქო საბჭოსთან შეთანხმების გარეშე. უნდა აღძრულიყო შუამდგომლობა საბჭოსთან, სადაც მითითებული იქნებოდა საფუძველი, რისთვისაც იხსნებოდა გიმნაზია და აგრეთვე მონაცემები: პროგრამების, სასწავლო გეგმების, სწავლების ენის, პედაგოგიური პერსონალის, კლასების რაოდენობის, სწავლის საფასურისა და სახსრების შესახებ, რომლითაც გიმნაზია შეიძლება არსებობას. ამის შემდეგ ბათუმის ოლქის მმართველობით საბჭოს, თხოვნით მიმართა ბათუმის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ, რათა ნება დაერთო ქართული გიმნაზიის გახსნისათვის, რომელთანაც იარსებებდა რვა კლასი და ორი მოსამზადებელი განყოფილება. მოსწავლეთა საკმარისი რაოდენობა უკვე არსებობდა, სწავლება იწარმოებდა ქართულ ენაზე, სასწავლო გეგმა და პროგრამები იგივე იქნებოდა, რაც რუსულ გიმნაზიებში, გეგმას და პროგრამას წარადგენდნენ მეცადინეობის დაწყების წინ. რაც შეეხებოდა პედაგოგიური პერსონალის სიას, ეს პირდაპირ დამოკიდებული იქნებოდა თანხმობაზე, გაიხსნებოდა თუ არა გიმნაზია, მანამდე კი არ ქონდათ შესაძლებლობა მოეწვიათ მასწავლებლები. გიმნაზია იარსებებდა საკუთარი სპეცსახსრებითა და ეროვნული საბჭოს დაფინანსებით. ქართული გიმნაზიის გახსნის საფუძველს ემსახურებოდა ის გარემოება, რომ უკვე დარეგისტრირებული იყო 2000-მდე სწავლის მსურველთა განცხადება და მათი მოთხოვნა იყო მშობ-

ლიურ ენაზე სწავლება. ქართული ეროვნული საბჭო იმედოვნებდა, რომ ბათუმის ოლქის მმართველობა მიიღებდა დროულ გადაწყვეტილებას და გიმნაზიის ფუნქციონირება, რომელიც ასე „სასურველი“ იყო ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, გახდებოდა შესაძლებელი.

ბათუმის ოლქის მმართველობითი საბჭოს 1919 წლის 15 თებერვლის დადგენილებით, ბათუმის ქართულ ეროვნულ საბჭოს მიეცა უფლება გაეხსნა ქართული გიმნაზია და დაევალა სასწავლო ნაწილის საოლქო ინსპექტორისათვის წარედგინა მონაცემები გასახსნელი გიმნაზიის შესახებ.

ახალი ბინის შექმნამდე გიმნაზია მოათავსეს კომაროვის ქუჩაზე მდებარე ბერძნულ და ქართულ სკოლებში. დელეგაციამ, რომელიც სამხედრო გუბერნატორს წარუდგა თხოვნით პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებლისათვის შენობის დათმობის შესახებ თანხმობა მიიღო, თუმცა მალევე ჩაიშალა. ბერძნული სკოლის შენობაში მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მოითხოვეს ქართული სკოლის შენობის დათმობა, ქართული სკოლის ნაწილის ჯანელიძის სახლში გადაყვანა, ხოლო ნაწილის გიმნაზიაზე შემოერთება და იმავე შენობის გვერდით ორი ახალი საკლასო ოთახის მიშენება.

გიმნაზიამ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ინსპექტორს პედაგოგთა განთლებისა და ცენზის შესახებ. სულ მოიწვია 13 პედაგოგი: დირექტორი- აკ. ნ. ფაღავა, ინსპექტორი- დ. კ. კალანდარიშვილი, მასწავლებლები: კ. ყ. ნანეიშვილი, ე. ნ. ფაღავა, გრ. კ. შანიძე, ლ. ა. ნატროშვილი, ვ. ი. გალდავა, ნ. ი. კაციტაძე, გ. პ. ჩიქოვანი, ნ. გრ. ჩხეიძე (ელიავა), ე. ა. წულუკიძე, ა. ი. მიქელაძე, ლ. ა. ჩიმაკაძე. მათ განათლება მიღებული ჰქონდათ ცაგერის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, ქუთაისის რვაკლასიან ქალთა გიმნაზისა და ქუთაისის სემინარიაში, მოსკოვის, ხარკოვის, პეტერბურგის, კიევისა და ჟენევის უნივერსიტეტებში. მაისის თვის მონაცემებით შვიდი კლასი იყო გახსნილი, მოსწავლეთა რაოდენობა 315, ეროვნებით ყველა ქართველი გარდა ორისა, რომელთაც დედა ჰყავდათ ქართველი და მამა რუსი, სულ 11 ქართველი მუსლიმანი. სწავლების წლიური გადასახადი 1000 მანეთს შეადგენდა, მოსწავლეთა 10% განთავისუფლებული იყო გადასახადისაგან.

სასწავლებლის გახსნიდან ძალიან მალე გიმნაზიის ბინაზე, რომელიც მდებარეობდა კომაროვის ქ. N47-ში (დიმიტრი თავდადებული, №1 საჯარო სკოლა), ჩატარდა მოწაფეთა მშობლების დამფუძნებელი კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა გიმნაზიის დირექტორი აკ. ნ. ფაღავა. მან იმედი გამოთქვა, რომ „ახლადგახსნილი კულტურული კერა, რომელიც იმ თავითვე საკმარისად მკვიდრ ნიადაგზე არის დამყარებული, მომავალში, მშობელთა და მასწავლებელთა შეერთებულის ძალით კიდევ მეტი ხალისით და ენერგიით გაუძღვება თავის განმანათლებელ გზას ქართული საზოგადოების საკეთილდღეოდ“. კრებას ესწრებოდა 102 მშობელი, მდივანი გახლდათ ირ. დლონტი. აირჩიეს საბჭოს წევრები 31 კაცის შემდგენლობით, რომელთაგან ერთი სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი იყო. მშობელთა საბჭოს, რომელიც ამვე დროს შედიოდა პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში, უფლება ეძლეოდა საჭიროების შემთხვევაში თავის სხდომაზე მოეწვია გარეშე პირები კოოპტაციის წესით, ხმის უფლებით.

ბათუმის ქართველთა ეროვნულმა საბჭომ თხოვნით მიმართა უმაღლესი დაწვებითი სასწავლებლის ინსპექტორს კონსტანტინე დავითის-ძე მაჭავარიანს, ახლადგახსნილი გიმნაზიისათვის საჭირო ინვენტარის დროებით მიწოდების შესახებ, რომლის მისაღებადაც მასთან გამოცხადებოდა აქვსენტი ფილიმონის ძე გამსახურდია, მაგრამ კ. მაჭავარიანმა გულისტკივილით აცნობა მათ, რომ თურქებისა და ინგლისელების მიერ შენობის დაკავების გამო დაზიანებული იყო ინვენტარი და მიუხედავად დიდი სურვილისა ვერ შეძლებდა დახმარებას. იგი მომხრე იყო ყოველგვარი საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნისა, მაგრამ მის მოვალეობას წარმოადგენდა თავის დაქვემდებარებაში მყოფი სასწავლებლის კეთილდღეობა, რომელმაც დიდი ზარალი განიცადა. იქვე მითითებდა, რომ დახმარების გაწევა ქართული გიმნაზიისათვის მხოლოდ ქალაქის მმართველობას შეეძლო.

ამის შემდეგ სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორ ნიკო ჯაყელს საოლქო სასწავლო დაწესებულებათა ინსპექტორის დავალებით უნდა შეესწავლა ოლქში არსებული სასწავლებლების ინვენტარის მდგომარეობა. იგი ამავე დროს გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოში არჩეული იყო ქალაქის თვთმმართველობიდან, როგორც სრულუფლებიანი წევრი.

1919 წლის 27 მარტის საქალაქო სათათბიროს საგანგებო სხდომაზე, სადაც განიხილეს ქართული გიმნაზიისათვის შენობის გამოყოფის საკითხი, ხმოსნებმა: გ. ელიავამ, ი. ღლონტმა და კ. გოგოლაძემ დადებითად შეაფასეს ახალი გიმნაზიის გახსნის საკითხი და გამოთქვეს სურვილი, რომ ეს საგანმანათლებლო კერა უნდა დაკმაყოფილებულიყო შესაფერისი შენობით.

ხმოსან ზაჩინიაევის აზრით, ქალაქს შემონახული ჰქონდა საუკეთესო ტრადიცია აღზრდის საკითხებთან მიმართებაში, რაზეც მოწმობდა ქალაქში სასწავლებლებისათვის სპეციალურად აგებული შენობები, სადაც გათვალისწინებული იყო არამარტო მოსწავლეთა, არამედ პედაგოგების ინტერესებიც და, რომ ასეთი მიდგომა სასწავლო საქმისადმი ამიერკავკასიის არცერთ ქალაქში არ არსებობდა. ის სათათბიროს ვალდებულად თვლიდა გიმნაზია დაეკმაყოფილებინა საუკეთესო შენობით ან აეგოთ ახალი. მიუხედავად ასეთი დადებითი შეფასებისა იგი წინააღმდეგი იყო საოკუპაციო ჯარებისგან განთავისუფლებული რომელიმე სასწავლებლის შენობა გადაცემოდა ახალგახსნილ გიმნაზიას, მითუმეტეს ვაჟთა გიმნაზია, რომელსაც საქალაქო მმართველობა თავის საკუთრებად ვერ ჩათვლიდა, რადგანაც მას ხაზინის დავალიანება ჰქონდა.

გიმნაზიის დირექტორმა აკ. ფაღავამ გულისტკენით აღნიშნა, რომ „ახალი შენობის აგებასთან დაკავშირებით სხდომაზე დამსწრეთა სურვილები ქვიშაზე არის აგებული“. მართალია ყველა ერთხმად ამტკიცებდა ახალი გიმნაზიისათვის შესაფერისი შენობის გამოყოფის აუცილებლობას, მაგრამ იქვე დასძენდნენ, რომ ინგლისელი ოკუპანტებისაგან გამოთავისუფლებული შენობები უნდა დაბრუნებოდა ისევ რუსულ სკოლებს. ის თვლიდა, რომ ქალაქის სათათბირო ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა ყველა ეროვნების ინტერესი და მიეცა მათთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, მითუმეტეს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდა. მას დიდი იმედი ჰქონდა სათათბირო დაეკმაყოფილებდა მოსახლეობის სულიერ მოთხოვნას და გიმნაზიას გადასცემდა შესაფერის შენობას.

ხმოსანმა დიაკონოვმა კი ხაზი გაუსვა იმას, რომ ქალაქის თვითმმართველობა მუდამ ითვალისწინებდა ყველა ეროვნების ინტერესებს და ხსნიდა მათთვის დაწვევით სასწავლებლებს, ეხლა კი უსახსრობა იყო მიზეზი და ეს გამოსწორდებოდა სამომავლოდ, ხოლო რაც შეეხებოდა რუსულ სასწავლებლებს, სადაც რუსებთან შედარებით მოსწავლეთა უმეტესობა სხვადასხვა ეროვნებისაა, რუსული სკოლის ძახილი ფადავას მხრიდან მხოლოდ ორატორული ნიჭის გამოვლენა იყო. მისი აზრით ეს სკოლები წარმოადგენდნენ საერთო-ეროვნულ, საერთო-საქალაქო სასწავლებლებს, რომელთაც საერთო მხოლოდ რუსული ენა ჰქონდათ, ამ სკოლების ინტერესი კი ერთი ქართული ეროვნული გიმნაზიის გახსნას უნდა შეწიროდა. ამიტომ გამოთავისუფლებული შენობები აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა ადრე მათში ფუნქციონირებად სკოლებს, მაგრამ თუკი გამოჩნდებოდა შესაძლებლობა, სასურველი იქნებოდა დაკმაყოფილებულიყო ქართული გიმნაზიის მოთხოვნა. სხდომამ დაადგინა, გიმნაზიის მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო, როგორც კი შესაფერისი შენობა გამოთავისუფლდებოდა, თუმცა მოგვიანებით მაინც უთხრეს უარი ასეთი შენობის არარსებობის გამო.

ბათუმის საქალაქო მმართველობის წევრ ტარასოვს, რომელიც ხელმძღვანელობდა ქალაქის სასწავლო დაწესებულებათა საქმეებს, აკ. ნ. ფადავა თავის მოხსენებაში შეახსენებდა, რომ ბათუმის ქართული გიმნაზია, რომელიც ემსახურებოდა უმაღლეს მიზანს- განათლების გავრცელებას ოლქის როგორც ქრისტიან, ასევე მუსლიმან მოსახლეობაში, შენობის არქონისა და მოსწავლეთა მზარდი რაოდენობიდან გამომდინარე მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის იმედოვნებდა, ბათუმის საქალაქო მმართველობა სერიოზულ ყურადღებას მიაქცევდა ამ მართლაცდა უდიდესი მნიშვნელობის საქმეს და გადაწყვეტდა მას დადებითად. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ იზრდებოდა გიმნაზიაში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა, განსაკუთრებით კი ქართველ მუსლიმანთა, მაგრამ უწევდათ მათთვის უარის თქმა ბინის სივიწროვის გამო.

კლასები განთავსებული იყო ორ შენობაში: კომაროვის ქუჩაზე ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების სასწავლებელსა და თბილისის ქუჩაზე მდებარე ჯანელიძის სახლში. ორივე შენობა, ძალიან პატარა იყო, ვერ აკმაყოფილებდა ვერც სასკოლო და ვერც ჰიგიენურ მოთხოვნებს. საკლასო ოთახი სულ 7 იყო. მართალია ორი კლასისათვის ნაჩქარევად მოწყობილი ჰქონდათ დერეფანი, რომელიც ხის ტიხარით იყო გაყოფილი ერთმანეთისაგან, მაგრამ იქ შეუძლებელი იყო ნორმალური მეცადინეობის ჩატრება სიბნელისა და ხმაურის გამო. ერთ მოსამზადებელ კლასს საერთოდ არ გააჩნდა ოთახი, რის გამოც სადილის შემდეგ ეწყებოდათ მეცადინეობა. მოსწავლეებს სუნთქვის საშუალებაც არ გააჩნდათ, მოსასვენებელ ადგილზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, დასვენების დროს მოსწავლეები კლასიდან გარეთ ვერ გამოდიოდნენ. ქართული გიმნაზიის ასეთი პირობები შეიძლეოდა ცუდად ასახულიყო მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე და გავრცელებულიყო ეპიდემია.



ფოტო შ. გუჯაბიძის კოლექციიდან

რაც შეეხებოდა გიმნაზიის სასწავლო პროცესს, აქაც სავალალო მდგომარეობა იყო, პედაგოგებს უწევდათ შესვენების გარეშე ევლოთ ერთიდან მეორე შენობაში, რაც იწვევდა დაგვიანებას და ხელს უშლიდა მასწავლებელთა სწორი მორიგეობის დაწესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის ადმინისტრაციის ზედამხედველობა ბავშვებზე ნორმალურად ვერ ხორციელდებოდა.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო ფერხდებოდა სასწავლო პროცესი იმ გიმნაზიაში, სადაც ბათუმის ოლქის მოსწავლეთა უმეტესობა სწავლობდა. ქართულმა ეროვნულმა საბჭომ თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ქალაქში არსებული შენობების კრიზისი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ გიმნაზიისათვის შერჩეულიყო შესაფერისი შენობა. ამიტომაც არჩევანი ისევ გაკეთდა ქალაქის უმაღლესი დაწესებითი სასწავლებლის შენობაზე, რომელიც საკმაოდ დიდი იყო, სადაც სწავლობდა მხოლოდ 60 ბავშვი. ამ შენობაში ინსპექტორის ოთახის გარდა იყო ათი საკლასო ოთახი, აგრეთვე სამი დიდი ოთახი, რომელიც გამოდგებოდა სამასწავლებლოსათვის, კანცელარიისა და დირექტორის კაბინეტისათვის. სწორედ ასეთი შენობა აკმაყოფილებდა ქართული გიმნაზიის მოთხოვნებს, უმაღლესი დაწესებითი სასწავლებლის მოსწავლეები, რომელთა რაოდენობა ცოტა იყო, ნაკლებად დაზარალებდნენ, ვიდრე მოსწავლეები იმ სასწავლო დაწესებულებისა, რომელშიც 300-ზე მეტი ბავშვი სწავლობდა. აქედან გამომდინარე ჯანელიძის სახლში, რომელშიც ქართული გიმნაზიის ნაწილი იყო განთავსებული, უპრობლემოდ მოთავსდებოდა ის სამოცი მოსწავლე, თანაც შენობა მიახლოებით შეეფერებოდა სასკოლო მოთხოვნებს.

აკ. ფაღავა ატყობინებდა რა ზემოთ აღნიშნულს საქალაქო მმართველობის წევრ ტარასოვს, იმედოვნებდა ბათუმის ქართული გიმნაზიისთვის გამოინახე-

ბოდა შესაფერისი შენობა და ყოველივე ამით დაინტერესებული იქნებოდა ბათუმის საოლქო საბჭო.

ბათუმის ოლქის ქართული ჯარების მეთაურისადმი გაგზავნილი გიმნაზიის მეორე დირექტორის დ. ნ. ქუთათელაძის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ინგლისური ოკუპაციის პერიოდში ქალაქიდან გაქცეული ქართველობა უკან ბრუნდებოდა, შესაბამისად ქართულენოვანი მოსახლეობის რიცხვიც იზრდებოდა, აუცილებლობა მოითხოვდა ქართული გიმნაზიის გახსნას, სადაც მკვიდრი მოსახლეობა ქართულ ენაზე ისწავლიდა, სწორედ ამიტომაც გაიხსნა ბათუმში გიმნაზია, მაგრამ პირველივე დღეებში გიმნაზიის ადმინისტრაცია და ქართული ეროვნული საბჭო წააწყდა ტექნიკური ხასიათის წინააღმდეგობებს. ყველაზე მთავარი მაინც სასწავლებლისათვის შენობის გამოყოფა იყო. არაერთჯერადი მიმართვა, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ინგლისური მთავრობისადმი, უშედეგო რჩებოდა. ქართული გიმნაზიის შენობად ისევ მოიპოვებოდა, უმაღლესი დაწვებითი სასწავლებლის და ასევე მარინის ქალთა გიმნაზიის შენობები, მაგრამ სისრულეში მოყვანა ამ საქმის არადა არ ხერხდებოდა. ადგილობრივი ქართული საზოგადოება განცვიფრებული იყო აღნიშნულით. მსოფლიოში კულტურით გამორჩეული ინგლისელების მმართველობის პირობებში სკოლები კატასტროფულ, ანტიპედაგოგიურ და ანტიპიფინურ პირობებში მუშაობდნენ. ამაში ქართველები მათ მიმართ ხელისუფლებისგან არაკეთილმოსურნეობას ხედავდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველთა მოთხოვნას ისინი დააკმაყოფილებდნენ, მოთხოვნა კი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისა იყო. ამისათვის საკმარისი იყო 60-70 ბავშვიანი სკოლა სხვა შენობაში გადაეტანათ, ხოლო გამოთავისუფლებული უმაღლესი დაწვებითი სასწავლებლის შენობა კი გადაეცათ ქართული გიმნაზიისათვის. ბათუმის საქალაქო მმართველობამ საკითხი დადებითად გადაწყვიტა, მაგრამ ბათუმის საოლქო საბჭოს წინააღმდეგობის წყალობით, აღნიშნული დადგენილება შეჩერებულ იქნა.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის დაპირებით გიმნაზიისათვის შენობა უნდა დაეთმო საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ლონდონში გ. ღამბაშიძეს, როგორც კი ამის საჭიროება იქნებოდა. ამ პერიოდისთვის გიმნაზია 13 კლასისაგან შედგებოდა და უკვე ითვლიდა 528 მოსწავლეს. მეცადინეობა ორ ცვლაში მიმდინარეობდა. ეს გარემოება ართულებდა მასწავლებელთა მუშაობას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ დღეში ორჯერ უნდა მისულიყვნენ გიმნაზიაში, ასევე ართულებდა ჰიგიენური პირობების დაცვას, რადგანაც ცვლებს შორის 40 წუთი იყო შუალედი. სივიწროვის გამო ცალკე არ არსებობდა კანცელარია, სამასწავლებლო, ფიზკულტურისა და დირექტორის კაბინეტი, ყველაფერი ეს მოთავსებული იყო ერთ პატარა ოთახში, გიმნაზიის დერეფანში. ორი წლის განმავლობაში ასეთი არანორმალური მდგომარეობა აფერხებდა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. ასეთ მკაცრ პირობებში მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა და თანაც სამომავლოდ მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით გაზრდა იგეგმებოდა.

დირექტორი ატყობინებდა რა ამის შესახებ გენერალ-გუბერნატორს, ითხოვდა შუამდგომლობას ვისთანაც საჭირო იყო. მისი აზრით მკვიდრ მოსახლეობას უფლება ჰქონდა მოეთხოვა გიმნაზიისათვის ნორმალური შენობა, მატერიალური მხარდაჭერა და პირობები, რომელსაც ქალაქში არსებული სხვა სას-

წავლებლები არ უჩიოდნენ. ოპტიმისტურად განწყობილი ქუთათელაძე დასძენდა, რომ იმედი ჰქონდა იდეალური სკოლის შემქმნელი ინგლისელი ხალხის და მომავალში ასეთ გაუსაძლის პირობებში აღარ იქნებოდა ქართული გიმნაზია.

ბათუმის ქართული გიმნაზია სასწავლო პროცესს წარმართავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული კანონებითა და სახალხო განათლების სამინისტროს ცირკულარებით.

დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 27 მაისს მიღებული, ლომთათიძისა და ჟორდანიას მიერ ხელმოწერილი საღერბო გადასახადების შესახებ კანონის საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით, ყველა იმ ქაღალდებისათვის, რომელთათვისაც დაწესებული იყო საღერბო გადასახადი ამოიღეს მარკები რუსული ლერბით და სავალდებულო გახდა მხოლოდ ქართული მარკები, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოღებული იქნა ჯარიმები.

უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მიმოწერა სავალდებულო გახდა მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით. ღირექტორი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ შეესრულებინა სამხედრო უწყებიდან მოსული ყოველგვარი მოთხოვნა. იმ მოსწავლეებს რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი უფლება მიეცათ მოხალისედ ჩაწერილიყვნენ ქართულ ჯარში. თანახმად განათლების მინისტრის ბრძანებისა, ღირექტორს უნდა შეეძინა ეროვნული დროშები.

რუსეთიდან მიღებული, უმდიდრესი და უღარიბესი წრისათვის დაყოფილი, წოდებრივი ხასიათის განათლების სისტემა, რომელიც პედაგოგიური თვალსაზრისით დაგმობილი იყო, მიზანად ისახავდა გადაღობებოდა ერის დამოუკიდებელი ნაწილის მისწრაფებას მაღალი ხარისხის განათლებისადმი. ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა დაწყებითი სკოლების მოწაფეებს უმაღლეს სკოლაში სწავლის გაგრძელებაში უნდა მოსპობილიყო და სკოლაში დამყარებულიყო სოციალური თანასწორობა. აქედან გამომდინარე მთავრობის 1919 წლის 22 ივნისის დადგენილების საფუძველზე საშუალო და უმაღლეს დაწყებით სკოლებში პირველიდან მეოთხე კლასების ჩათვლით, პროგრამები გათანაბრდა, შესრულებაზე კონტროლი კი დაევალა პედაგოგიურ საბჭოებს. ბათუმის რუსული სკოლებიდან გადმოსული მოსწავლეებისათვის სავალდებულო გახდა ეროვნული საგნების: საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის გამოცდების ჩაბარება.

გაუქმდა საღვთო სჯულის სწავლება, შტატგარეშე დარჩენილ მასწავლებელთ კი მიეცათ შესაბამისი ანაზღაურება. მშობლებს შეეძლოთ თავიანთი ხარჯით ამავე სასწავლებლის შენობაში აეყვანათ საღვთო სჯულის მასწავლებელი. კლასის დამრიგებლისათვის აიკრძალა 24-ზე მეტი გაკვეთილის ჩატარება, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში დამრიგებლობის პირნათლად შესრულება შეუძლებელი იქნებოდა. იგი ვალდებული იყო სწავლის დაწყებამდე მისულიყო გიმნაზიაში, შეემოწმებინა საკლასო ოთახის სისუფთავე, დაენიშნა მორიგეები, თვალყური ედევნებინა წესრიგის დაცვაზე დასვენების დროს, მასწავლებლის ავადმყოფობის გამო ჩაეტარებინა გაკვეთილი, გიმნაზიიდან წასვლა კი მეცადინეობის დასრულების შემდეგ შეეძლო.

აიკრძალა მასწავლებელთა მიერ იმავე სკოლის მოსწავლეებთან კერძო გაკვეთილების ჩატარება, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი თუ ნებართვა წინასწარ იყო გაცემული პედსაბჭოს მიერ განსაკუთრებული

შემთხვევისათვის, ან კიდევ, თუ ქალაქში არ მოიპოვებოდა სხვა პირი, რომელ-თანაც მსურველი იმეცადინებდა.

გაუქმდა მოსამზადებელი კლასები, ხოლო უმუშევრად დარჩენილი მასწავლებლებელთა დასაქმება ქალაქის სხვა სასწავლებელში კონტროლზე იქნა აყვანილი. უადგილობის შემთხვევაში თვითეული მასწავლებლის სახელი და გვარი უნდა ეცნობებინათ განათლების სამინისტროსთვის, რათა მიღებულიყო ზომები მათ დასაქმებულად.

საშუალო სკოლების ექიმთა ყრილობის დადგენილებათა შესასრულებლად სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გადამდებ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით ექიმებს დაევალებათ ეზრუნათ მოსწავლეთა ინფორმირებაზე. აიკრძალა ექსკურსიები გადამდებ სნეულებათა გავრცელების პერიოდში.

ისტორიულ მიზეზთა გამო ბავშვებს, რომელთაც რიგიანად ჯერ საკუთარი დედაენა ვერ შეესწავლათ ვალდებულნი იყვნენ ერთდროულად რამდენიმე უცხო ენა ესწავლათ, საბოლოოდ კი ვერც ერთს ვერ ფლობდნენ წარჩინებით, ამიტომ სახალხო განათლების სამინისტრომ დაადგინა, რომ ყველა კლასში გარდა რუსული ენისა სავალდებულო ხდებოდა ერთი უცხო ენის შესწავლა, თუ რომელ ენას აირჩევდნენ ამას გადაწყვეტდა პედსაბჭო, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნებოდა მშობელთა და მოსწავლეთა სურვილი.

განათლების სამინისტროს მოთხოვნით სკოლა ვალდებული ხდებოდა წინა პლანზე წამოეწია და გამოეყენებინა მოსწავლეთა დადებითი თვისებები. განახლებულ სკოლას ანგარიში უნდა გაეწია მოსწავლეთა მისწრაფებისათვის, საზოგადოებრივი მოთხოვნებისთვის. ისინი დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ სხვადასხვა წრეებს: მუსიკალურ, დრამატულ, მეცნიერულ, ლიტერატურულ, ფილანტროპულ და ფიზიკურ ვარჯიშებს. იმედოვნებდნენ, რომ სწორ ნიადაგზე დაყენებული მოწაფეთა წრე საქმის მოყვარული მასწავლებლის ხელმძღვანელობით დიდ სარგებელს მოუტანდა აღსაზრდელებს ზნეობრივი აღმავლობისა და გონებრივი განვითარების საქმეში. ერთის მხრივ მოწაფეები ჰარმონიულად განვითარდებოდა დაუბრკოლებლად, მეორეს მხრივ წრეები გააფართოებდა მოწაფეთა ინტერესებს იმ საზღვრების გარეთ, რომლითაც შემოფარგლული იყო სკოლა არსებული პროგრამით. წრეები აკმაყოფილებდა მოწაფეთა სურვილებს. იმედოვნებდნენ, რომ სკოლებში წრეების შემოღება გაამრავალფეროვნებდა სკოლის ცხოვრების შინაარსს.

თავიდანვე მთავარი ყურადღება მიექცა ბიბლიოთეკის საკითხს. უკვე არსებულ რუსულ ბიბლიოთეკას არ ჰქონდა არცერთი გამოცემა ქართულ ენაზე, რაც დიდად აფერხებდა ახლადგაეროვნებული სკოლის სასურველ კალაპოტში ჩაყენებას. შეიქმნა კომისია: ბ. დოლიძის, შ. თაბუკაშვილის, გაჩეჩილაძისა და ნ. გუგელიას შემადგენლობით, რომელთაც დაევალებათ ქართული ბიბლიოთეკის შექმნა და მოწყობა, აგრეთვე სწავლების გაადვილების მიზნით გიმნაზიის თვალსაჩინოებებით მომარაგება.

თბილისიდან განათლების სამინისტროს მიერ საშუალო სკოლათა უფროსების, ერობათა და ქალაქთა გამგეების სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ სამხედრო სამინისტროს ტიპოგრაფიულმა განყოფილებამ გამოსცა პროფესორ ბენაშვილის რედაქციით ქართულ ენაზე შედგენილი ნახევარსფეროების რუკა, ფასი 2000 მანეთს შეადგებდა, მისი შექმნა შეიძლებო-

და მხოლოდ თბილისში დამფუძნებელი კრების ქუჩაზე, გენერალური შტაბის შენობაში, სკოლის წარმომადგენლის მიერ.

გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს წარმოადგენდა მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებაზე ზრუნვა. მოსწავლეთა ინტელექტუალურ განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა მოსწავლეთა შრომას, პიროვნების დაფასებას, ზნეობრივ სიფაქიზესა და სიღარბაისლეს, მათ ფსიქოლოგიას, ინტერესებსა და მისწრაფებებს. მათი ესთეტიკური განათლებისათვის იმართებოდა ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები გამოდიოდნენ მომღერლების, მუსიკოსებისა და არტისტების როლში.

უღარიბეს მოწაფეთა დასახმარებლად გიმნაზიის მოსწავლეთა მონაწილეობით, რომლებიც გიმნაზიაში არსებული თეატრალური წრისა და ორკესტრის წევრები იყვნენ, რკინისა და შმავესკის თეატრებში მართავდნენ საქველმოქმედო საღამოებს, თეატრალურ წარმოდგენებს და ლიტერატურულ დილას. წრეს ხელმძღვანელობდა ექიმი მ. რატიანი. აგრეთვე არსებობდა მაჰმადიან მოსწავლეთა დრამატული წრეც. მოწაფეთა მიერ მოწყობილი საღამოების მეთვალყურეობა ევალებოდა კლასის დამრიგებლებს, რომლებიც საღამოს პროგრამებს წინასწარ განიხილავდნენ პედსაბჭოზე.

კიევის ოპერის არტისტმა, მხატვარმა ტიხონ ალექსანდრეს ძე სლავინმა (ბორხოვი) თხოვნით მიმართა ქალაქის მმართველობას ვაჟთა რუსული გიმნაზიის შენობაში კონცერტის ჩატარების შესახებ და შემოსავლის 50%-ის მოწაფეთა დასახმარებლად გიმნაზიის ფონდში ჩარიცხვის სანაცვლოდ მოითხოვა გადასახადისაგან გათავისუფლება, რაზედაც უარი მიიღო, თუმცა მიუხედავად ამისა მან შემოსავლის 30% მაინც ჩარიცხა. იგი ამავე დროს გიმნაზიაში ასწავლიდა, როგორც დასარტყამ, ასევე ჩასაბერ ინსტრუმენტებზე დაკრას. მუსიკის მასწავლებლად აგრეთვე მოწვეული იყო კაპელმეისტერი გ. პუხარი.

ქ. ბათუმის ქართველთა კონსულმა გიმნაზიას უღარიბესი და ნიჭიერი მოწაფეებისათვის შეწირა 5000 მანეთი, ვაჭარმა აშოტ მდოიანცმა კი გარდაცვლილი შვილის, რუბენის პატივსაცემად მეშვიდე კლასის ღარიბ მოსწავლეთათვის 2500 მანეთი.

გიმნაზიაში იმართებოდა კულტურული ღონისძიებები. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კოტე მაცაშილის მიერ ხელმოწერილ საინფორმაციო წერილში მითითებულია დ. კლდიაშვილის მოღვაწეობის 30 წლისადმი მიძღვნილი იუბილეს ჩატარების აუცილებლობის შესახებ, რომლის ღვაწლი ბათუმის ქართული საზოგადოების წინაშე ძალიან დიდი იყო. შეიქმნა კომისია ირ. ღლონტის, გრ. ჩიქოვანის და ლ. ჩირგაძის შემადგენლობით. სამწუხაროდ ამ ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობა აღარ მიეცათ.

ტანვარჯიშის მასწავლებლად მოწვეულმა ვლადიმერ ივანეს ძე ახვლედიანმა საკუთარი ხარჯებით შეიძინა საჭირო ინვენტარი, მოაწყო შესაფერისი ოთახი მსურველ მოსწავლეთა სავარჯიშოდ. მისი ინიციატივით გიმნაზიაში დაარსდა ტანვარჯიშის საზოგადოება „შევარდენი“. საზოგადოებამ შეძლო მოეწყო „შევარდენი“-ს დღეები, სადაც მოწაფეთა ორკესტრის თანხლებით სრულდებოდა მრავალი ნომერი. რუსული კლასებისათვის მოწვეული იყო ჩეხი ვიანესლავ ალოლფის ძე კოუბა.

გიმნაზიაში შეიქმნა მოწაფეთა კომიტეტი, რომლის განცხადების საფუძველზე პედსაბჭოს დადგენილებით დაარსდა პოლიტიკური ორგანიზაცია პარ-

ტიული კომიტეტის პასუხისმგებლობით. ორგანიზაციას მიეცა სამეცნიერო წრის ხასიათი, სადაც გარეშე პირების დასწრება აკრძალული იყო. აგრეთვე არსებობდა სამეურნეო კომიტეტი, რომელშიც არჩეული იყვნენ წევრები მასწავლებელთა კორპორაციიდან, მშობელთა წრიდან და ქალაქის თვითმმართველობიდან.

1920 წლის 27 სექტემბრიდან ბათუმის ოლქისა და ქალაქის საგანგებო რწმუნებულის განკარგულებით გიმნაზიას შეუერთდა სამუსლიმანო საქველმოქმედო საზოგადოებასთან არსებული ქართველ მუსლიმან ბავშვთა პანსიონი ორმოცი ბავშვით, რომელიც საზოგადოების მიერ 1918 წელს დაარსდა იმ მიზნით, რომ დახმარებოდა ქართველ მაჰმადიან ბავშვებს, რომელთაც ჰქონდათ სურვილი სწავლისა, მაგრამ არ გააჩნდათ ამის საშუალება. ვინაიდან ამ კუთხის მკვიდრთა გათვითცნობიერებას და საღ გზაზე დაყენებას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ქართველთა საუკეთესო ნაწილი ყოველთვის ცდილობდა ხელი შეეწყოთ მათში განათლების გავრცელებას.

პანსიონის შენახვის ხარჯები გაღებული იყო სესხის სახით საგანგებო კომისიარის თანხებიდან. არსებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით რვა თანამშრომლისა და მოსწავლეთა ყოველთვიური საკვების, აბანოსა და ჰიგიენური საშუალებების ხარჯი 185 000 მანეთს შეადგენდა. მოწაფეთათვის უფასო იყო საჭმელი, ტანსაცმელი, საწოლი და სასწავლო ნივთები. პანსიონს შემდგომში აფინანსებდა ეროვნული მთავრობა, ხოლო უღარიბეს მოწაფეებს დახმარებას უწევდა მშობელთა წრე. პანსიონის შესანახად სულ დაიხარჯა 3 151 856 მანეთი.

გიმნაზიის გახსნიდან 1920 წლის 1 ივნისამდე მოსწავლეთა მიერ შემოტანილმა სწავლის საფასურმა 400 000 მანეთი შეადგინა, ხოლო სახალხო განათლების სამინისტრომ კრედიტის სახით 258 153 მანეთი გაიღო. პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით ქვეყანაში შექმნილი მძიმე საომარი მდგომარეობით გამოწვეული სიძვირის გამო წლიური გადასახადი ზედა კლასებში 4000, ხოლო პირველ ოთხ კლასში 2000 მანეთამდე გაიზარდა.

დამფუძნებელი კრების დეკრეტის საფუძველზე სახელმწიფო მოხელეებს გაეზარდათ ჯამაგირი. ბათუმის ოლქის მოხელეები უფლება-მოვალეობებით უნდა გათანაბრებოდა რესპუბლიკის სხვა მოხელეებს, ამიტომ ჯამაგირის სხვაობა უკიდურეს შემთხვევაში დაშვებული იყო მხოლოდ 1/30-ით. 1920 წლის ბოლოსათვის დირექტორის ხელფასი ყოველთვიურად 4637, ინსპექტორის 5156, მასწავლებლების 2160-4944 მანეთი იყო.

მეორე სასწავლო წელს გიმნაზია გაიყო ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებად. ქალთა გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა დანიელ ქინქლაძე. ამან გამოიწვია მასწავლებელთა გადაჯგუფება და ახალი კადრების მოწვევა. ქართულ კლასებთან გაიხსნა რუსული პარალელური, სადაც მოთავსდნენ რუსული გიმნაზიიდან გადმოსული მოწაფეები. მეხუთე კლასთან გაიხსნა პარალელური - კომერციული კლასი 13 მოსწავლით. მიღებული იქნა თურქული სკოლიდან გადმოსული მოსწავლეებიც.

დ. კ. კალანდარიშვილის გარდაცვალების შემდეგ ინსპექტორად დაინიშნა ნ. მუჯირი. წარჩინებულ მოსწავლეებს დაენიშნათ გარდაცვლილი მოსწავლეების სახელობის სტიპენდია. გიმნაზიაში უქმე დღეებად გამოცხადდა ეროვნული გვარდიის დღე - 12 დეკემბერი და უნივერსიტეტის დაარსების აღსანიშნავად, სტუდენტთა დღე - 26 იანვარი.

1919-1920 წლები გიმნაზიისათვის მძიმე იყო. ბათომი და მისი ოლქი ინგლისის საოკუპაციო მხედრობას ეჭირა. ქართული გიმნაზია ადგილობრივი ადმინისტრაციისაგან, რომელიც ინგლისელებისა და რუსი მოხელეებისგან შედგებოდა დიდ დევნას განიცდიდა. გიმნაზიის ისევ არ ჰქონდა შესაფერი ბინა. როგორც მასწავლებლებისათვის ასევე მშობელთა წრისათვის ქართული გიმნაზია დიდი სიყვარულისა და პატივისცემის საგნად გადაიქცა. ბათუმის განსაკუთრებული პირობების გამო გიმნაზიის ირგვლივ თავი მოიყარა ქართველმა საზოგადოებამ განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა. სწორედ მათმა მატერიალურმა და ზნეობრივმა დახმარებამ ჩაუყარა საფუძველი ქართულ გიმნაზიას, სადაც მეორე სასწავლო წლის ბოლოსათვის უკვე 687 მოსწავლე სწავლობდა, რომლის ერვნიული შემდგენლობა მეტად მრავალფეროვანი იყო. სასწავლო წლის ბოლოს მერვე კლასის კურსდამთავრებულის მოწმობა გადაეცა 24 მოსწავლეს.

იმწავლის განაწილება
კლასების მიხედვით 1920-21 წ. წ.

იმწავლის		კლასების მიხედვით									
კლასი	საზოგადოებრივი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
687	361	144	71	42	47	5	9	2	2	1	3

1920 წლის 7 ივლისიდან, როდესაც ბათომი და მისი ოლქი ევროპის სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს დადგენილებით საქართველოს გადაეცა, დაიწყო ახალი ეპოქა გიმნაზიის ცხოვრებაში, მაგრამ სამწუხაროდ მენშევიკური მთავრობა ბოლშევიკებმა ჩაანაცვლა. სწავლაზე ზრუნვა აღარ შეიძლებოდა, მესამე სასწავლო წელი მეტად ხანმოკლე გამოდგა. პროგრამების მხოლოდ ორი მესამედი იყო გავლილი, როდესაც 1921 წლის 25 თებერვალს შეწყდა მეცადინეობა, რომელიც აპრილის თვეში განახლდა, მაგრამ მხოლოდ ათი დღით. 619-დან შემდეგ კლასში 379 მოსწავლე გადავიდა, 179-ს ხელმეორედ დაენიშნა გამოცდები, სასწავლებლის სრული კურსი კი 61-მა მოსწავლემ დაასრულა.

სახალხო კომისარიატის განკარგულებით 20 აპრილს გიმნაზიამ არსებობა შეწყვიტა.

როგორც ზემოთქმულიდან დავინახეთ, ქართული გიმნაზიის გახსნისათვის წამოწყებულ სამამულიშვილო საქმეში, ბათუმის სათათბიროს მხრიდან აშკარად იკვეთებოდა რუსული ინტერესების წინა პლანზე წამოწევა და ქართული ეროვნული ინტერესების შეფერხებისათვის ბრძოლა რიგი არაქართველი ხმოსნების მიერ. სამწუხაროდ ქალაქის სათათბიროში ქართული ეროვნული პოლიტიკის გამტარებლები უმრავლესობაში არ იყვნენ. ბათუმის ქართული გიმნაზია

სასწავლო პროცესს წარმართავდა ქართული პარლამენტის მიერ მიღებული კანონებითა და სახალხო განათლების სამინისტროს ცირკულარებით. ამრიგად, საზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ბათუმში ქართული გიმნაზიის გახსნა და ფუნქციონირება უდიდესი წვლილი იყო არამარტო ამ კუთხის განათლების და ეროვნული ცნობიერების ამაღლების, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასს ცსა, ფონდი ი-75; ანაწ. 1; საქ. 1, 11, 12, 13, 23, 27, 28, 32, 33, 34, 36. ბათუმის ქართული გიმნაზია, 1918-1921 წწ.
2. ასს ცსა, ფონდი ი-6; ანაწ. 1; საქ. 1000
3. ასს ცსა, ფონდი ი-7; ანაწ. 1; საქ. 702

Fridon Kardava
Nino Gogitidze
Mzia Surmanidze

Batumi Georgian gymnasium in 1918-1921 *Summary*

The liberation of Georgia, the establishment, development and strengthening of an independent national state, has been fundamental and vital importance to the issue of education.

The article deals with the opening and activities of the Georgian Gymnasium in Batumi based on documents protected by the Archives Administration.

Yurii Makukha,

MODERNIZATION OF SOUTH-EAST ASIAN COUNTRIES AND PARADIGM OF ASEAN INTEGRATION PROCESSES

Annotation: In the article, the problem of interconnection of the processes of modernization and integration in ASEAN countries is considered. The author argues that these processes have a common nature and are determined by the civilizational features of the development of the South-East Asian countries. The main factors of the specific, state-controlled and political modernization of the countries of this region are the communitarian nature of societies, which are realized through the policy of economic nationalism. The particularity of the integration of ASEAN countries also reflects its civilization nature and directed to preserve national sovereignty and promote common and national development and security in the region.

Key words: *political institutions, state administration, modernization, westernization, integration, regionalization, civilization and national identity, communitarian societies, economic nationalism, authoritarianism*

Over the past half-century, South-East Asia has changed from a region that was mostly considered as a trade junction to a region that is now referred to as a region-leader. Today, the SEA region undergoes dynamic development, both in terms of pace and developmental quality. The accelerated modernization, the formation of an external-oriented investment model was achieved due to state policy, rapid demographic transition, urbanization growth, transformation of the human factor, mainly labor resources, the transition from production with low added value to a higher quality and expensive products with high added value and, sometimes innovative.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში გავრცელებულია უამრავი ტოპონიმი, რომლებიც მდინარეების, მთების, დაბლობების, ბორცვებისა თუ დასახლებული პუნქტების გეოგრაფიულ სახელთა ერთობლიობაა. ტოპონიმიკური კვლევა-ძიება საკმაოდაა გავრცელებული სამამულო მეცნიერებაში, თუმცა იგი არცთუ იოლი კვლევის ობიექტია. ამიტომ გადავწყვიტეთ საკუთრივ სოფელ ზედა სამებაში გავრცელებული ადგილთა სახელების წარმომავლობით შემოვიფარგლოთ და შეძლებისდაგვარად განვმარტოთ ისინი. თუმცა უნდა ითქვას, რომ იდეა რამდენიმე წლის წინ გამიჩნდა. შესაბამისად აუცილებელი იყო სოფლის უხუცესებისაგან გამეგო ინფორმაცია, რადგანაც ნარატიული წყაროები არ არსებობდა. ამიტომაც ვისარგებლე ზეპირი გადმოცემებით და ჩავრთე ჩემს კვლევაში. ამ მხრივ დიდი სამსახური გამიწიეს სიტყვაუხვმა რესპონდენტებმა: 87 წლის ასლან კახიძემ და 87 წლის რიზა ხინიკაძემ.

ტოპონიმი (ბერძნ. topos ადგილი და onyma - სახელი) სამება საკმაოდ გავრცელებული სახელია დასახლებული პუნქტებისა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში და სხვა ქრისტიანულ (მართმადიდებლურ) ქვეყნებში. სამებას სლავები მოიხსენიებდნენ ტროიცკის სახელით. ამავე სახელს ატარებს დუხობორების ერთ-ერთი სოფელი ჯავახეთში.

ტოპონიმი სამება გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც (ჩოხატაური, ხელვაჩაური, ქობულეთი...). ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ეს სოფელი ორი დიდი უბნის - ზედა და ქვედა სამების სახითაა წარმოდგენილი.

სოფლის ორ ნაწილად გაყოფა უკავშირდება კოლექტივიზაციის პერიოდს (XX საუკუნის 20-იანი წლები) და განპირობებული იყო ამჟამინდელი ქვედა სამების ტერიტორიაზე არსებული სასოფლო კანტორის კუთვნილებასთან დაკავშირებული დავით. გადაწყდა, სოფლის ზემო და ქვემო უბნების გამყოფ ადგილას აეშენებინათ ახალი კანტორა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ამ ორი უბნის დამოუკიდებელ სასოფლო ერთეულებად ჩამოყალიბებას.

ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ, რუსეთის იმპერიის შორს გათვლილმა მუჰაჯირობის პოლიტიკამ და შემდგომ, საბჭოთა პერიოდის ათეისტურად აღზრდილმა თაობამ თითქმის სავსებით "მიივიწყა" ამ სოფლის წარმომავლობა. ტოპონიმს სხვადასხვანაირი ახსნა მოეძებნა. რესპონდენტ ასლან კახიძის ვერსიით, ადგილობრივ გლეხს თხა ჩაუბამს ბარდნალში, მაგრამ მოგვიანებით ვერ გაუხსენებია თხის ადგილსამყოფელი და დაუძახნია: სა მება, სა მებაო (სად მება როგორ ვერ ვიხსენებო).

უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება მეორე ვერსია, რომლის შესახებაც საუბრობს "ამბიონის" ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი დანიელ სოლომონიძე. იგი გვიყვება ქობულეთის სოფელ ზედა სამებაში ყოველადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ისტორიას. მისი ინფორმაციით, ტაძარი აშენდა ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით და საზეიმოდ გაიხსნა 2011 წლის 22 სექტემბერს. მისივე ინფორმაციით, აჭარაში ოსმალ-

თა ბატონობას შეეწირა არაერთი ქრისტიანული სამლოცველო, მოსახლეობა კი გამუსლიმანდა. მოგვიანებით კი მოსახლეობის ნაწილი მუჰაჯირობის მსხვერპლი გახდა, ნაწილი კი გადასახლდა სხვადასხვა რეგიონში, რათა შეენარჩუნებინა ეთნიკური თავისთავადობა. სწორედ მათ უწოდეს **ამ სოფელს სამება უწოდეს**, რათა არ გამქრალიყო სოფლის ქრისტიანული წარსული და სოფელში არსებული ტაძრის ნაკვალევიც.



რესპონდენტ შაქრო კახიძის ოჯახში
მაჯვნიდან: თ. ფუტკარაძე, ნანა კახიძე, ქეთევან მაღლიშვილი,
შაქრო კახიძე და ინგა თავებერიძე

რამდენიმე წლის წინ სოფელში მცხოვრებმა კახიძეების ოჯახმა სასახლისთვის მიწის გამოთხრის დროს **ორფუთიანი ზარი** აღმოაჩინეს. ამ **ადგილს ხალხი დღესაც სახტარს (საყდარს) ეძახის**. ე.ი. აქ ძველად ტაძარი უნდა არსებულიყო. გადმოცემით, სამლოცველო ხის ნაგებობა ყოფილა და ოსმალებს დაუნგრევიათ. ეკლესიის წინამძღვარს მოუსწრია ხატების გურიის სოფელ აკეთში გადასვენება, ზარი კი სიმძიმის გამო ვერ წაუღიათ და იქვე ჩაუმარხავთ. რესპონდენტ შაქრო კახიძის ინფორმაციით ეს ზარი თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ზედა სამების საჯარო სკოლაში ეკიდა და გაკვეთილების დაწყებასა და დასრულებას აუწყებდა აღსაზრდელებს, მოგვიანებით კი იგი ტაძარს დაუბრუნდა. ტაძარი ყოველადწმინდა ღვთისმშობლის სახელობისა და მდებარეობს აღმოჩენილი ზარის ტერიტორიიდან სულ რაღაც 50 მეტრის დაშორებით.

მოგვიანებით, როცა ოსმალებმა ტაძარი გაანადგურეს, იქ გაჩნდა სასაფლაოები, რამაც გამორიცხა ნატაძრალის ადგილზე ახალი სამლოცველოს მშენებლობა. ტაძრის მშენებლობის ადგილად მონიშნა მიმდებარე ტერიტორია. მშენებლობის დაფინანსება ითავა უცხოეთში მოღვაწე იქაურმა ბიზნესმენმა **თენგიზ ხინიკაძემ** და 3 წლის განმავლობაში ააშენა სრულიად ახალი ჯვარგუმბათოვანი სტილის ყოველადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძარი, რომელიც, რომელიც **2011 წ. სექტემბერში გაიხსნა**. ტაძარი ჯერ მოხატული არაა, ხატების რაოდენობა კი დღითი დღე მატულობს. მრავლდება მრევლიც. სოფლის მკვიდრნი ნელ-ნელა უბრუნდებიან მამაპაპისეულ სარწმუნოებას, ინათლე-

ბიან და ქრისტეს სარწმუნოების გზას ადგებიან.

ზოგადად, ცნობილის ტოპონიმ სამების სამების წარმომავლობა. იგი მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმინდის ერთიანობას გამოხატავს.

მნიშვნელოვანია, რომ სოფელ ქვედა სამებაშიც შემორჩენილია პატარა ბაზილიკური ტაძრის ნანგრევები, სადაც ასევე გადაწყდა სულიწმინდის სახელობის ტაძრის მშენებლობა.



ზედა სამების ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

ზედა სამების ეკლესიასთან მისვლამდე, სამების თხემზე არის ყველაზე ჩადაბლებული ადგილი - ყელი. ამ უბანში ცხოვრობენ **ხინიკაძეები**. შესაბამისად ამ ადგილს **ხინიკაძეების ყელსაც** ეძახიან. გადმოცემის მიხედვით, ხინიკაძეები წარმოშობით არიან ხინოდან. ხინიკაძეების გარდა უბანში ცხოვრობენ **კახიძეები, საბაზები, ბეჟანიძეები და მოწყობილები**.

სოფლის ტოპონიმებს შორის ყურადღებას იქცევს საყდარის სიახლოვეს მდებარე ქობულეთი-ზედა სამების სამარშრუტო მიკროავტობუსის ბოლო გაჩერება - **საწიწილე**. ამ ადგილიდან გზა ყველა მიმართულებით მიემართება. მთხრობელის თქმით, საწიწილედ სწორედ ამიტომ შეურქმევიათ.

საწიწილედან სკურდას მთის მიმართულებით, ხუთასიოდე მეტრში არის ტოპონიმი - **ღარები**. იგი ზედა სამების ბოლო დასახლებაა. აქედან არაჩვეულებრივი ხედი იშლება ყველა მიმართულებით და ქობულეთის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა დასახლებული პუნქტის გარჩევა შეიძლება.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამ ადგილზე საბჭოთა ჯარების მცირე კონტიგენტიანი საზენიტო ნაწილი იდგა. თურმე ნაწილის წყლით მომარაგება ჭირდა. არადა წყალი ორასიოდე მეტრში იყო. გადაწყვიტეს წყლის მოყვანა ღარების ერთმანეთზე გადაბმით. იქვე იზრდებოდა მურყანის არაჩვეულებრივი რაყა, რომელიც მოჭრეს და ეწოთი გამოთაღეს ღარები, გადააბეს ერთმანეთზე და მოიყვანეს წყალი. ამ ადგილსაც ამიტომ ღარები შეარქვეს. ღარების უბანი დასახლებული არიან: **კახიძეები, ართმელაძეები და დუმბაძეები**.

ღარებიდან სკურდას მთის მიმართულებით მიმავალი სამანქანე გზის ცალკეულ მონაკვეთებზე მდებარეობს **კაპეტი, ჯარწიფლნარი, ლაშე** და სხვა ად-

გილები.

რესპონდენტ ასლან კახიძის ინფორმაციით თურმე **კაპეტი** მაგარს, საღს აღნიშნავს. მართლაც ღარებიდან საურმე გზის გაყვანა კაპეტის ღელემდე მოგვიანებით შეჩერდა მისი გაუვალობის გამო. ზემოთ აღნიშნული გზის მესამე კილომეტრზე მდებარეობს **ჯარწიფლნარი**. იგი მთაში სამი-ოთხი კექტარი ფართობის მქონე დავაკებას წარმოადგენს, სადაც ცადაწედილი, სწორი ტანის წიფლის "ჯარი" იღვა.

რესპონდენტის თქმით, კოლექტივიზაციის გარიჟრაჟზე სოფელში იყო საქონლის საზაფხულო ფერმა. ფერმის წყლით მომარაგება კილომეტრზე მეტი სიგრძის არხით ხდებოდა. ამჟამად იქ გზაა გაყვანილი და შესაბამისად გაიჩეხა ეს ადგილი ისე, რომ ერთი "მოწმეც" აღარ დარჩენილა.

სამანქანე გზის ბოლო მონაკვეთი **სკურდას მთის** სახელითაა ცნობილი. ეს მთა ზღვის დონიდან 1850 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. აქედან ქობულეთისა და მეზობელი გურიის არაჩვეულებრივი პანორამა იშლება. მთის უკან დაჭაობებული, ტალახიანი ვაკე ადგილი შესანიშნავი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. ამიტომ იგი სოფელ ქობულეთის თემში შემავალი სოფლების - კოხისა და თავისთავად სამებლების კურორტად იქცა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ასლან კახიძის თქმით ივლის-აგვისტოში აქ 300-ზე მეტი დამსვენებელი იყრიდა თავს. სწორედ სამკურნალო თვისებების მქონე ტალახის არსებობის გამო უწოდეს ამ ადგილს **ლაშე**.

ტოპონიმ **სკურდას** ეტიმოლოგიის შესახებ რესპონდენტები ვერაფერს ამბობენ, თუმცა აღნიშნავენ ისლით დაფარული შავი ზღვისკენ მიმართული მთის ფერდის კლდოვან, ციცაბო ხასიათს. შესაძლოა ამიტომ შეერქვა ამ ადგილს სკურდა.



სკურდას მთა

როგორც აღინიშნა, სოფელი პოლიგენური დასახლებისაა. აქ კახიძეებთან ერთად ცხოვრობენ **კაიკაციშვილები, ბლადაძეები და გოგიტიძეები**. უბნების დასახლებაც ძირითადად გვარობრივ პრინციპს ექვემდებარება.

ჩვენი ყურადღება მიიქცია **კახიძეების** გვარების ისტორიამ, რომლებიც სოფლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ. **კახიძეების წინამორბედად მიიჩნევენ იმერულ ქავჭავაძეებს**, ხოლო ქობულეთში მცხოვრები **გოხიძეები, ხაბაზები და მემარნეები კახიძეების მონათესავე გვარები არიან**. რესპონდენტის თქმით, კახიძეები ხუთი ძმის ნამრავლს წარმოადგენენ, რომელთაგან გამოყოფენ მემარნეს ანუ მეღვინეს და ხაბაზს ანუ პურის მცხოვრებს. გოხიძე კი წარმოდგენილია, როგორც მონადირე და პურის მჭამელი. ხაბაზები და მემარნეები ამჟამად ცხოვრობენ მუხაესტატეში, წყავროკასა და გვარაში.

საინტერესო ზეპირი ისტორიები უკავშირდება **ჭანთ-იმერეს** უბანში მცხოვრები **სონჩეოს** საგვარეულოს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფაშისტების მიერ ოკუპირებული უკრაინიდან ლტოლვილი ბავშვები მოხდნენ საქართველოში, მათ შორის ქობულეთშიც. სონჩეოები სწორედ მათი შთამომავლები არიან.

სამეხასა და მის შემოგარენში უამრავი ტოპონიმია, რომლებშიც ნათლად ჩანს სოფლის ისტორია, სამეურნეო ცხოვრება თუ გვარობრივი სტრუქტურა. მათი გამომხეურება, შესწავლა, განმარტება-გაშიფრვა მართლაც რომ საშური საქმეა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ი. თავბერიძე, საველე ეთნოლოგიური ექსპედიცია - 2018, დღიური, N 1, 2, 3

Inga Tavberidze

Upper Sameba Some issues of toponym and surname structure Summary

In Kobuleti municipality, many toponyms cover the geographical names of rivers, mountains, hills, and settlements. In the article, based on field data is presented some issues of toponym and surname structure of Upper Sameba, Kobuleti Municipality.

**სტამბოლის ქართულ საგანეში დაცული კუბლიცისტური წერილები
(მასალები მოგვაწოდა პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ)**

**მემედ ბეგ-აბაშიძე
საგვრილოზო კონფერენცია**

კარგა ხანია, რაც მოკავშირეთა სამშვიდობო კონფერენცია ზავის კითხვებზე მსჯელობს; მარა ეს კითხვები მან ჯერ კიდევ ვერ დააბოლოვა. ამ რამდენიმე დღის წინათ კი დეპუტებმა გადმოგვცეს, რომ შესაძლებელია სამშვიდობო კონფერენცია დაიშალოს და მეგობრები ერთმანეთს მტრულად დაშორდნენ. რაშია საქმე?

კაპიტალისტურ ქვეყნებს რომ ერთი მეორის საწინააღმდეგო ბევრი რამ აქვთ, ეს ცხადია. ინგლისის ინტრესები ვერ ეგუება საფრანგეთისას, ამერიკი-ინგლისისას, იაპონიის-ამერიკისას და ასე; საფრანგეთს სურს ერმანია მიწასთან გაასწოროს, თითქმის ამოშალოს სულ საერთაშორისო ცხოვრებიდან. ინგლისს შუა პოზიცია უჭირავს. ამერიკა მისი პრეზიდენტის – ვილსონის სახით ცდილობს ხალხთა ღიგა სინამდვილით აქციოს და აი, ეს სხვა და სხვა ინტერესები სხვა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტებისა ერთიმეორეს დაეჯახა და სამშვიდობო კონფერენცია ჩიხში შეამწყვდია.

ყველაზე უფრო რეაქციონურ, ყველაზე უფრო აგრესიულ როლს სამშვიდობო კონფერენციაზე თამშობს საფრანგეთის ბურჟუაზია, საფრანგეთის პრემიერის კლემანსოს სახით. ბატონ კლემანსოს ხალხთა ღიგა სურს გადააქციოს სამხედრო კავშირთ ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ამნაირათ ის მეთაურობს იმ რეაქციულ მიმდინარეობას, რომელმაც მომავალში ეხლანდელ ომზე უსაშინლესი ომი, უსაშინლესი სისხლის ღვრა უნდა გამოიწვიოს.

ასეთია კაპიტალის თვისება. მან, თუ ის მაგრათ გრძნობს თავს, იოტი-სოდენა დათმობაც კი არ იცის. ის ხმალამოწვდილი მიდის და მიდის წინ, სანამ უფსკრულის პირამდე არ მივა და შიგ არ გადაეშვება მთელი თავისი სისხლიანი არსებით. და აი, ბატონი კლემანსო, სწორედ, ამ უფსკრულისკენ მიექანება.

თითქმის ყველა ამ ქვეყნებს, რომელთაც პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ გულში ღაზვარის ჩაცემა მოუნდომა, ხმა აღიმადლეს და საქვეყნოთ განაცხადეს, რომ თავის ნებით თავს არ მოიკლავენ, დაე, მიბრძანდნენ და მოკლან. უეჭველია, რომ ევროპაში ბალშევიზმის გაძლიერება გამოიწვია პარიზის კონფერენციის გაუმაძღარმა მადამ; სხვა და სხვა ერები მიხვდნენ, რომ კაპიტალის მსახურთაგან მათ ხეირი არ დაერებათ და შეუდგნენ თავის ხსნის საშვალეებათა გამოძებნას; ბლოკადის მიერ გამოწვეულმა შიმშილმა თავისი გამოიტანა და ბურჟუაზია მაქსიმალიზმმა წარმოშვა მუშათა მაქსიმალიზმი.

გერმანიში, ვენგრიაში და სხვა და სხვა ჩარგულ ქვეყნებში თავი იჩინა შეთანხმების სახელმწიფოთა საწინააღმდეგოთ მოკავშირეთა ძებნამ. აქ უკვე ირჩევა საკითხი რუსეთი ბალშევიკებთან შეთანხმებისა. ამნაირათ პარიზის მაქსიმალიზმმა, სხვა და სხვა ერების ინტერესთა აბუჩად აგდება, ადვილათ შესაძლებელია მიიყვანოს მთელი ქვეყნიერება კვლავ ხოცვა ჟლეტის გზაზე.

შესაძლებელია, რომ ესეოდენმა მსხვერპლმა, რომელიც შესწირა კაცობრიობამ ამ საშინელ ომის დმერთს, საქვეყნო დემოკრატიისათვის ფუჭეთ ჩაიაროს. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ ომის შემდეგ კვლავ ძველებური კაციჭამია ურთიერთობა დარჩეს ქვეყნიერებას. ძველი ქვეყანა უნდა განახლდეს და განახლდება კიდევ. კლემანოსები ვერ შეაჩერებენ ისტორიის ბორბლის ტრიალს.

ვილსონის პროგრამა განხორციელებას მოითხოვს. ერთა თვითგამორკვევა, შრომის უფლება მორიგი საკითხია კაცობრიობისა. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას.

შეიგნებენ კი ამას კლემანოსები? ვეჭვობთ. . . მით უარესი მათთვის. . .

მემედ ბეგ-აბაშიძე კადირ-ბეგ შერვაშიძე

დღევემამ თფისიდან თავზარდამცემი ამბავი გადმოგვცა, პარტახტიანი სახადისაგან თფილისში გარდაიცვალა სამუსლიმანო საქართველოს მოღვაწე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, საქართველოს დამფუძენებელი კრების წევრი, პოლკოვნიკი კადირ-ბეგ შერვაშიძე. შეწყდა ძვირფასი სიცოცხლე იმ ადამიანისა, რომლის ყოველივე ძაღლონე იქითკენ იყო მიმართული, რომ თავის ხაღსს, თავის სამშობლოს დახმარებოდა. აღარ გვყავს კადირი, რომელიც თავის სამშობლოს განთავისუფლების მედგარი დარაჯი იყო.

უმადლეს სწავლით აღჭურვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი, ის მთელი თავისი ენერგიით და ახალგაზრდული გატაცებით ჩაება საზოგადო საქმეში. ის ერთი დამაარსებლთაგანი იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტისა; მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ კომიტეტის საქმეებში. დღედღეზე მოელოდა იმ ბრწყინვალე დღეს, როცა სამუსლიმანო საქართველო საესებით შევიდოდა დედა-სამშობლოს-საქართველოს ფარგლებში ავტონომიურათ.

როცა ახალციხის მაზრას ავანტიურისტთა ბრბო შემოესია, ის მაშინვე იქითკენ გაემშურა, ჩაუღვა სათავეში მუსლიმან ქართველთა რაზმს და თავგანწირულათ იბრძოდა ბანდების წინააღმდეგ.

სამუსლიმანო საქართველო ისედაც ღარიბია სწავლა-ცოდნით აღჭურვილი მოღვაწეებით და აი, მცირე ჯგუფს ასეთ მოღვაწეებისას გამოაკლდა ერთი თვალსაჩინო მოღვაწე კადირ-ბეგი. უღმობელმა სიკვდილმა მოსწყვიტა საყვარელ სამშობლოს მაშინ, როცა მისი მოღვაწეობა ესეოდენ ძვირფასი, ესეოდენ საჭირო იყო.

კადირის ძვირფას ნეშტს დღეს ჩამოასვენებენ ბათუმში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მშვიდობით, დაუვიწყარო მეგობარო. შენ შენი სიცოცხლე სამშობლოს შესწირე. მაღლიერი სამშობლო ამას არ დაგივიწებს და უკვდავ ყოფს შენს სახელს.

მემედ ბეგ აბაშიძე ექიმი ირაკლი სურგულაძე

ოთხ მაისს აჭარის გზაზე ყჩაღებმა სიცოცხლეს გამოასალმეს სამუსლიმანო საქართველოს დიდი მეგობარი და მოსიყვარულე ექიმი ირაკლი სურგულაძე. მოკლეს ის ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი არსებით უყვარდა ქარტველი მუსლიმანები; მოკლეს სიცოცხლით და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი კუთხისათვის-აჭარისათვის.

. . . და მერე ვინ მოკლა? როგორც ჩანს, ის მოუკლავთ აჭარლების წრიდან გამოსულ ყჩაღებს; მოუკლავთ იმ ხალხის შვილებს, რომლის ინტერესებისათვის ირაკლი მზათ იყო თავი გაეწირა.

ირაკლი ერთად-ერთი ძმა იყო სამუსლიმანო საქართველოში კარგათ ცნობილ საზოგადო მოღვაწის **პეტრე სურგულაძისა**. პეტრემ ქართველ მუსლიმანთა დახმარების საქმეში დიდი უბედურება გამოიარა. სამუსლიმანო საქართველოდან გადახვეწილ ძმებს ქართველ მუჰაჯირებს პეტრე თავს ევლებოდა და უვლიდა მათ, როგორც ძმებს და მეგობრებს. პეტრეს მეოხებით ბევრი ქართველი მუსლიმანი გადაურჩა შიმშილით სიკვდილს.

. . . და მას შემდეგ არ ყოფილა არც ერთი წუთი, როდესაც პეტრეს თავის კერძო საქმეზე ეზრუნოს მხოლოდ, ის ყოველთვის სამუსლიმანო საქართველოს სიკეთეზე ფიქრობს და ზრუნავს. ასეთი იყო მისი ძმაც. ასეთი ადამიანი მოაშორეს წუთისოფელს; გამოგლიჯეს ის თავის სამშობლოს და თავის საყვარელ ძმას.

რა საშინელი ირონიაა ბედისა. კაცი, რომელიც თავს ევლებოდა ქართველ მუსლიმანებს, ქართველი მუსლიმანის ხელით გამოესალმა სიცოცხლეს. ძმა, რომელიც თავს ევლებოდა ქართველ მუსლიმანებს, რომელსაც თავის სიცოცხლის საგნით ქართველ მუსლიმანებისადმი სამსახური დაუსახავს მიზნათ, რჩება კერძო ცხოვრებაში სრულიად ობლათ, ერთად – ერთ ძმისგან გამოთიშულად. . . და უდებურება ის არის, რომ პეტრეს ტანჯავს ორგვარი ნაღველი: ერთი ის, რომ მან დაკარგა საყვარელი ერთად-ერთი ძმა და მეორე ის, რომ დაკარგა ვისი ხელით? ხელით იმ ხალხის შვილისა, რომლის კეთილდღეობისათვის იღწვოდა და იღწვის ამ ჟამთ ტანჯული პეტრე.

საუკუნოთ იქნება ხსენება სამუსლიმანო საქართველოს დიდი მეგობრის ირაკლი სურგულაძისა. მის ძმას, ჩვენს დიდ მეგობარს-პეტრეს არ ვიცით, თუ რა ნუგეში ვუთხრათ. ვსტირით ჩვენს მასთან ერთად დაუვიწყარ ირაკლის დაკარგვას.

ჩვენმა ცრემლებმა მისეს მას მცირედიც მაინც მისი ტანჯვის შემსუბუქება. ვუსურვოთ მას, რომ ვაჟკაცურად გადაეტანოს ეს დიდი უბედურება და კვლავ მალე დაბრუნდებოდეს თავის საყვარელ საქმეს-სამუსლიმანო საქართველოს თავდავიწყებით სამსახურს.

1920 წლის 11 მაისი.

გაცრეცილი ფოლიანტები

დამოუკიდებელი საქართველოს მარკები

რუბრიკით, „გაცრეცილი ფოლიანტები“, წარმოგიდგენთ საინტერესო საარქივო დოკუმენტს, რომელზეც დაკრულია დამოუკიდებელი საქართველოს ხუთმანეთიანი მარკა. მარკაზე საქართველოს რესპუბლიკის გერბია გამოსახული. დოკუმენტი 1921 წლის 12 თებერვალსაა შექმნილი.

„ ბათუმის ნავსადგურის უფროსს
განცხადება

უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ მოწმობა, რომ ევსტაფი კახაზის (ი ?) მსახურობს ბარჯა N 47 ზე

მთხოვნელი პატრონი

ბარჯა N 47 ივან ფოტიე (?) “



რუბრიკით „გაცრეცილი ფოლიანტები“ წარმოგიდგენთ ბათუმის პირველი საჯარო სკოლის ისტორიის ამსახველ უნიკალურ დოკუმენტს.

**საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიებების დაიჯესტი
2018 წლის იანვარი-ნოემბერი**

ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

მიმდინარე წლის 22 თებერვალს აჭარის საარქივო სამმართველოში ჩატარდა საქართველოს ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. 1921 წლის თებერვლის მოვლენების შესახებ ისაუბრა საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსმა თანაზ ფუტკარაძემ.

ღონისძიების დასასრულს ნახვენები იქნა ფილმი „ ფიქრები 1921 წლის თებერვალზე“.



არქივისტების პროფესიული დღე

მარტის პირველი ნახევარი გამორჩეულია სადღესასწაულო დღეების სიმრავლით. ყოველი წლის მარტის პირველ კვირას არქივისტები ზეიმობენ პროფესიულ დღესასწაულს - არქივისტის დღეს, 3 მარტი - დედის დღეა, ხოლო 8 მარტს აღინიშნება ქალთა საერთაშორისო დღე. ამ თარიღებთან დაკავშირებით, 2018 წლის 2 მარტს, აჭარის საარქივო სამმართველოში ჩატარდა საზეიმო ღონისძიება. ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. სიტყვით გამოვიდნენ და ღონისძიების მონაწილეებს პროფესიული დღესასწაული, დედისა და ქალთა დღე მიულოცეს: სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, გამოყენებისა და პუბლიკაციის სამსახურის უფროსმა თამაზ ფუტკარაძემ, სამმართველოს უფროსის მოადგილეებმა - ანზორ თხილაიშვილმა და ბესიკ ბაუჩაძემ, ბათუმის საკრებულოს დეპუტატებმა ნატალია ძიძიგურმა და თამაზ სალუქვაძემ, ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსმა ელგუჯა გოგიბერიძემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები: დეპუტატი ცოტნე ანანიძე, პრესსამსახურის უფროსი ფერიდე უსტიანიშვილი და ბათუმის საკრებულოს წარმომადგენლები.



იუნკრების გახსენება

მიმდინარე წლის 23 მარტს საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა 1921 წლის 23 მარტს ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირები გაიხსენეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.



უკრაინა-საქართველო: დიპლომატიური ურთიერთობების ასი წელი

მიმდინარე წლის წლის 26-29 მარტს, ქალაქ თბილისში, გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „უკრაინა-საქართველო: დიპლომატიური ურთიერთობების ასი წლისთავი“.

კონფერენცია მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში (107-ე აუდიტორია).

მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე - ალექსანდრე თევზაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი-გიორგი შარვაშიძე, საქართველოში უკრაინის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი- ივორ დოღოვი, უკრაინის სახელმწიფო არქივების სამსახურის უფროსი- ტატიანა ბარანოვა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე ირინა მატიაში.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს საქართველოსა და უკრაინის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა. აჭარის საარქივო სამმართველოდან კონფერენციაში მიონაწილეობა მიიღო საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუ-

მენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ფრიდონ ქარდავამ და წაიკითხა მოხსენება : „აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული უკრაინასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოკლე მიმოხილვა“.

კონფერენციის მონაწილეებსა და სტუმრებს უკრაინის საელჩოში გულთბილი მიღება გაუმართა საქართველოში უკრაინის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა, ბატონმა ივორ დოლოვამ.

უკრაინა-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ჩვენი ქვეყნების მეტი დაახლოებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიულ საქმეში.



აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო - ხულოს არქივში

2018 წლის 30 მარტს, საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო - ხულოს არქივში ჩატარდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი, უფროსის მოადგილეები: სოსო სტურუა და ბესიკ ბაუჩაძე, ტერიტორიული ორგანო - ხულოს არქივის ხელმძღვანელი თემურ ბერიძე, სამსახურის უფროსები - თამაზ ფუტკარაძე, ელგუჯა ჩაგანავა; განყოფილების გამგე - მაია რურუა, უფროსი სპეციალისტები: ციცი ცინცაძე, თინა ქონიაძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე: საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, ხულოს მერი გოჩა მეღაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, მერის მოადგილეები, რესურსცენტრის ხელმძღვანელი, საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები და დაბა ხულოს საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. მოხსენებებით გამოვიდნენ და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავის შესახებ ისაუბრეს: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ სოსო სტურუამ და საზღარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციის და გამოყენე-

ბის სამსახურის უფროსმა თამაზ ფუტაკარაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ: საარქივო სამმართველოს აღრიცხვისა და სამეცნიერო - საცნობარო განყოფილების უფროსი მაია რურუა და ხულოს მუნიციპალიტეტის მერი გონა მელაძე.

ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ამსახველი სლაიდშოუ.

დასასრულს გადაღებული იქნა სამახსოვრო ფოტოები.



9 აპრილი

მიმდინარე წლის 9 აპრილს საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა პატივი მიაგეს 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. პარალელურად მოეწყო „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი“ მიძღვნილი გამოფენა.



2019-2022 წლების საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის განხილვა

2018 წლის 3 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკვე-
უწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში გაიმართა საარქივო სამმარ-
თველოს 2019-2022 წლების საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის განხილვა.

ღონისძიება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საარქივო სამმართვე-
ლოს უფროსმა მაია ივანიშვილმა.

მოხსენებით გამოვიდა და 2019-2022 წწ საშუალო ვადიანი გეგმა წარმოად-
გინა სამმართველოს ანალიტიკური-მეთოდოლოგიური და ტერიტორიულ ორგანოებ-
თან მუშაობის სამსახურის უფროსმა ელგუჯა ჩაგანავამ.

გასვლითი ღონისძიება შუახევში

2018 წლის 4 მაისს, საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო - შუა-
ხევის არქივში ჩატარდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლის-
თავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშ-
ვილი, უფროსის მოადგილეები: სოსო სტურუა, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილა-
იშვილი, ტერიტორიული ორგანო-შუახევის არქივის ხელმძღვანელი კახა დავი-
თაძე, თამაზ ფუტყარაძე, სამსახურის უფროსი, მაია რურუა- განყოფილების
უფროსი, ციცი ცინცაძე, მარინა ბოლქვაძე, მარინა გოგიტიძე, - უფროსი სპეცი-
ალისტები. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე შუახევის მუნიციპალიტეტის
მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმარ-
თველოს უფროსი მაია ივანიშვილი. საზოგადოებას მიესალმნენ ასევე შუახევის
მუნიციპალიტეტის მერი ფრიდონ ფუტყარაძე და საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი დავითაძე.

მოხსენებებით გამოვიდნენ და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების
140 წლისთავის შესახებ ისაუბრეს: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგი-
ლეებმა - სოსო სტურუამ და ბესარიონ ბაუჩაძემ, საზღვარგარეთთან, საზოგადო-
ებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციის და გამოყენების სამსახუ-
რის უფროსმა თამაზ ფუტყარაძემ, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო
განყოფილების უფროსმა მაია რურუამ.

ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა აჭარის დედასამშობლოსთან
დაბრუნების ამსახველი სლაიდშოუ.

დასასრულს გადაღებული იქნა სამახსოვრო ფოტოები.



9 მაისი - ვეტერან არქივისტთან ერთად

2018 წლის 9 მაისს, ბათუმში, გმირთა ხეივანში გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვების 73 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიება. საზეიმო ღონისძიებას სხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ საარქივო სამმართველოს თანამშრომლებიც.

ბათუმში მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 24 ვეტერანი და ომში დაღუპულთა 12 ოჯახი ცხოვრობს.

საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, ცნობილ არქივისტს და საზოგადო მოღვაწეს ბატონ სერგო ტაბაღუას მიულოცეს ფაშიზმზე გამარჯვების დღე, გადასცეს ფასიანი საჩუქრები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



100 წელი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან

აჭარის საარქივო სამმართველოში გაიხსნა გამოფენა „100 წელი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან“, რომელიც მიეძღვნა 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. გამოფენილი იყო ჩვენს საცაფებში დაცული დოკუმენტები და სურათების რეპროდუქციები.



საჯარო ლექცია „საქართველო 1918-1921 წლებში“.

2018 წლის 28 მაისს საარქივო სამმართველოში ჩატარდა დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. საჯარო ლექცია „საქართველო 1918-21 წლებში“ წაიკითხა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საარქივო სამმართველოს თანამშრომლები და კოლეჯი ბლექსის მოსწავლეები.



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საარქივო სამმართველოს უფროსი, ქალბატონი მაია ივანიშვილი, საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ბესარიონ ბაუჩაძე, სამსახურის უფროსი თამაზ ფუტყარაძე, სამმართველოს თანამშრომლები: ციცი ცინცაძე, გუგული პატარიძე და მარინა კუცია იმყოფებოდნენ ბათუმის განათლების და დასაქმების ცენტრთან არსებულ საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში.

საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მიულოცეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, საჩუქრად გადასცეს ფასიანი საჩუქრები და ტკბილეული. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.





მკვლევარმა არქივის წიგნადი ფონდი გაამდიდრა

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა, ქალბატონმა ქეთევან გოგოლაძემ 2018 წლის 7 ივნისს, საარქივო სამმართველოს გადასცა მასალა, რომელიც გაამდიდრებს ჩვენს საბიბლიოთეკო ფონდს.

საზოგადოებას გვინდა შევახსენოთ რომ ადრე ქალბატონმა ქეთევანმა არქივს გადმოსცა საკმაოდ მდიდარი კოლექცია, ფოტო და ვიდეო მასალის სახით, რომელიც ასახავდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობის საინტერესო პერიოდს.

ამჯერად კი ბიბლიოთეკისთვის მან არქივს გადმოსცა საკუთარ ინაშრომი, - „პროფესიული სამუსიკო განათლების დაფუძნება აჭარაში“, რომელშიც ფართოდაა გამოყენებული საარქივო მასალები; ასევე ჟურნალ „მუსიკის“ ორი ნომერთან მსგავსი ციფრული დისკებით, სადაც შესულია ქალბატონი ქეთევანის ორი სტატია; „აჭარაში პროფესიული სამუსიკო განათლების დაფუძნების 90 წლის-თავი“ და „ბათუმის კათოლიკური ეკლიისა და არესტიდ კაპაიე-კოლისორგანის ისტორია“. ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას რომ ქალბატონ ქეთევანს სამეცნიერო დარბაზში მუშაობისას, არქივის თანამშრომლებმა მივაწოდეთ საინტერესო მასალა ორგანთან დაკავშირებით, რაც აისახა კიდევაც მის სტატიებსა და წიგნში; ასევე ქალბატონმა ქეთევანმა არქივს გადასცა წიგნი „79 ამბავი. ზვიად გამსახურდია“, სადაც შესულია მისი მეუღლის, ზვიად გამსახურდიას პირადი ფოტოგრაფი, ს გივი ნახუცრიშვილის მოგონებაც“.

საარქივო სამმართველო მადლობას უხდის ქალბატონ ქეთევანს გულისხმიერებისათვის და წარმატებებს უსურვებს მას შემდგომ საქმიანობაში.



კონფერენცია პოლონეთში

2018 წლის 2-7 ივნისს, პოლონეთის ქალაქ ცეხანოვეცში გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია- „Drogi do niepodległości narodów Europy Wschodniej “ 1914-1921. მოხსენებით „Wkład polaków w укрепление государственности и развитие культуры в Грузии“ გამოვიდა საარქივო სამმართველოს სამსახურის უფროსი, პროფესორი თამაზ ფუტყარაძე.



ქველმოქმედება

შპს "პემა 2012"-ის სისხლის ბანკის ინიციატივით, დონორთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა სისხლის უანგაროდ ჩაბარების აქცია.

საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა აღნიშნეს დონორთა საერთაშორისო დღე - 14 ივნისი. სხვათა სიცოცხლის გადარჩენის მიზნით არქივისტები: მაია რურუა, მზექალა გირიხიდი, გუგული პატარიძე, მარინე ბოლქვაძე, მაია მელაძე უანგაროდ გაღებულ სისხლით ნებაყოფლობით შეუერთდნენ დონორთა სიას .



გასვლითი ღონისძიება ქედის არქივში

2018 წლის 29 ივნისს, საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო - ქედის არქივში ჩატარდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლის-თავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილეები: სოსო სტურუა, ბესიკ ბაუჩაძე, ტერიტორიული ორგანო-ქედის არქივის ხელმძღვანელი ბადრი შერვაშიძე, სამსახურის უფროსი - თამაზ ფუტკარაძე; განყოფილების უფროსი - მაია რურუა; უფროსი სპეციალისტები - ციცი ცინცაძე და მზია სურმანიძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებადსთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი თამაზ ფუტკარაძე. საზოგადოებას მიესალმა ასევე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე.

მოსვენებებით გამოვიდნენ და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავის შესახებ ისაუბრეს: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილეებმა: სოსო სტურუამ და ბესარიონ ბაუჩაძემ, საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურის უფროსმა თამაზ ფუტკარაძემ, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსმა მაია რურუამ.

ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ამსახველი სლაიდშოუ.

დასასრულს გადაღებული იქნა სამახსოვრო ფოტოები



სეველიანი ფერეიდანნი

2018 წლის 3 აგვისტოს საარქივო სამმართველოში ჩატარდა ღონისძიება „სეველიანი ფერეიდანნი“; დამსწრე საზოგადოებას ფერეიდანული შთაბეჭდილებები გაუზიარა ცნობილმა ჟურნალისტმა ნიაზ ზოსიძემ.

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბათუმის საკრებულოს დეპუტატები: ნატალია ძიძიგური, ნერიმან ცინცაძე.



აგვისტოს ომი

მიმდინარე წლის 8 აგვისტოს საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი, უფროსის მოადგილე ბესარიონ ბაუჩაძე, სამმართველოს თანამშრომლები, აჭარის აღმასრულებელი ხელისუფლების, საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ომში დაღუპულთა ახლობლები, 2008 წლის აგვისტოს ომიდან 10 წლისთავზე რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა სკვერში, მემორიალთან შეიკრიბნენ.

ღონისძიებას პოლონეთის ქვემო სილეზიის რეგიონული სეიმის წევრები და სეიმის თავმჯდომარე ესწრებოდნენ.

შეკრებილებმა ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ომში დაღუპულთა ხსოვნას. შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

აგვისტოს ომს 170 სამხედრო მოსამსახურე, 14 პოლიციელი და 300-მდე მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა.





გასვლითი ღონისძიება ხელვაჩაურის არქივში

2018 წლის 15 აგვისტოს, საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო-ხელვაჩაურის არქივში ჩატარდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე: ბესიკ ბაუჩაძე, ტერიტორიული ორგანო-ხელვაჩაურის არქივის ხელმძღვანელი ავთანდილ ლეონიძე, ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსი-ელგუჯა გოგიბერიძე, სამსახურის უფროსი- თამაზ ფუტკარაძე; განყოფილების უფროსი- მაია რურუა; უფროსი სპეციალისტები- ციცი ცინცაძე, მზია სურმანიძე, დოდო შუშანიძე, შორენა ფარტენაძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, რესურსცენტრის, ახალგაზრდული ცენტრის, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელები და თანამშრომლები. საზოგადოებას მიესალმნენ ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები იოსებ ბოლქვაძე და მინდია დიასამიძე. მოხსენებებით გამოვიდნენ და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავის შესახებ ისაუბრეს: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ- ბესარიონ ბაუჩაძემ, საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურის უფროსმა თამაზ ფუტკარაძემ, ადრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსმა მაია რურუამ. ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ამსახველი სლაიდშოუ.

დასასრულს გადაღებული იქნა სამახსოვრო ფოტოები.





VIII საერთაშორისო კონფერენცია

2018 წლის 5-6 ოქტომბერს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში ჩატარდა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „სამხრეთ დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია ეთნოლოგია)“

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საარქივო სამმართველოს ესტუმრნენ საქართველოს, რუსეთისა და ირანის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა და სტუმრებს მიესალმა სარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი.

სტუმრებს მიესალმნენ აგრეთვე: თამაზ ფუტყარაძე (აჭარის საარქივო სამმართველო), მაკა ალბაჩივა (სან-პეტერბურგის კუნსტკამერის მეცნიერ თანამშრომელი), ლუბა სოლოვიოვა (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი) ქეთევან ხითარიშვილი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი), ნონა ქარციძე (ქუთაისის სახლწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერ- თანამშრომელი).

კონფერენციის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ გამოფენა „ საარქივო სამმართველო ფოტოდოკუმენტებში“.





გასვლითი ღონისძიება ქობულეთში

2018 წლის 12 ოქტომბერს, საარქივო სამმართველომ ტერიტორიულ ორგანო - ქობულეთის არქივში ჩატარდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილეები: ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი და რამაზ ბოლქვაძე, ტერიტორიული ორგანო- ქობულეთის არქივის ხელმძღვანელი ნოდარ ზაქარიაძე, სამსახურის უფროსი- თამაზ ფუტკარაძე; განყოფილების უფროსი- მაია რურუა; სამსახურის უფროსი- ელგუჯა ჩაგანავა, უფროსი სპეციალისტები- ნატო ქიქავა, მზია კეკელიძე, ლია მუავანაძე, ასევე სპეციალისტები შორენა კონცელიძე და ნინუცა წითელაური. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე ქობულეთის საკრებულოს, რესურსცენტრის, ახალგაზრდული ცენტრის, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

საზოგადოებას მიესალმა ქობულეთის საკრებულოს წევრი ქალბატონი ლია შაქარიშვილი. მოხსენებებით გამოვიდნენ და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავის შესახებ ისაუბრეს: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ- ბესიკ ბაუჩაძემ, საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურის უფროსმა თამაზ ფუტკარაძემ, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსმა მაია რურუამ.

დასასრულს გადაღებული იქნა სამახსოვრო ფოტოები



ნობელის შთამომავლების სტუმრობა არქივში

2018 წლის 20 ოქტომბერს საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ შვედეთის ბიზნესის ცენტრის თანამშრომელი **ვადიმ აზბელი**, ნობელების ოჯახის ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე **თომას ტიუდენი** და მწერალი და პუბლიცისტი **ბენგ იანგველდტი**. სტუმრები მიიღო საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა. შეხვედრას ესწრებოდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე რამაზ ბოლქვაძე, სამსახურის უფროსი თამაზ ფუტკარაძე, ბათუმის სამუხეუმო გაერთიანების დირექტორი - თამუნა ორაგველიძე, არქივის თანამშრომლები: ნატო ქიქავა, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე, ფრიდონ ქარდავა. სტუმრები დაინტერესდნენ ნობელების ბათუმში მოღვაწეობის საკითხებით, დაათვალიერეს ნობელების მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების გამოფენა. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ასოციაციისა და საარქივო სამმართველოს ურთიერთობის საკითხებზე და დასახეს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები. დასასრულს გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



ჩვენი ავტორები:

1. **ოთარ თურმანიძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
2. **რამაზ სურმანიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (საქართველო, ბათუმი);
3. **ოთარ გოგოლიშვილი** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
4. **თამაზ ფუტყარაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო, სამსახურის უფროსი (საქართველო, ბათუმი);
5. **ფრიდონ ქარდავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
6. **ნინო გოგიტიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
7. **მზია სურმანიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
8. **იური მაკუხა** - კიევის ტარას შევშენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, ასპირანტი (უკრაინა, კიევი);
9. **გუგული პატარიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
10. **ინგა თავბერძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი (საქართველო, ბათუმი).

Our authors:

- 1. Otar Turmanidze** – Batumi Shota Rustaveli State University, Niko berdzenishvili scientific – research institute, scientific worker (Georgia, Batumi);
- 2. Ramaz Surmanidze** – Doctor of medical sciences (Georgia, Batumi);
- 3. Otar Gogolishvili** – Batumi Shota Rustaveli State University, professor; (Georgia, Batumi);
- 4. Tamaz Phutkaradze** – Batumi Shota Rustaveli State University, professor; Sub-department of Ajara Autonomous republic Government – Archives Administration, head of department; (Georgia, Batumi);
- 5. Fridon Kardava** – Sub-department of Ajara Autonomous republic Government – Archives Administration, senior specialist; (Georgia, Batumi);
- 6. Nino Gogitidze** – Sub-department of Ajara Autonomous republic Government – Archives Administration, senior specialist; (Georgia, Batumi);
- 7. Mzia Surmanidze** – Sub-department of Ajara Autonomous republic Government – Archives Administration, senior specialist; (Georgia, Batumi);
- 8. Yuri Makukha** – post-graduate student Institute of International Relations Kyiv National University named after Taras Shevchenko (Ukraine, Kiev);
- 9. Guguli Pataridze** – Sub-department of Ajara Autonomous republic Government – Archives Administration, senior specialist; (Georgia, Batumi);
- 10. Inga Tavberidze** - Batumi Shota Rustaveli State University, student (Georgia, Batumi).

სარჩევი:

1. ოთარ თურმანიძე - სამრეწველო კადრების რეპრესიები 3
2. რამაზ სურმანიძე - ლევილის ბინადარი სამოლეთიდან 38
3. ოთარ გოგოლიშვილი - ბათუმი თავისუფალი ქალაქი - ნაგსადგური
(1876-1886 წწ.) 43
4. Тамаз Путкарадзе – Польша и поляки глазами Грузинского этнолога.... 49
5. ფრიდონ ქარდავა/ნინო გოგიტიძე/მზია სურმანიძე - ბათუმის ქართული
გიმნაზია (1918-1921 წწ.) 62
6. Yuri Makukha – Modernization of South-East Asian countries and
paradigm of Asean Integration processes 75
7. გუგული პატარიძე - სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული კაპიტანი -
აბესალომ ზეინაიშვილი 85
8. ინგა თავბერიძე - ზედა სამება ტოპონიმისა და გეარობრივი
სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი 90
9. სტამბოლის ქართულ საგანეში დაცული პუბლიცისტური წერილები 95
10. საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიებების დაიჯესტი
(2018 წლის იანვარი-ნოემბერი) 100



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com



սփճՈՆ ԵՏՏՃՈՅԵՆ
ԵՏՏՃՈՅՅԻՄԵՆ